რუსთავის მერი "ქმარას" გვერდით A3

ანტიკორუფციული საბჭოს 17-კაციანი "შავი სია" A4

„წუთისოფელი"? „ნეტავ სიბეწავი"…



www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი — შაბათი, 4 ოქტომბერი, 2003 წელი. №263 (475) — ფასი 50 თეთრი


### პოლიტიკა

**განა რაც წინადადებაა, ყველა "რაცწინადადებაა"**

"პრეზიდენტი პრეზიდენტს არ ჰგავს, ქვეყანა - ქვეყანას, სიების შედგენის პროცესი - სიების შედგენის პროცესს... გუშინ კანცელარიიდან ისმოდა კარების ჯახა-ჯუხი, ლიფტების მტვრევა, ქვითინი, კვნესა და გოდება", - ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა პარტიული სიების ოფიციალურ წარდგენაზე ხაზგასმით აღნიშნა, რომ პარტია ზარზეიმისგან თავს იკავებს.

A2

### ეკონომიკა

**„ვის შეიძლება ეწოდოს ჩვენთან „ბიზნესანგელოზი", ვერ გეტყვით"...**

ეკონომიკური პროცესებით დაინტერესებული ადამიანებისთვის კარგად არის ცნობილი, რამდენად დიდ პრობლემაა დღევანდელ საქართველოში შესაბამისი კვალიფიცური ანალიზის არსებობა; თუმცა ამჟამად ეკონომიკურ წრეებში ცნობილი სახე - ირაკლი კოვზანაძე სწორედ ეკონომიკური ანალიზის სფეროში მომუშავე სტრუქტურას აყალიბებს.

A4

### უცხოეთი

**ადოლფ ჰიტლერის თავგამოდებული მოტრფიალე**

როგორც კალიფორნიის მომავალ არჩევნებში შვარცნეგერის მეტოქეები ირწმუნებიან, "დიდი არნი" თავისი თანამემამულის ადოლფ ჰიტლერის თავგამოდებული მოტრფიალე ყოფილა.

A5

### საზოგადოება

**აბსურდული სიტუაციებისაგან თავდასაღწევად**

გუშინ თბილისის საკრებულოში, საკრებულოს განათლების საკითხების კურატორმა ბატონმა გია მურღულიამ ქალაქის სკოლების ახალგაზრდა პედაგოგებს ახალი პროგრამის პროექტი წარუდგინა, რომელიც თბილისის განათლების სისტემის განვითარებას ისახავს მიზნად.

A6

### სამართალი

**გაქურდეს გაზეთ "ფოთის" ოფისი**

გუშინ, დილით, რედაქციაში მისული დამოუკიდებელი გაზეთის "ფოთის" თანამშრომლებს რედაქციის კარი გატეხილი დაუხვდათ. "ფოთის" ოფისიდან წაღებულია ძვირადღირებული ტექნიკა – ფაქსი, დიქტაფონები, ფოტოაპარატები, კომპიუტერები, სკანერი, პრინტერი და ელექტროგენერატორი.

A7

### ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 19 |
| ქუთაისი | 22 |
| ბათუმი | 21 |
| სოხუმი | 22 |
| ფოთი | 22 |
| თელავი | 18 |
| ზუგდიდი | 23 |
| გორი | 17 |

**უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1130 |
| ევრო | 2.4760 |
| გირვანქა სტერლ. | 3.5363 |
| რუბლი | 0.0694 |

# ამომრჩეველთა ნიჰილიზმი

## პასიურობით არჩევნებს ამომრჩეველი წააგებს

*სულ მალე ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ამომრჩეველთა სიები უნდა გამოქვეყნდეს. ამ მონაცემების გადამოწმების უფლება ცესკო-ში რეგისტრირებულ ყველა პოლიტიკურ პარტიასა თუ საარჩევნო ბლოკს ექნება. ამავე პრივილეგიით ისარგებლებენ ცესკო-ში აკრედიტებული არასამთავრობო სექტორისა და მასმედიის წარმომადგენლებიც. რაც შეეხება თავად ამომრჩეველს, სურვილის შემთხვევაში, მას ასევე შეეძლება, უპრობლემოდ შეამოწმოს თავისი მონაცემები. ოღონდ, ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ცესკო-ს ოფიციალური ვებ-გვერდის მისამართი ეცოდინება და, რაღა თქმა უნდა, თავად კომპიუტერი ექნება. დანარჩენ ამომრჩეველს კი საკუთარი სახელის და გვარის მოძიება საუბნო საარჩევნო კომისიაში მოუწევს.*

თამარ მჭედლიშვილი

საინტერესოა, რამდენი ამომრჩეველი ისარგებლებს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ამ სერვისით? რამდენ ამომრჩეველს ექნება სახლში კომპიუტერი, რომ ნახოს, შეტანილია თუ არა მისი სახელი და გვარი მონაცემთა ბაზაში?

პასუხი, ალბათ, უკვე ყველამ ვიცით – თითქმის არავინ. ამომრჩეველთა უმრავლესობამ კი საკუთარი მონაცემები ადგილებზე, ანუ საუბნო საარჩევნო კომისიებში უნდა შეამოწმოს. ნებისმიერ ჩვენგანს აქვს უფლება, 19 ოქტომბრამდე მივიდეს უბნებზე და ნახოს, არის თუ არა შეტანილი მისი გვარი ამომრჩეველთა სიაში. სხვა საქმეა, რამდენად მოინდომებს თითოეული ჩვენგანი ამის გაკეთებას.

გაგრძელება A2 გვერდზე

## კრემლის ახალი სამხედრო დოქტრინა მეზობლებს პრევენტული დარტყმებით ემუქრება

A5



იგორ ივანოვის მიერ წარდგენილმა სამხედრო დოქტრინამ ვლადიმირ პუტინს "ფრთები შეასხა".

## არჩევნები საქართველოსა და კამბოჯაში

### გაყალბების მექანიზმები წვეთი წყალივით ჰგავს ერთმანეთს

მაია ჭალაგანიძე

*რატომ არის საზოგადოება ასე პოლიტიზებული - იმიტომ, რომ ეს მას სურს, თუ პირიქით, პრესის ზეწოლის შედეგია? როგორც ჩვენი სტუმარი ამბობს, ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა 2 ნოემბრის არჩევნების შემდეგ იქნება შესაძლებელი. ამას კი სულ იოლად მივხვდებით, თუ მოთმინება გვეყოფა და დაველოდებით ციფრს, რომელიც ამომრჩეველთა აქტივობის პროცენტს ასახავს.*
*თუმცა, ეს არ არის ჩვენი საუბრის მთავარი თემა, უბრალოდ, სიტყვამ მოიტანა.*
*ექვსი თვეა, რაც ამერიკელი ჟურნალისტი დეივიდ ბლოსი თავის ჟურნალისტ მეუღლესთან ერთად თბილისში ცხოვრობს. ის წარმოადგენს კერძო ფონდს nice fellow და ქართული რეგიონული პრესის დასახმარებლად ჟურნალისტთა საერთაშორისო ცენტრმა მოავლინა. ამ ხნის მანძილზე რეგიონული მედიის ცხოვრების დეტალებში ჩახედვა მოასწრო და განაცხადა, რომ ამ საქმეს დიდი მომავალი აქვს.*

გაგრძელება B1 გვერდზე



დეივიდ ბლოსი: წინასაარჩევნო პერიოდში ჟურნალისტიკის მთავარი თემა პოლიტიკაა.

## 2003 წლის ყველაზე მოხდენილი ქალები

B8



ნიკოლ კიდმანი



ჰოლი ბერი



ჯენიფერ ენისტონი



კეიტ ჰადსონი

## რატომ უნდა მიაქციოს ამერიკამ ყურადღება სამხრეთ კავკასიას?

*"კავკასიური ოთხეულის" პარლამენტის მოსკოვის შეხვედრის გარდა, სამხრეთ კავკასიის ქვეყნების პრობლემებზე ყურადღება სექტემბრის ბოლოს ორ გეოგრაფიულად დაშორებულ ქვეყანაში –ლიტვასა და ამერიკის შეერთებულ შტატებშიც გამახვილდა. ნიქსონის ცენტრის საერთაშორისო უსაფრთხოებისა და ენერგეტიკული პროგრამების დირექტორმა ზეინო ბარანმა 23 სექტემბერს გამართულ საერთაშორისო სემინარზე ვილნიუსში, ვრცელი მოხსენება წაიკითხა თემაზე, თუ "რატომ სჭირდება სამხრეთ კავკასიას შეერთებული შტატების მხრიდან ყურადღების მიქცევა". მასში საუბარი იყო აგრეთვე რუსეთის როლზეც კავკასიის კონფლიქტების მოწესრიგების საქმეში.*

კობა ლიკლიკაძე
*„რადიო თავისუფლება„ სპეციალურად "24 საათისთვის"*

ვიდრე საერთაშორისო უსაფრთხოებისა და ენერგეტიკული პროგრამების დირექტორად დაინიშნებოდა, სტრატეგიულ და საერთაშორისო გამოკვლევათა ცენტრში(CSIS) ზეინო ბარანმა 1998 წელს საქართველოს ფორუმი ჩამოაყალიბა, რომელიც მთლიანად საქართველოზე, შეერთებულ შტატებთან და რუსეთთან მის ურთიერთობებზე იყო ფოკუსირებული. ამდენად, საინტერესოა, თუ რას ფიქრობს ზეინო ბარანი ე.წ. ახალი გეოსტრატეგიული სამკუთხედის -ვაშინგტონი-მოსკოვი-საქართველოს - არსებობაზე და მის პერსპექტივებზე. ამ საკითხის აქტუალობას განაპირობებ- და პარლამენტის ვიცე-სპიკერის, გეოსტრატეგიული სამკუთხედის იდეის ერთ-ერთი ავტორის, ვახტანგ რჩეულიშვილის ვიზიტიც ვაშინგტონში, რომელიც გასულ კვირას დასრულდა.

გაგრძელება A3 გვერდზე

## ადვოკატები „ისნის ამბოხების საქმეს" წინასაარჩევნო ინტერესებს უკავშირებენ

თამარ კაციტაძე

*გენერალურ პროკურატურაში თითქმის გამოძიების დასრულების პირას მისული ე.წ. "ისნის ამბოხების საქმე" პრეზიდენტისა და უშიშროების მინისტრის ერთობლივი რისხვის შემდეგ კიდევ უფრო დამძიმდა. თავის დროზე ქვეყნის პირველი პირი აღაშფოთა იმან, რომ გამოძიებამ ამბოხებულების საქმე სასურველი მუხლით ვერ "შეკერა" და მტკიცებულებების არარსებობის გამო მძიმე მუხლი შედარებით მსუბუქი მუხლით გადააკვალიფიცირა. სხვათა შორის, პრეზიდენტთან ქულების ჩაწერის მიზნით, გენერალურმა პროკურორმა ამ საქმეს ერთ-ერთი უძლიერესი გამომძიებელი, საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილეც კი გადააყოლა.*

გაგრძელება A7 გვერდზე

## ხაბურძანიამ ნავთობპროდუქტები „გაათეთრა", ახლა ჯერი არჩევნებზეა...

*ნავთობპროდუქტების ბიზნესში ჩართული კონტრაბანდისტების გვარებს უშიშროების მინისტრი ვალერი ხაბურძანია კვლავაც არ ასახელებს. მინისტრი ირწმუნება, რომ უშიშროების მიერ განხორციელებული სამუშაოების გამო ამ ადამიანებმა ბიზნესის გათეთრება გადაწყვიტეს. მოკლედ, ვალერი ხაბურძანიამ გუშინ ნავთობპროდუქტებზე ზედამხედველობისა და კონტროლის სამსახურის უკანასკნელი ორი თვის "ხმაურიანი" (მინისტრის შეფასება) შედეგები საგანგებო ბრიფინგზე ჟურნალისტებს გააცნო. ბიუჯეტში შეტანილი თორმეტი მილიონი ლარი და არალეგალური ნავთობის 15 პროცენტით შემცირება - ეს არის ის რეზიუმე, რითაც გუშინ უშიშროების მინისტრი საზოგადოების წინაშე თავს იწონებდა.*

ეთერ მამულაშვილი

ნავთობპროდუქტებზე ზედამხედველობისა და კონტროლის სამსახური, რომელიც პრეზიდენტის ბრძანებულებით ივლისში შეიქმნა, მუშაობას ოქტომბრის ბოლოს დაასრულებს. ციფრები და დიაგრამები, რომელიც ამ სამსახურის მიერ აგვისტო-სექტემბერში გატარებული ღონისძიებების შედეგებს ასახავს, ერთი შეხედვით, მართლაც შთამბეჭდავია. საგანგებო კომპლექსური ოპერატიული გეგმის (სკოგ-ის) შედეგებით, უკანასკნელ თვეში, ქვეყანაში, დაახლოებით 50.000 ტონა ნავთობის იმპორტი დაფიქსირდა, რაც, ხაბურძანიას განმარტებით, ბოლო წლების მონაცემებთან შედარებით რეკორდული ციფრია. აქედან ბენზინის რაოდენობა 33.000 ტონაზე ოდნავ მეტი იყო, ხოლო დიზელის - 14.000.

გაგრძელება A4 გვერდზე

## ამერიკა არსად წასვლას არ აპირებს

### "24 საათის" სტუმარია ქალბატონი როვინა ქროს-ნაჯაფი, აშშ-ს საელჩოს კულტურისა და პრესის ახალი ატაშე

შოთა უტიაშვილი

**- თქვენ ბევრ ქვეყანაში წარმოადგენდით ამერიკულ კულტურას. საინტერესოა, რამდენად განსხვავებულად იღებენ მას სხვადასხვა ქვეყნებში?**

- მსოფლიო ძალიან დიდია და ყველა ქვეყანა - განსხვავებული. ამიტომაც, ამერიკულ კულტურას სხვადასხვანაირად იღებენ. ძალიან ხშირად ხდება, რომ გლობალურ კულტურასა და ამერიკულ კულტურას ერთმანეთთან აიგივებენ. იაპონური მულტფილმები და ჰარი პოტერი გლობალური კულტურის ნაწილია და არა ამერიკულისა, მაგრამ, რადგან უზომოდ კომერციალიზებულია, ისინი ამერიკულთან ასოცირდება. ამავე დროს, უზომო კომერციალიზაციის გამო, ამერიკული კულტურის ბევრი ასპექტი შეუმჩნეველია. მე მინდა, რომ ქართველებს ამერიკული კულტურის ის ნაწილი გავაცნო, რომელსაც ისინი კარგად არ იცნობენ, როგორიცაა, მაგალითად, ამერიკელ ინდიელთა მუსიკა და ქანთრი.

გაგრძელება A2 გვერდზე


A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 თვალსაზრისი

B1 სტუმარი | B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 დღიური | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

რეგიონი

# წყალი CAP-უტ ოზურგეთში

თამაზ ხარაიშვილი
ოზურგეთიდან

თუ არ ჩავთვლით ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს, ძნელად მოიძებნება ოზურგეთის ბადალი დასახლებული პუნქტი, სადაც სასმელი წყალი ლამის ოცნების საგნადაა ქცეული.

მთელი ქალაქი რომ მოირბინო, წყურვილს ვერ მოიკლავ, თუ ვინმე მადლიანმა ჭის წყალი არ გიწყალობა;

რამდენიმე წელია ყველა თაობისა და საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის წარმომადგენელი ქალაქის თავკაცობა ცდილობდა და ცდილობს ამ პრობლემის მოგვარებას, მაგრამ მოგვარებას ვინ ჩივის, საქმე უკან მიდის. ქალაქის სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის დასკვნით, ოზურგეთი ეპიდემიური კატასტროფის წინაშე დგას. მოკლედ, წყალი ძალზე ცოტაა, რაც არის, სასმელად უვარგისია.

ის, რაც ვერ შეძლო ქმედითუუნარო ხელისუფლებამ, ოზურგეთის არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციამ იტვირთა. კოალიციამ ჯერ კიდევ 2003 წლის იანვარში გამოცხადებულ კონკურსში, რომელსაც მოქალაქეთა ინტერესების დაცვის მთავარი კომიტეტი ატარებდა, გაიმარჯვა და სოლიდური მოცულობის გრანტიც მოიპოვა. სწორედ ამ გამარჯვებული პროექტის ფარგლებში მომზადდა პროექტი "ქალაქი ილვიძებს... ანუ წყალი CAP-უტ" (CAP აბრევიატურაა).

კოალიცია მწყურვალი ოზურგეთის დაკმაყოფილებას ორი მიმართულებით იწყებს: ჯერ ერთი, მოწყობილი კამპანიებით, აქციებით, ზეგავლენის მოხდენას ხელისუფლებაზე, რითიც შექმნის სამოქალაქო ინტერესის დაცვის პრეცედენტს, ამასთან, განახორციელებს პრობლემის მოგვარების იდეოლოგიურ უზრუნველყოფას და, რაც მთავარია, ტექნიკური ზედამხედველობისა და მონიტორინგის ჯგუფის მეშვეობით პრაქტიკულ მონაწილეობას მიიღებს წყალკანალის სისტემის ტექნიკური რეაბილიტაციის პროექტის შემუშავებაში, საინჟინრო-ეკონომიკური გადაწყვეტილებების ოპტიმალურობისა და რეალურობის განსაზღვრაში; ასევე კოალიცია განახორციელებს წყალზე სამედიცინო-სანიტარულ კონტროლს და ა. შ.

ახალი პროექტის პრეზენტაციაზე, რომელიც კინოთეატრ "ოზურგეთში"გაიმართა, დამსწრეთ, პროექტის დეტალებთან ერთად, ფილმ "ერინ ბროკოვიჩის" ერთი ფრაგმენტიც უჩვენეს. ამ ფილმში წამოჭრილი პრობლემა სიმპტომატურია ოზურგეთისათვის. პრეზენტაციას მოჰყვა ლანჩი, რომელსაც არანაირი სასმელი არ ამშვენებდა, მხოლოდ პატარა კასრი იდგა წარწერით, რომელიც შიგთავსზე გამაფრთხილებლად მიუთითებდა: "ეს არის ოზურგეთის სასმელი წყალი". იმდღევანდელი შთაბეჭდილებებიდან გამომდინარე, წყალს არავინ ეკარებოდა და ლანჩიც "მშრალი კანონის'" პრინციპის სრული დაცვით ჩატარდა.

# თელაველები "ელექტროკავშირის" წინააღმდეგ გამოდიან

*თელავის მოსახლეობასა და რაიონის "ელექტროკავშირს" შორის დაპირისპირება კულმინაციას აღწევს. ამის მიზეზი, ძველი სადგურის ციფრულზე გადასვლაა, რომლის გამოც "ელექტროკავშირის" ხელმძღვანელობამ სააბონენტო გადასახადი ერთი-ორად გაზარდა.*

ზვიად რუაძე
კახეთიდან

თელავში ციფრული სადგურის გახსნის ცერემონიალი კახეთის სამხარეო ადმინისტრაციამ და "ელექტროკავშირის" ხელმძღვანელობამ დიდი ზარზეიმით აღნიშნა, მაგრამ მათი მხიარულება დიდხანს არ გაგრძელებულა. ისინი რაიონის მოსახლეობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან დიდ წინააღმდეგობას წააწყდნენ. როგორც დაპირისპირებული მხარე აცხადებს, ახალ "ატეესში" გადართვის მიზნით "ელექტროკავშირმა" არამიზნობრივი 50 ლარის გადასახადი დააწესა, რომლის ოფიციალური დოკუმენტი არ არსებობს. ამის გამო ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია "ელექტროკავშირის" გადაწყვეტილებას უსაფუძვლოს უწოდებს. **"სახელმწიფო საწარმო ვალდებული იყო, 50-ლარიან გადასახადზე გამოეცა აქტი, რომელშიც დეტალურად იქნებოდა აღწერილი გადასახადის დასაბუთება, მაგრამ როგორც ჩვენს მთავრობას სჩვევია ხოლმე, ამჯერადაც არაფრად აგდებს თავის ხალხს,"** - ამბობენ ახალგაზრდა იურისტები.

ამ ყველაფრის მიუხედავად, "ელექტროკავშირის" რაიონული წარმომადგენლობის უფროსი ბეჟან ჭიკაძე ცდილობს აბონენტებს იძულებით გადაახდევინოს გადასახადები: **"იძულებით გადახდაში იმას ვგულისხმობ, რომ თუ არ გადავიხდი გადასახადს, ტელეფონს მითიშავენ. კი, მაგრამ, როცა პენსია 14 ლარი მაქვს და მთავრობას ესეც არ ემეტება, როგორ უნდა გადავიხადო? ადგნენ და დაგვტოვონ ძველ "ატეესზე"**,- გვითხრა პენსიონერმა თამარ თუმანიშვილმა.

ადგილობრივი ხელმძღვანელობისაგან გაწბილებულმა მოსახლეობამ, სიმართლის გასარკვევად ოფიციალური განცხადებით კონტროლის პალატის სამსახურის ხელმძღვანელს, რევაზ ასათიანს მიმართა. მან კი თელაველებს წერილობით პასუხში განუმარტა, რომ ტელეფონის დადგმის ფასი 100 ლარია, ხოლო სააბონენტო - 3 ლარი. ასათიანის განცხადებას საქართველოს "ელექტროკავშირის" დირექტორი ეკონომიკის დარგში მერაბ კეკელია უსაფუძვლოს უწოდებს: **"მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ტელეფონის დადგმა 180 ლარი ღირს, სააბონენტო კი 4 ლარი. აქვე მინდა გითხრათ, რომ 50 ლარი ახალ "ატეესში" გადართვის მიზნით, საბაზრო ეკონომიკიდან გამომდინარე დადგინდა."**

ამ საკითხთან დაკავშირებით, საქმეში კომუნიკაციების და მარეგულირებელი კომისიის, მომხმარებელთა უფლებების დამცველი ლია მუხაშავრიაც ჩაერთო. იგი მოსახლეობის აღშფოთების მიზეზად, მოსახლეობამდე არასწორი ინფორმაციის მიტანას ასახელებს.

ამჯერად კი, თელავის მოსახლეობა და არასამთავრობო ორგანიზაციების უმრავლესობა კატეგორიულად მოითხოვენ, რომ ხელახლა დაიწეროს ხელშეკრულება და მოხდეს მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინება: **" სახელმწიფო როცა ხარ და წყვეტ ხალხის ბედს, უნდა დაიცვა შენივე ხალხის ინტერესები. მარტო თავიანთ ჭკუაზე რომ წყვეტენ ყველაფერს, ამიტომ ვართ აშენებულები,"**- ამბობს თელაველი 40 წლის ოთარ ბოჭორიშვილი.

# განა რაც წინადადებაა, ყველა "რაცწინადადებაა"

ნათელაშვილი "ღირსეული ხალხის" ლუსტრაციას ითხოვს

ვერიკო თევზაძე

*"პრეზიდენტი პრეზიდენტს არ ჰგავს, ქვეყანა - ქვეყანას, სიების შედგენის პროცესი - სიების შედგენის პროცესს... გუშინ კანცელარიიდან ისმოდა კარების ჯახა-ჯუხი, ლიფტების მტვრევა, ქვითინი, კვნესა და გოდება", - ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა პარტიული სიების ოფიციალურ წარდგენაზე ხაზგასმით აღნიშნა, რომ პარტია ზარზეიმისგან თავს იკავებს და იგი პრეზენტაციას მოაწყობს ოთხი წლის შემდეგ, როცა "ლეიბორისტული პარტიის" დეპუტატებს მორალური უფლება ექნებათ, ხალხს თვალებში შეხედონ."*



ნათელაშვილი მათ ლუსტრაციას ითხოვს.

"ლეიბორისტების" სიაში პირველი კაცი თავად ნათელაშვილია. ბატონი შალვას განმარტებით, ამგვარი გადაწყვეტილება პარტიამ მიიღო. თუმცა, მოგვიანებით მან ამის გამომრიცხავი რამ ბრძანა: **"ჩემი პოლიტიკური მოღვაწეობის მანძილზე პირველად მომეცა შესაძლებლობა, მე თვითონ შემედგინა სია."**

ნათელაშვილის განმარტებით, პირველი ათეული (შალვა ნათელაშვილი, ფრიდონ ინჯია, გოდერძი ჩოხელი, გიორგი გუგავა, იოსებ შატბერაშვილი, პაატა ჯიბლაძე, კონსტანტინე გუგუშვილი, თამაზ ძაგანია, გედევან დანელია, რევაზ ჩხიკვიშვილი) პოლიტიკური ნიშნის მიხედვით დაკომპლექტდა. მომდევნო ათეულშიც პარტიის წევრები არიან, მაგრამ ისინი პროფესიული ნიშნის მიხედვით შერჩნენ. "ლეიბორისტების" სიაში ირიცხება ორი აკადემიკოსი, ოთხი პროფესორი, ცხრა დოცენტი, ამდენივე პედაგოგი, ხუთი ხელოვანი, სამი არქიტექტორი, ორი ჟურნალისტი და სამი ადამიანი მცირე და საშუალო ბიზნესიდან. **"ახალი და სახელოვანი ფიგურების სახით, ჭოკზე მხტომელები და ბოქსიორები ჩვენ არ გვჭირდება"**, - იკბინება საშემოდგომოდ ბატონი შალვა.

გუშინდელი წარდგენისას, პარტიის წევრები ჩუმ-ჩუმად გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას სიების დაკომპლექტების გამო. მათგან განსხვავებით, ჯონდი ბაღათურია 25-ე ნომრობას არ იმჩნევდა: **"მე საერთოდ არ მინდოდა სიაში ჩაწერა, მაგრამ ამას კანონმდებლობა მოითხოვს, თანაც ბატონმა შალვამ არ დაიშალა და, ყოველი შემთხვევისთვის, თადარიგი დაიჭირა"**, - მაჟორიტარ კანდიდატ ბაღათურიას საბურთალოზე გამარჯვების იმედი არ ტოვებს. თუმცა, არც მთლად ასეა საქმე. **"ჯონდი ბაღათურია ცნობადი პოლიტიკური მოღვაწეა, მაგრამ ახალი მოსულია პარტიაში და, ამდენად, გასათვალისწინებელი იყო ბევრი რამ... იგი მოხვდა 25-ე ნომრად - საკმაოდ ღირსეული ადგილია, მის შემდეგ მოდის ბევრი პარტიული ფუნქციონერი. ერთი სიტყვით, "ლეიბორისტული პარტია" ძალიან ადამიანურად დადგა მის გვერდზე, როგორც ამას ბატონი ჯონდი იმსახურებდა."** "გასათვალისწინებელ ბევრ რამეში" რა იგულისხმება, არ ვიცი, მაგრამ სრულიად ნათელია ნათელაშვილის მინიშნება, რომ მან ბაღათურიასადმი თანაგრძნობა გამოიჩინა. აბა, სხვას რას უნდა ნიშნავდეს პარტიის "ადამიანურად" გვერდზე დგომა. ნათელაშვილი ბატონ ჯონდიზე იმასაც ბრძანებს, ჩვენი ახალი წევრიაო. ლეიბორისტებთან "ჯვრისწერის" დღეს ბაღათურიამ მასმედიას მოახსენა, "ლეიბორისტულ პარტიასთან" ხუთი წელია ვთანამშრომლობ, ამ ხნის განმავლობაში ერთად ვებრძოდით კორუფციასო. რას იზამ, როგორც ჩანს, რაგინდ მებრძოლი ბაღათურია არ უნდა იყო, შტატგარეშეობას სტაჟში მაინც არ ჩაგითვლიან.

შალვა ნათელაშვილის წინასაარჩევნო პროგნოზი ასეთია: **"დღეს ქვეყანაში ორი პოლუსია: ან შევარდნაძე, თავისი სატელიტებით, ან "ლეიბორისტული პარტია". გამარჯვების შემთხვევაში ჩვენ ავაყვავებთ საქართველოს ფიზიკური და სულიერი გაგებით. თუ "ლეიბორისტული პარტია" უმრავლესობაში ვერ მოვიდა, საქართველოს ელოდება დიდი განსაცდელი შევარდნაძიზმის, მინიმუმ, 50-წლიანი ბატონობისა - მან გამოზარდა იმდენი თავზეხელაღებული, რომ მათგან განკურნება ბევრად უფრო ძნელი იქნება, ვიდრე კიბოს წამლის გამოგონება."**

შალვა ნათელაშვილმა გუშინ ერთი "რაცწინადადება" წამოაყენა: იგი თავისი პარტიული სიის ლუსტრაციის ინიციატივით გამოდის და უშიშროების სამინისტროს, შსს-ს და დაზვერვის დეპარტამენტს სთხოვს, სიების გადამოწმებას არჩევნებამდე, **"რათა მომავალ პარლამენტში კორუმპირებულები არ მოხვდნენ."** ამაზე იტყვიან: განა რაც წინადადებაა, ყველა "რაცწინადადებაა"! როგორ შეიძლება, "ღირსეულ ადამიანებს" (ბატონი შალვას სიტყვებით რომ ვთქვათ) ერთდროულად "გარანტადაც უდგებოდე" და, იმავდროულად, მათ აგენტობასა და კორუმპირებულობაში ეჭვი გეპარებოდეს? იქნებ, მართლა ესაა რაციონალური, ანუ როგორც კომუნისტების ეპოქაში შემოკლებით უწოდებდნენ, რაცწინადადება?

ორი სიტყვით

**ქუთაისი.** გუშინ ქუთაისში ქართველი, აზერბაიჯანელი, სომეხი, რუსი და ჩეჩენი ახალგაზრდები შეიკრიბნენ. ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა "მრგვალი მაგიდა" მოაწყვეს თემაზე "კონფლიქტების დარეგულირება სამშვიდობო გზებით". აღნიშნული შეხვედრა ევროსაბჭოს ეგიდითა და ფინანსური მხარდაჭერით იმართება. ახალგაზრდებმა შეიმუშავეს ერთობლივი წინადადებები, რომლებიც საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, რუსეთისა და ჩეჩნეთის მეთაურებს დაეგზავნებათ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომების მონაწილეთა მიერ 1 ოქტომბერს გმირთა მოედანზე ხელისუფლების წინააღმდეგ დაწყებულ აქციას გუშინ გორელი და კასპელი ვეტერანი მეომრები შეუერთდნენ. "არჩევნებში შევარდნაძის გამარჯვება - საქართველოს დამარცხებაა" - ამ ლოზუნგით გმირთა მოედანზე მიმდინარე აქციაში 50-მდე თბილისელი ვეტერანი მეომარი მონაწილეობდა. გუშინ მათ გორიდან - 15 და კასპიდან 10 ვეტერანი შეუერთდა. აქციის მონაწილე აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომების ვეტერანები ოპოზიციას სამართლიანი არჩევნების ჩასატარებლად თანამშრომლობისაკენ მოუწოდებენ და 2 ნოემბრის შემდეგ, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემების მოსაგვარებლად საკუთარ პროგრამას სთავაზობენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიტიკური გაერთიანება "ახალი მემარჯვენეების" ლიდერებმა გუშინ სამეგრელოს რეგიონში წინასაარჩევნო გასვლა მოაწყვეს. პარტიის ლიდერებმა დავით გამყრელიძემ და ვალერი კვარაცხელიამ გუშინ წალენჯიხის რაიონში პარტიის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად ექიმი გიორგი ცანავა წარადგინეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ახალციხის სამხედრო ბრიგადის შტაბში გუშინ სამხედრო წვრთნები გაიმართა. ტაქტიკურ წვრთნებში მონაწილეობა მიიღო ახალციხის ბრიგადის გაძლიერებულმა ასეულმა. წვრთნებს საქართველოს თავდაცვის მინისტრი, გენერალ-ლეიტენანტი დავით თევზაძე და ქვეყნის სამხედრო ელიტის სხვა წარმომადგენლები დაესწრნენ. წვრთნები ერთდღიანია და გუშინვე დასრულდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიტიკური გაერთიანება "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" დღეს ბორჯომში საკუთარ კანდიდატს წარადგენს. ამ რაიონში მაჟორიტარ დეპუტატად კენჭს ყოფილი სპორტსმენი რევაზ აიწურაძე იყრის. რევაზ აიწურაძე ამჟამად თბილისის საკრებულოს წევრია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ბოლნისის რაიონი კვლავ ხელისუფლებასა და "ნაციონალურ მოძრაობას" შორის დაპირისპირების კერად რჩება. როგორც გუშინდელ პრესკონფერენციაზე "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, ქვემო ქართლის რაიონების მისადგომებთან "ნაციონალების" წინააღმდეგ გულუას სახელობის სპეცდანიშნულების რაზმი და სამხედრო დანაყოფებია მობილიზებული. მიუხედავად ამისა, სააკაშვილის განცხადებით, "ნაციონალები" უკან დახევას არ აპირებენ".

"ამჟამად "ნაციონალური მოძრაობა" ბოლნისის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის ქამალ მურადხანოვის რეგისტრირების პროცედურის დასრულებას ელის, მომავალი კვირიდან კი ქვემო ქართლის უკლებლივ ყველა რაიონში ამომრჩევლებთან შეხვედრას ვგეგმავთ," - აღნიშნა მან. სააკაშვილის მომავალი კვირის გეგმაში სენაკის რაიონში ვიზიტიც შედის. **ინტერ-პრესი**

# ამომრჩეველთა ნიჰილიზმი

პირველი გვერდიდან

არადა, ჩვენ ისიც კარგად გვესმის, რომ არჩევნების გაყალბების ყველაზე მსუყე ნიადაგს სწორედ რომ ამომრჩეველთა სიები იძლევა. საერთოდ, საქართველოში საარჩევნო სიების გაბერვის მრავალწლიანი პრაქტიკა არსებობს. დღეს აღარავის ჭრის ყურს პოლიტიკური პარტიების განცხადებები იმის თაობაზე, რომ ეს მონაცემები გაბერილი და არასწორია, რომ მომავალ საპარლამენტო არჩევნების დროს კვლავ დატრიალდება საარჩევნო კარუსელები, კვლავ დაიბეჭდება საჭიროზე გაცილებით მეტი ბიულეტენები და ა.შ.

დღეს საქართველოში არ არსებობს არც ერთი ოფიციალური სტრუქტურა, რომელიც მიახლოებით მაინც დაასახელებს ამომრჩეველთა რიცხვს. დღემდე გამართული ნებისმიერი არჩევნების მიმდინარეობის ელემენტარული ანალიზით თუ ვიმსჯელებთ, ეს რიცხვი პარტიების ინტერესებიდან და მათი ურთიერთგარიგებებიდან გამომდინარე მერყეობს.

არასწორია მოსაზრება, რომ ყველა წინა არჩევნების დროს ამომრჩეველთა სიებზე პასუხისმგებლობა მხოლოდ იმ დროს მმართველმა პარტიამ უნდა აიღოს. არჩევნებს აყალბებდა ყველა, ვისაც ამის მინიმალური შესაძლებლობა ჰქონდა. პოლიტიკური პასუხიმგებლობა კი იმ სახელმწიფო მანქანას და რეალურად მმართველ პოლიტიკურ კასტას ეკისრება, რომელიც დღემდე მართავს საქართველოს და რომელმაც ვერა და ვერ მოახერხა საკუთარ ქვეყანაში მცხოვრები მოქალაქეების ელემენტარული აღრიცხვიანობის მოწესრიგება. დღემდე უცნობია, რამდენი ადამიანი ცხოვრობს საქართველოში და რამდენია მის ფარგლებს გარეთ ლეგალურად თუ არალეგალურად გასული, აბსოლუტურად გაურკვეველია, ასევე, იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობაც.

ბუნებრივია, ნებისმიერი არჩევნების დროს ამ მდგომარეობით სწორედ ის პოლიტიკური ორგანიზაცია იხეირებს, რომელიც სახელისუფლებო მანქანის საყრდენს წარმოადგენს. ამ "ტორტის" მოზრდილი ნაწილი იმ პარტიებსაც ხვდებათ წილად, რომლებიც პრეზიდენტისთვის მისაღებ ძალასთან საერთო ენას გამონახავენ.

ასე იყო ნებისმიერი წინა არჩევნების დროს. გაყალბებულ სიებზე მხოლოდ ის პარტიები ყვიროდნენ, რომლებიც გარიგებებს მიღმა აღმოჩნდებოდნენ ხოლმე. მაგალითისთვის თუნდაც "აღორძინების კავშირიც" კმარა. 1999 წლის არჩევნების შედეგებით უკმაყოფილო "აღორძინებას" გაყალბებულ სიებზე არაერთი მკვეთრი განცხადება გაუკეთებია, თუმცა, ზუსტად რვა თვის თავზე, 2000 წლის 9 აპრილს იმავე საარჩევნო სიებით გამართული საპრეზიდენტო არჩევნების მსვლელობაზე, როგორც იტყვიან, კრინტიც არ დაუძრავს (მაშინ აბაშიძემ მხარი შევარდნაძეს დაუჭირა).

რა იქნება 2 ნოემბერს? - ეს შეკითხვა საკმაოდ აქტუალურია. ყველასათვის ცხადია, რომ იგი ერთობ მნიშვნელოვანი თარიღია ჩვენი ქვეყნის უახლოეს ისტორიაში, რადგან იგი პოლიტიკურ ძალთა გადანაწილების პროცესის ლოგიკური დასასრულის ფუნქციას იტვირთებს.

ამომრჩეველთა ნიჰილიზმი კი მატულობს. უმრავლესობას არ სურს არჩევნებზე მისვლა, რადგან სჯერა, რომ მისი ხმა გაყალბდება. დავუმატოთ ამას ხელისუფლების უაღრესად დაბალი რეიტინგი და დასკვნა თავისით მოვა – არჩევნების გაყალბების გარეშე შევარდნაძის გუნდს პარლამენტში მოხვედრა აშკარად გაუჭირდება.

ასე რომ, თუკი საზოგადოება კვლავ ინდიფერენტულად მოეკიდება საკუთარი ქვეყნის მომავალს, 2 ნოემბრის არჩევნები კვლავ ტოტალური გაყალბებებით და გაბერილი ამომრჩეველთა სიების თანხლებით წარიმართება. თავად სიებში კი მითითებული იქნება არარსებული ქუჩები და ასევე არარსებული მოქალაქეები, ხოლო საარჩევნო ბიულეტენების გარეშე დარჩებიან იმ პარტიათა აქტივისტები, რომლებიც მმართველი კასტისთვის დღეს უკვე მიუღებელნი არიან.

ერთადერთი გამოსავალი ამომრჩევლის აქტიურობაა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერ შევძლებთ საკუთარი არჩევანის დაცვას. არადა, ერთადერთი, ვინც 2 ნოემბრის არჩევნებს წააგებს, ისევ ჩვენ – საქართველოს რიგითი მოქალაქეები ვიქნებით.

# ამერიკა არსად წასვლას არ აპირებს

პირველი გვერდიდან

რაც შეეხება ჯაზს, მე მგონი, ქართველები მას ისედაც ძალიან კარგად იცნობენ.

ამერიკული კულტურა მთელი მსოფლიოს კულტურებისაგან შედგება და ამიტომ, ამბობენ, რომ ამერიკის ისტორია მთელი მსოფლიოს ისტორიაა. ასე მაგალითად, ბალანჩინი ამერიკული კულტურის ნაწილია, მიუხედავად იმისა, რომ იგი საქართველოდანაა.

მინდა, ქართველებს გავაცნო ამერიკული საბავშვო ლიტერატურა და გადაცემები. უფროსებს ხშირად არა აქვთ ტელევიზორის ყურების და წიგნების კითხვის დრო, მაშინ როდესაც, ბავშვებს ყოველთვის სცალიათ. ასე რომ, ესეც ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან მსოფლმხედველობა სწორედ ამ პერიოდში ყალიბდება. ვფიქრობთ ამერიკული საბავშვო წიგნების თარგმნასაც.

**- თუ არსებობს ამერიკული ცხოვრების ისეთი ასპექტი, რომელიც ყველა ქვეყანაში მოსწონთ?**

- ამერიკისადმი განსხვავებული დამოკიდებულების მიუხედავად, არის ერთი რამ, რომელიც ყველას აღფრთოვანებას იწვევს. ესაა "ამერიკული ოცნება", ანუ შესაძლებლობა იმისა, რომ შეიძლება ყველაზე უბრალო, ყველაზე ჩვეულებრივ ოჯახში დაიბადო და კოლინ პაუელი ან ბილ გეიტსი გახდე. იმისა, რომ ეს ოცნება შეიძლება ასრულდეს, ყველას სჯერა, რადგან ყველა ქვეყანაში არიან ბავშვები, რომლებიც ამერიკაში მიდიან და ძალზე წარმატებული ადამიანები ხდებიან. თუმცა, რასაკვირველია, ყველას ასე არ უმართლებს. მაგრამ, ჩვენ ყველას ვაძლევთ საშუალებას, სცადოს. ამერიკა სიამოვნებით იღებს ნიჭიერ ხალხს ყველა ქვეყნიდან.

**- რა არის ისეთი, რაც არ მოსწონთ?**

- არის საგარეო პოლიტიკის ზოგიერთი ასპექტი, რომელიც ზოგს არ მოსწონს. სხვები აკრიტიკებენ ამერიკულ "ფასტ ფუდის" კულტურას, ამაზე მთელი წიგნებია დაწერილი. ზოგან არ მოსწონთ მაკდონალდსი. კაცმა რომ თქვას, თუ არ მოგწონს, არც არავინ გაძალებს.

როცა ჩვენი კულტურა არ მოსწონთ, ეს გემოვნების საკითხია, მაგრამ როდესაც საგარეო პოლიტიკა არ მოსწონთ, საჭიროა გარკვეული ნაბიჯების გადადგმა

**- იმ ქვეყნებში, სადაც თქვენ მუშაობდით, იყო თუ არა შიში, რომ გლობალური კულტურა შთანთქავდა მათ კულტურებს?**

- ბოლოს ვმუშაობდი ჯიბუტიში, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში და კომოროს კუნძულებზე. ამის მათ არც ისე ეშინოდათ, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ გლობალური კულტურა იქამდე არც ისე დიდი დოზებით აღწევდა, თანაც არის რაღაც აფრიკულ ტრადიციაში, რასაც ვერაფერი შეარყევს. ასევე, ძალზე მყარი საფუძველი აქვს ქართულ კულტურას (უხერხულიც კია, რომ ქართულ კულტურას აფრიკულთან ერთად ვახსენებ, იმდენად სხვადასხვა ადგილებზე დგას ისინი). არა მგონია, გლობალური კულტურა ამ ფესვებს ემუქრებოდეს, პირიქით, მას ბევრ რამეს მატებს კიდეც. თუმცა, ეს ჩემი აზრია.

**- როგორი იმიჯი აქვს ამერიკას საქართველოში?**

- ადამსის ვიზიტის შემდეგ, ამერიკისადმი დამოკიდებულება რამდენამდე შეიცვალა. სამწუხაროდ, ქართულმა პრესამ ეს ვიზიტი მთლად სწორად ვერ გააშუქა. მას ბევრი ისეთი რამე მიაწერეს, რაც არ უთქვამს. მას არ უთქვამს, მაგალითად, რომ ამერიკა საქართველოს ყოველგვარ დახმარებას უჩერებს, მას არ დაუსახელებია რომელიმე გუბერნატორი, მან მხოლოდ მიანიშნა. პრესამ კი ერთი აურზაური ატეხა, რომ ამერიკა საქართველოდან მიდის.



არჩევანი საუკეთესო შანსია საქართველოსთვის. ეს ისტორიული მომენტია.

ვინც ასე ფიქრობს, ვურჩევდი, წავიდეს და ნახოს საელჩოს ახალი კომპლექსი, რომელსაც ჩვენ დიღომში ვაშენებთ. კარვის ქალაქს ის არაფრით მოგაგონებთ. ჩვენ არსად წასვლას არ ვაპირებთ.

ბოლო ხანებში გავრცელდა აზრი, რომ ჩვენი ინტერესი საქართველოს მიმართ მცირდება. გარწმუნებთ, ეს ძალიან შორსაა სიმართლისაგან. ჩვენ გვაღელვებს საქართველოში შექმნილი მდგომარეობა და იმედი გვაქვს, რომ ეს ქვეყანა წარმატებებს მიაღწევს

**- რა გავლენას იქონიებს არჩევნები ორმხრივ ურთიერთობაზე?**

- არჩევნები საუკეთესო შანსია საქართველოსათვის, რათა მან დაამტკიცოს, რომ იგი დემოკრატიის გზით მიდის. ეს ისტორიული მომენტია.

**- როგორ ხედავთ ამერიკა-საქართველოს ურთიერთობების მომავალს?**

- კვლავინდებურად გავაგრძელებთ დახმარებას განათლების, დემოკრატიზაციისა და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის სფეროში. დავეხმარებით სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფონდს, საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტს, ამერიკულ აკადემიას, სხვა ინსტიტუტებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ საქართველოში შესაძლებლობების გაზრდას.

მართალია, წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა მთავრდება, მაგრამ სამხედროებს შორის ურთიერთობები გაგრძელდება. ზოგადად, საქართველოსა და ამერიკას შორის ურთიერთობები კვლავინდებურად გულთბილი იქნება.

**- საქართველოში უამრავ ახალგაზრდას სურს ამერიკაში განათლების მიღება. რა გზას უნდა დაადგნენ ისინი?**

- ჩვენ უამრავი საგანმანათლებლო პროგრამა გვაქვს, რომლებიც რამდენიმე კვირიდან რამდენიმე წლამდე გრძელდება. სასტუმრო შერატონში კვირას მთავრდება სპეციალური გამოფენა, რომელიც ამ საკითხებს ეძღვნება, უნივერსიტეტის მეორე კორპუსში ფუნქციონირებს ასოციაცია "კვალის" საგანმანათლებლო-საკონსულტაციო ცენტრი. სტუდენტებს ჩვენი საელჩოს საზოგადოებასთან ურთიერთობების განყოფილებაც სიამოვნებით დაეხმარება. თუ კითხვაზე პასუხი ვერ მიიღეს, შეუძლიათ მე დამიკავშირდნენ მისამართზე: paotbil@pd.state.gov

**- და ბოლოს, სად ისწავლეთ ქართული ენა?**

- ვაშინგტონში რვა თვის განმავლობაში ვსწავლობდი ქართულს. კარგად ვკითხულობ და სანამ იქ ვიყავი, მეგონა, რომ ყველაფერი მესმოდა, მაგრამ რაც აქ ჩამოვედი, ბევრი რამ არ მესმის. თქვენ ძალიან სწრაფად ლაპარაკობთ.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# რატომ უნდა მიაქციოს ამერიკამ ყურადღება სამხრეთ კავკასიას?

პირველი გვერდიდან

**"მე ვიცი, რომ ამ საკითხზე საქართველოში ბევრს ლაპარაკობენ. ეს ხაზს უსვამს საქართველოს სურვილს, რომ შეერთებულმა შტატებმა რუსეთზე ზემოქმედება მოახდინოს, რადგან რუსეთთან ურთიერთობაში საქართველოს სუსტი პოზიციები აქვს. მაგრამ მე არა მგონია, რომ ეს ეხლა შესაძლებელი იყოს, რადგან ამერიკას ძალიან ბევრ პრობლემასთან უხდება გამკლავება. თანაც, ბოლომდე გარკვეული არაა, მზადაა თუ არა მოსკოვი, დაეთანხმოს ამერიკის მესამე მხარედ მონაწილეობას საქართველოსთან მოლაპარაკებების დროს,"** - ამბობს ზეინო ბარანი. მისი აზრით, როდესაც საქართველოს სჭირდებოდა გამოქომაგება, რუსეთის მხრიდან საავიაციო აგრესიის ან პანკისის პრობლემის დროს, მერიკა ყოველთვის გვერდში ედგა საქართველოს. მაგრამ ეს არაფორმალური სამმხრივი თანამშრომლობაა და ჯერჯერობით, ალბათ, ასეც გაგრძელდება.

ლიტვაში გამართულ სემინარზე ზეინო ბარანის მოხსენებას მრავალისმთქმელი სათაური ჰქონდა: **"რატომ არის მნიშვნელოვანი ამერიკის შეერთებული შტატებისთვის კავკასიისადმი ყურადღების მიპყრობა".**

ამ თვალსაზრისის განზოგადებისას, ნიქსონის ცენტრის საერთაშორისო უსაფრთხოებისა და ენერგეტიკული პროგრამების დირექტორი, შეიძლება ითქვას, რომ სულაც არ არის ორიგინალური. ზეინო ბარანს მიაჩნია, რომ სამხრეთ კავკასიის ენერგეტიკული პროექტებისა და სატრანსპორტო დერეფნის სრული დატვირთვით ამოქმედება, რაშიც შეერთებულ შტატებს დიდი წვლილი მიუძღვის, რეალურად გააძლიერებს საქართველოს და აზრებაიჯანის პოზიციებს. მაგრამ ამ თეზას აქვს ერთგვარი ანტითეზაც. მაგრამ, ე.წ. გაყინული კონფლიქტების არსებობა აფერხებს რეგიონის ეკონომიკურ განვითარებას და ქმნის იმის საფრთხეს, რომ რადიკალური ისლამისტური და ტერორისტული დაჯგუფებები, რომლებიც დაინტერესებული არიან ნარკოტიკებისა და იარაღის ტრანზიტით ევროპის მიმართულებით, შეეცდებიან გამოიყენონ ეს უკუნტროლო ტერიტორიები.

ზეინო ბარანის შეფასებით, კავკასიის სტაბილურობისთვის მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება, თუ თურქეთი საზღვარს გაუხსნის და ეკონომიკური ინტეგრაციის საშუალებას მისცემს სომხეთს, რაც შეასუსტებდა რუსეთის გავლენას მის მთავარ სამხრეთკავკასიურ ფორპოსტზე და შესაბამისად კავკასიაზეც.

საგულისხმოა, რომ ამავე თვალსაზრისს იზიარებს გარდამავალ პერიოდში დემოკრატიათა პროექტის თავმჯდომარე, აშშ-ში ნატო-ს კომიტეტის თავმჯდომარე **ბრიუს ჯექსონი**, რომელმაც სტეფანაკერტში სტუმრობისას ოთხშაბათს განაცხადა, რომ **"სომხეთ-თურქეთის საზღვრის გახსნისა და მთიანი-ყარაბაღის პრობლემის მოგვარების გარეშე, სამხრეთ კავკასიის სრულფასოვან განვითარებაზე ლაპარაკი არ შეიძლება."**

ჩვენთან ექსკლუზიურ ინტერვიუში თურქეთ-სომხეთის საზღვარს, მისი სრული გაუმჭვირვალობის გამო, ნიქსონის ცენტრის საერთაშორისო უსაფრთხოებისა და ენერგეტიკული პროგრამების დირექტორი "ცივი ომის" რეციდივს უწოდებს. თუმცა, ასეთი რეციდივები, როგორც ირკვევა, მრავლად არის თავად სამხრეთ კავკასიული ქვეყნების პოლიტიკურ ცხოვრებაშიც.

როგორც ჩვენთან საუბარში ექსპერტმა განაცხადა, არანაკლებ პრობლემას წარმოადგენს სამხრეთი კავკასიისთვის ქვეყნების ხელისუფლების სუსტი ლეგიტიმურობა. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს სომხეთის და აზერბაიჯანის შემთხვევაში, რაც საშუალებას არ აძლევს მათ მიაღწიონ გონივრულ კომპრომისს მთიანი-ყარაბახის საკითხში. გონივრული კომპრომისი კი ზეინო ბარანს ასე წარმოუდგენია: **"იმისთვის, რომ კონფლიქტები გადაიჭრას, საჭიროა კომპრომისების მიღწევა. მე ახლა არ მინდა დავაზუსტო, თუ ვინ რა დოზის კომპრომისზე უნდა წავიდეს. მაგრამ, ყარაბახის შემთხვევაში, სომხეთსა და აზერბაიჯანს მთელ რიგ დათმობებზე წასვლა მოუწევთ. აქ არის რამდენიმე მოსაზრება და დოკუმენტი, მათ შორის ერთ-ერთი უკანასკნელი ეუთო-ს ეკუთვნის, რაც ორივე მხარისაგან კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას ითხოვს. რაც შეეხება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს, ამ შემთხვევაში საქართველოს ხელისუფლებას მოეთხოვება, რომ ქვეყანა უფრო მიმზიდველი გახადოს სეპარატისტული რეგიონებისთვის. მაგრამ სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებს სჭირდებათ ხელისუფლებები, რომლებსაც საკმარისი ლეგიტიმურობა და საკმაო ნდობა ექნებათ, რათა ეს კომპრომისები განხორციელდეს."**



*ნიქსონის ცენტრის საერთაშორისო უსაფრთხოებისა და ენერგეტიკული პროგრამების დირექტორი ზეინო ბარანი.*

ზეინო ბარანი, ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას სამართლიანი და ობიექტური არჩევნებით ხელისუფლების შეცვლის პოლიტიკური ტრადიციის არარსებობაზე ამახვილებს. ნიქსონის ცენტრის საერთაშორისო უსაფრთხოებისა და ენერგეტიკული პროგრამების დირექტორის შეფასებით, 2003 წლის მარტში სომხეთში ჩატარებულმა საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებმა, უამრავი დარღვევის გამო, ვერ აღჭურვა პრეზიდენტ ქოჩარიანის ხელისუფლება საკმარისი ლეგიტიმურობით. თუ იგივე განმეორდება 15 ოქტომბერს აზერბაიჯანში და 2005 წელს საქართველოში, თუ დემოკრატიული რეფორმები დეკორაციის დონეს ვერ გასცდა, მაშინ, შესაძლოა, შეერთებულმა შტატებმა გადახედოს თავის სამხრეთკავკასიურ პოლიტიკას.

**"თუ კავკასიის ქვეყნები არ ეცდებიან მიაღწიონ პროგრესს საშინაო საქმეებში, მაშინ ბევრი ადამიანისთვის აქ გაურკვეველი იქნება, თუ რატომ უნდა აიღოს საკუთარ თავზე შეერთებულმა შტატებმა ამხელა ვალდებულება. რადგან ამერიკას ახლა იმდენი გლობალური პრობლემისა თუ გამოწვევის გამკლავება უხდება, რომ, თუ კავკასიის ქვეყნები არ ეცდებიან თავადაც გაანძრიონ ხელი და გაიუმჯობესონ მდგომარეობა, მაშინ, მე მგონია, რომ ამერიკას გაუჭირდება შეინარჩუნოს ვალდებულების ეს დონე კავკასიის ქვეყნების მიმართ და, შესაძლოა, გამოჩნდეს სხვა რეგიონები, სადაც მისი დახმარება უფრო შედეგიანი იქნებოდა."**

ნიქსონის ცენტრის საერთაშორისო უსაფრთხოებისა და ენერგეტიკული პროგრამების დირექტორი ამბობს, რომ საქართველოსა და აზარებაიჯანისთვის 2003-2005 წელი, რომლის დროსაც ამ ქვეყნების ახალი ხელმძღვანელების არჩევა უნდა მოხდეს, ძალიან კრიტიკული პერიოდია და ამ პერიოდში შეერთებულმა შტატებმა და ნატო-მ მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ კავკასიის ქვეყნებს. თუ საერთაშორისო ყურადღება შესუსტდება, ზეინო ბარანი შიშობს, რომ ეს რეგიონი, შესაძლოა, კვლავ სისხლისმღვრელი კონფლიქტების არენად იქცეს.

ზეინო ბარანმა მოახლოებულ არჩევნებთან დაკავშირებით საქართველოში, კიდევ ერთი მეტად საგულისხმო განცხადება გააკეთა. თავის დროზე საქართველოს ფორუმის დამაარსებელი პოლიტიკოსი ქალი მოუწოდებს საქართველოს პოლიტიკურ ძალებს, რათა ოპონენტებზე ზემოქმედების მოხდენისთვის, უარი თქვან გასამხედროებული ძალისა და შეიარაღებული ჯგუფების გამოყენებისგან და შეახსენებს ქართველ პოლიტიკოსებს ახლო წარსულის მწარე გამოცდილებას, როდესაც პარამილიტარიზებული ჯგუფები შიშის ზარს სცემდნენ საქართველოს მოსახლეობას.

# რუსთავის მერი "კმარას" გვერდით

მაია მოსიაშვილი

ასეთი შინაარსის ლოზუნგებით დაამშვენეს გუშინ თბილისიდან ჩამოსულმა "კმარელებმა" რუსთავის და სამხარეო პოლიციის, ასევე სამხარეო ადმინისტრაციის მიმდებარე ხეები და ელექტრობოძები. პოლიციელებმა ოპერატიულად აღმოფხვრეს "დანაშაული", ისინი ლამის უკან დასდევდნენ "კმარელებს" და ახლადგაკრულ ფურცლებს ადვილად უკეთებდნენ კონფისკაციას.

**"ჩვენ ამ აქციით ვაპროტესტებთ ერთი კვირის წინ რუსთავის პოლიციის თანამშრომლების მიერ უდანაშაულო ახალგაზრდა კაცის, 23 წლის თენგიზ თანდილაშვილის მკვლელობას. ჩვენი ინფორმაციით, ბრალდებულ დავით მჭედლიშვილზე, რომელიც რუსთავის პოლიციის შეფის, ასევე დავით მჭედლიშვილის უახლოესი ნათესავია, საქმე აღძრულია განზრახ მკვლელობის მუხლით, თუმცა არა დამამძიმებელი გარემოებებით, არამედ შემამსუბუქებელით. ასევე იფარება ამ მკვლელობაში მონაწილე სხვა პოლიციელების ვინაობა,"** - განმარტეს "კმარას" აქტივისტებმა.

სამხარეო ადმინისტრაციის წინ მიმდინარე აქციას რუსთავის მერი მერაბ ტყეშელაშვილი შემთხვევით შეესწრო. "კმარას" მოწოდებას - "კმარა მკვლელები პოლიციაში", ის სრულად დაეთანხმა და განაცხადა, რომ ის გმობს პოლიციელთა მხრიდან უდანაშაულო მოქალაქის მკვლელობას. "კმარელებმა" მერს შესთავაზეს, ჩვენი პოზიციების თანხვედრა იქნებ იმით დაგვიდასტუროთ, რომ ერთი პლაკატი თქვენც გააკრათო. ტყეშელაშვილი დათანხმდა და თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხელისუფლების ათასობით წარმომადგენელს შორის, ის ჯერჯერობით ერთადერთია, ვინც "კმარას" პოზიცია საჯაროდ გაიზიარა.

"ბატონო მერაბ, ნუთუ "კმარას" აქტივისტი გახდით?" ჩვენს ამ კითხვაზე ქალაქის მერი გულიანად ხარხარებს და ასეთ პასუხს იძლევა: **"მე მგონი უკვე დროა, ყველამ ვთქვათ "კმარა" ბევრ რამეზე."**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერი მიხეილ სააკაშვილი ახალი მოწვევის პარლამენტში სულ მცირე, 50 დეპუტატის გაყვანას ვარაუდობს. სააკაშვილს მიაჩნია, რომ 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური ძალებიდან მხოლოდ "ნაციონალურმა მოძრაობამ" წარმოადგინა განახლებული საარჩევნო სია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ახმეტა.** ახმეტაში "ერთობის" აქტივისტებსა და ადგილობრივ პოლიციას შორის მომხდარი ინციდენტის შემდეგ უსიამოვნებები გუშინაც გაგრძელდა. პანკისიდან ახმეტისკენ მოძრავ "ერთობის" მხარდამჭერთა 2 მიკროავტობუსს სოფელ დუისში მოზარდებმა ქვები დაუშინეს, ბლოკ-საგუშაგოებზე კი ძალოვანებმა სხვადასხვა მიზეზით დაბრკოლებები შეუქმნეს. ქვების სროლისას მსუბუქად დაშავდა რამდენიმე მგზავრი და პოლიტიკური გაერთიანება "ერთობის" ახმეტის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ნონა ალდამოვა-ჯაფარიძე, რომელიც ბლოკის ლიდერმა ჯუმბერ პატიაშვილმა გუშინ ოფიციალურად წარუდგინა ამომრჩევლებს.

მომხდარს ბლოკის ლიდერი ხელისუფლებას უკავშირებს. "ის ქმედებები, რომლებსაც ხელისუფლება კონკურენტების მიმართ ახორციელებს, მას უკან ხალხის სიძულვილის სახით დაუბრუნდება," - განაცხადა პატიაშვილმა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** უზბეკეთის პრეზიდენტი ისლამ ქარიმოვი 9 ოქტომბერს თბილისს ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით ეწვევა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** არასახელისუფლებო ბლოკის "სამშობლოს" ლიდერი თემურ ჟორჟოლიანი საქართველოს ხელისუფლებას სერიოზული ქუჩის აქციებით ემუქრება, თუ ცენტრალური საარჩევნო კომისია ბლოკის სიაში პირველ ნომრად მყოფ იგორ გიორგაძეს არჩევნებში მონაწილეობის უფლებას არ მისცემს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ბათუმში გრძელდება რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის გამსვლელი სხდომა, რომელიც შავი ზღვის აუზის ეკოლოგიის პრობლემებს ეძღვნება. რუს მეცნიერთა ინიციატივით, აჭარის მეთაურს ასლან აბაშიძეს მოსკოვის დიმიტრი მენდელეევის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭა. აღსანიშნავია, რომ ეს წოდება წელიწადში ერთხელ მსოფლიოს საუკეთესო მეცნიერებს ენიჭებათ. დღემდე მისი მფლობელი 12 ცნობილი მეცნიერია. **მედია-ნიუსი**


საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA
JOINT-STOCK COMPANY

ანაბრები და დეპოზიტები

"საქართველოს ბანკი" გთავაზობთ ვადიანი და მოთხოვნამდე ანაბრებზე და დეპოზიტებზე თანხის განთავსებას ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში შემდეგი საპროცენტო განაკვეთებით (წლიური)

| ვადები | ეროვნულ ვალუტაში | უცხოურ ვალუტაში (აშშ დოლარი, ევრო) | [illegible] |
|---|---|---|---|
| ზრდადი | 8 % | 8% | - |
| მოთხოვნამდე | 2,0 % | 2,0 % | 2,0 % |
| 31-89 დღე | 5,0 % | 4,0 % | - |
| 90-179 დღე | 8,0 % | 7,0 % | - |
| 180-269 დღე | 10,0 % | 9,0 % | - |
| 270-389 დღე | 11,0 % | 10,0 % | - |
| 390-545 დღე | 11,5 % | 10,5 % | - |

"საქართველოს ბანკში დეპოზიტების და ანაბრების განთავსების შემთხვევაში თქვენ ისარგებლებთ დამატებითი შეღავათებით:

- "საქართველოს ბანკი" თავის მეანაბრეებს სთავაზობს შეღავათიან საპროცენტო განაკვეთებს მათ მიერ ბანკში განთავსებული დეპოზიტებისა და ანაბრების უზრუნველყოფით გაცემულ კრედიტებზე. ამ შემთხვევაში საპროცენტო განაკვეთები განისაზღვრება ამ დეპოზიტებზე დასარიცხი წლიური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით და აღემატება მას ოთხი პროცენტული პუნქტით.
- ფიზიკურ პირებს, რომლებიც 6-11 თვის ვადით ანაბარზე განათავსებენ 3.000-5.000 აშშ დოლარს, უფასოდ გადაეცემათ ბანკის მიერ ემიტირებულიCirrus/Maestro ( Visa Electron).
- ფიზიკურ პირებს, რომლებიც 12 თვით ან მეტი ვადით ანაბარზე განათავსებენ 3.000-5.000 აშშ დოლარს, მათი სურვილისამებრ უფასოდ გადაეცემათ ბანკის მიერ ემიტირებული Cirrus/Maestro ( Visa Electron), ან სამედიცინო დაზღვევა.
- ფიზიკურ პირებს, რომლებიც 6-11 თვის ვადით ანაბარზე განათავსებენ 5.000-50.000 აშშ დოლარს, მათი სურვილისამებრ უფასოდ გადაეცემათ ბანკის მიერ ემიტირებული EuroCard/MasterCard Standart ან Visa Classic.
- ფიზიკურ პირებს, რომლებიც 12 თვით ან მეტი ვადით ანაბარზე განათავსებენ 5.000-50.000 აშშ დოლარს, მათი სურვილისამებრ უფასოდ გადაეცემათ ბანკის მიერ ემიტირებული EuroCard/MasterCard Standart ( Visa Classic) ან სამედიცინო დაზღვევა.
- ფიზიკურ პირებს, რომლებიც 12 თვით ან მეტი ვადით ანაბარზე განათავსებენ 50.000 აშშ დოლარზე მეტ თანხას, უფასოდ გადაეცემათ ბანკის მიერ ემიტირებული EuroCard/MasterCard Standart ( Visa Classic) და სამედიცინო დაზღვევა.

დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ
"საქართველოს ბანკის" ფილიალებში ან დაგვირეკეთ: 444 444

# ანტიკორუფციული საბჭოს 17-კაციანი "შავი სია"

*გუშინ საქართველოს პრეზიდენტს ანტიკორუფციულმა საბჭომ შეპირებული სქემა წარუდგინა – საუბარია საქართველოში შემოსული კონტრაბანდის სქემაზე, სადაც წარმატებით გამოიყენებოდა იმპორტის რეექსპორტად გაფორმების პრაქტიკა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ფირმები იმპორტირებულ საქონელს ფიქტიურად აფორმებდნენ ექსპორტად და "აგზავნიდნენ" მას არარსებული უცხოური ფირმის მისამართზე.*

თამარ ხორბალაძე

ანტიკორუფციულმა საბჭომ გუშინ რამდენიმე კონკრეტული ფაქტი დადო ქვეყნის პირველი პირის მაგიდაზე და პასუხისმგებელ პირთა 17-კაციანი სიაც დაურთო. სიაში საბაჟოსა და საგადასახადო სამსახურის თანამდებობის პირები შედიან. როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, ამ თანამდებობის პირთა გვარებია: ი.ხმალაძე, დ. ამისულაშვილი, ე.ხაბაზი, ა. მალიძე, მ. სვიმონიშვილი, თ. ცომაია, თ. პაიჭაძე, ჯ. ბენდელიანი, ნ. შურღაია, გ. დავარაშვილი, ბ. ყვირილაშვილი (საბაჟოდან), ნ. კირვალიძე, დ. მაძღარაშვილი, მ. იმერლიშვილი, დ. ქათამაშვილი, მ. მაჭარაშვილი, პ. კიკნაძე (საგადასახადო).

მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრიდან გამოსულმა საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარემ იასე ზაუტაშვილმა ამ დანაშაულებრივი ქმედებების ერთ-ერთ მთავარ მონაწილედ მხოლოდ თელავის საოლქო საგადასახადო ინსპექციის თავმჯდომარე ნიკოლოზ კირვალიძე დაასახელა, როგორც ანტიკორუფციულ საბჭოში ირწმუნებიან, ყველა ზემოთ მოხსენიებული თანამდებობის პირის სამსახურიდან დათხოვნის საკითხი უკვე პრაქტიკულად გადაწყვეტილია. ანტიკორუფციულის მიერ მოძიებული მასალები კი პროკურატურას გადაეგზავნა რეაგირებისთვის, გავრცელებული პრაქტიკით თუ ვიმსჯელებთ, ეს მათ თაროზე შემოდებას ნიშნავს, თუმცა ანტიკორუფციულ საბჭოში ირწმუნებიან, რომ საქმეს თვალყურს ბოლომდე მიადევნებენ.

რაც შეეხება თავად დასკვნას: მასში საუბარია 2001-2002 წლებში საბაჟო და საგადასახადო დეპარტამენტების ცალკეული თანამშრომლების ხელშეწყობითა და დოკუმენტების გაყალბების გზით ბიუჯეტიდან განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხების დატაცების შესახებ. კერძოდ, ანტიკორუფციული ბიუროს დასკვნის თანახმად, ორგანიზებულ პირთა ჯგუფის მიერ დატაცებულია 4 მილიონ 100 ათასი ლარი. დასკვნის ტექსტის მიხედვით, ორგანიზებულ დანაშაულში რამდენიმე კომპანია მონაწილეობდა, მათ შორის - შპს "444". შპს "საბა", შპს "ბეტა", შპს "ზარე", შპს "Z&G" და ა.შ. - რომლებიც ფიქტიურ ოპერაციებს მხოლოდ ქაღალდზე აწარმოებდნენ. ასევე საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ, მას შემდეგ, რაც ანტიკორუფციული ბიურო დაინტერესდა ზემოაღნიშნული ჯგუფის უკანონო საქმიანობით, მასალებში მოხსენიებული ფირმების უმეტესობა სასწრაფოდ გადაყვანილ იქნა აღრიცხვაზე აჭარის სხვადასხვა საგადასახადო ინსპექციაში, **"საიდანაც ნებისმიერი სახის ინფორმაციის მიღება ფაქტობრივად გამორიცხულია".** – აღნიშნულია დასკვნაში.

გუშინვე პრეზიდენტთან შეხვედრაზე ანტიკორუფციულმა საბჭომ სტრუქტურული რეფორმების გეგმით გათვალისწინებული ნაბიჯების გადაუდგმელობის საკითხი დასვა და მთავრობა და პარლამენტი მთავრობის რეფორმირების შეფერხებაში დაადანაშაულა.

საბჭოს დასკვნით, განკარგულების გამოცემიდან ერთ წელიწადზე მეტი ხნის გასვლის შემდეგ მრავალი დავალება კვლავაც შეუსრულებელია. აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებას სათანადო ნება და კვალიფიკაცია არ გააჩნია პრეზიდენტის დავალებების შესასრულებლად. ქვეყანაში ჭირს საბოლოო გადაწყვეტილების მიღება, დაბალია მთავრობის წევრთა საშემსრულებლო დისციპლინა.

მონიტორინგი

# სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები

უნდა აღინიშნოს, რომ ფინანსთა სამინისტრომ, წინა თვეებთან შედარებით, საკმაოდ ადრე გამოაქვეყნა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების ოპერატიული ინფორმაცია. პროცენტით, გარღვევა 109,04 მილიონი ლარია. ამას ემატება დეფიციტის დაფინანსების 7,87 მილიონი ლარის გარღვევა. შესაბამისად, 9 თვის მონაცემებით მთავრობამ 116,91 მილიონი ლარით ნაკლების მობილიზება შეძლო.

ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლები შესრულდა 85 პროცენტით, გარღვევა 86 მილიონ 640 ათასი ლარია.

სოციალური ფონდის შემოსავლების ცხრა თვის გეგმა შესრულებულია 94 პროცენტით, გარღვევა 11,45 მილიონი ლარია. საგზაო ფონდის შემოსავლები შესრულებულია 87 პროცენტით, გარღვევა 4,36 მილიონი ლარია.

ამჯერადაც არ დაირღვა ტრადიცია და 30 სექტემბერს (ბოლო დღეს) სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზებულ იქნა 20,74 მილიონი ლარი. მიუხედავად ამისა, გარღვევის მასშტაბები დიდია და საფრთხეს უქმნის ქვეყნის ფინანსურ სისტემას.

სამწუხაროდ, არჩევნების მოახლოებასთან ერთად კიდევ უფრო გაუარესდება შემოსავლების მობილიზების მაჩვენებელი და დაგროვდება უამრავი ვალდებულება.

*საკონსულტაციო ფირმა "დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძე"*

[illegible]

[illegible] 9 [illegible] 109.04 [illegible]

[illegible]

| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | % [illegible] | % [illegible] |
|---|---|---|---|---|---|
| [illegible] | 1127.4 | 809.44 | 700.40 | 62% | 87% |
| [illegible] | 833.7 | 589.7 | 503.06 | 60% | 85% |
| [illegible] | 659.9 | 477.24 | 434.15 | 66% | 91% |
| [illegible] | 78.4 | 56.21 | 46.41 | 59% | 83% |
| [illegible] | 95.4 | 56.25 | 22.53 | 24% | 40% |
| [illegible] | 244.2 | 178.31 | 166.86 | 68% | 94% |
| [illegible] | 49.5 | 34.83 | 30.47 | 62% | 87% |
| [illegible] | 239.8 | 176.55 | 168.68 | 70% | 96% |
| [illegible] | 8.5 | 8.5 | 7.53 | 89% | 89% |
| [illegible] | 22 | 22 | 18.92 | 86% | 86% |
| [illegible] | 40 | 29.54 | 31.9 | 80% | 108% |
| [illegible] | | | 0 | | |
| [illegible] | 41.5 | 24.51 | 20.22 | 49% | 82% |
| [illegible] | 127.8 | 92.01 | 90.11 | 71% | 98% |

| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | % [illegible] | % [illegible] |
|---|---|---|---|---|---|
| [illegible] | 511.7 | 395.32 | 376.06 | 73% | 95% |
| [illegible] | 389.1 | 279.66 | 235.05 | 60% | 84% |

[illegible]

[illegible] 9 [illegible] 108.61 [illegible]

[illegible] 2 [illegible]

| [illegible] | [illegible] | [illegible] | % | [illegible] |
|---|---|---|---|---|
| [illegible] | 809.44 | 700.83 | 87% | 0.43 |
| [illegible] | 589.7 | 503.3 | 85% | 0.18 |
| [illegible] | 477.24 | 434.23 | 91% | 0.10 |
| [illegible] | 178.31 | 167.1 | 94% | 0.07 |
| [illegible] | 34.83 | 30.48 | 88% | 0.01 |

| [illegible] | [illegible] | [illegible] | % | [illegible] |
|---|---|---|---|---|
| [illegible] | 176.56 | 168.68 | 96% | 0.00 |

# ხაბურძანიამ ნავთობპროდუქტები „გაათეთრა", ახლა ჯერი არჩევნებზეა...

პირველი გვერდიდან

ნაშთი (ანუ კონტრაბანდული ნავთობპროდუქციის საერთო მოცულობა) ქვეყანაში, ხაბურძანიას მტკიცებით, 2000-3000 ტონას არ უნდა აღემატებოდეს. **"ვფიქრობ, ეს საგანგაშო ციფრი არ არის, რადგან დაახლოებით ამ მოცულობის აღურიცხავ ნავთობს ბევრი განვითარებული ქვეყანაც ვერ აუდის",** - გვითხრა უშიშროების მინისტრმა.

სკოგ-ის მონაცემებით, ამ მხრივ სიტუაცია აჭარაშიც გამოსწორდა. აქ აგვისტო-სექტემბერში იმპორტირებული ბენზინის რაოდენობა რვა და შვიდ ათას ტონას აღემატებდა, რაც დანარჩენ თვეებთან შედარებით თითქმის რვაჯერ მაღალი მაჩვენებელია.

ხუთი აღძრული სისხლის სამართლის საქმე და ორმოცდაათამდე სამართალდარღვევის შემთხვევა - ეს არის უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში გამოვლენილი კანონდარღვევის ფაქტები. ხსენებული ციფრების სიმცირე უშიშროების მინისტრს ბუნებრივად მიაჩნია, რადგან **"მას მერე, რაც ჩვენ ქმედითი ღონისძიებების გატარება დავიწყეთ, ნავთობპროდუქტების ბიზნესში ჩართულმა ადამიანებმა მუდმივად რისკის ქვეშ ყოფნას საკუთარი საქმის ლეგალიზება არჩიეს",** - განმარტავს ხაბურძანია.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

ხაბურძანის 2000-3000 ტონა ნავთობპროდუქტების კონტრაბანდა პრობლემად არ მიაჩნია.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ წარმოდგენილი შედეგები რეალობას მართლაც ასახავს, ძნელი სათქმელია, რა იქნება ორი-სამი თვის შემდეგ, რადგან ნავთობპროდუქტებზე ზედამხედველობისა და კონტროლის სამსახური მუშაობას ოქტომბერში ასრულებს.

**"ამის მერე ჩვენ მიერ მოკვლეულ მასალებს სათანადო რეაგირებისთვის გადავცემთ შესაბამის სტრუქტურებს. ჩვენ ამ კუთხით მუშაობის გაგრძელებას აღარ ვაპირებთ. ყველას კარგად მოეხსენება, რა რთული და დაძაბული ვითარებაა არჩევნებთან დაკავშირებით და ჩვენი ოპერატიული თანამშრომლების მთელი ძალები აქეთკენაა გადასროლილი. შეიძლება ითქვას, რომ ძალიან დიდი შიდა რესურსების გამოყენებისა და დაძაბულობის ფასად გვიჯდება ეს მუშაობა",** - აღნიშნავს უშიშროების მინისტრი.

# „ვის შეიძლება ეწოდოს ჩვენთან „ბიზნესანგელოზი", ვერ გეტყვით"...

## საქართველოში ფინანსური ანალიზის ცენტრი იქმნება

*ეკონომიკური პროცესებით დაინტერესებული ადამიანებისთვის კარგად არის ცნობილი, რამდენად დიდ პრობლემაა დღევანდელ საქართველოში შესაბამისი კვალიფიცური ანალიზის არსებობა; თუმცა ამჟამად ეკონომიკურ წრეებში ცნობილი სახე - ირაკლი კოვზანაძე სწორედ ეკონომიკური ანალიზის სფეროში მომუშავე სტრუქტურას აყალიბებს: "გაერთიანებული ქართული ბანკის" ყოფილი გენერალური დირექტორი, რომელიც გავრცელებული ტრადიციის საწინააღმდეგოდ ბიზნესიდან მეცნიერებაში დაბრუნდა (ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, თსუ პროფესორი), ფინანსური ანალიზის ცენტრს აყალიბებს და ფინანსური მათემატიკის, ეკონომეტრიკის მეთოდების გამოყენებით ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების გააზრებას შეეცდება.*



ირაკლი კოვზანაძე.

- ცენტრის შექმნის იდეა დიდი ხანია არსებობს. ფინანსური ანალიზის ცენტრმა ქვეყანაში არსებული მაკროეკონომიკური სიტუაციის ანალიზი, საფინანსო პოლიტიკის, საბანკო სექტორის, საინვესტიციო გარემოს შეფასება უნდა გააკეთოს. ვფიქრობთ, ასევე შედარებითი ანალიზი მოვახდინოთ საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად წარმოქმნილ ახალ, დამოუკიდებელ სახელმწიფოებსა და აღმოსავლეთ ევროპაში არსებულ მდგომარეობასთან და გააკეთდეს დასკვნა, საით უნდა "გადაეწყოს" განვითარების სტრატეგია.

**- ეს საკითხები თითქოს საკმაოდ კარგად არის შესწავლილი. ყოველ შემთხვევაში, სტრატეგიის თაობაზე იდეების ნაკლებობა ნამდვილად არ იგრძნობა.**

- აქ მხოლოდ ზოგადი თეორიული დასკვნები აშკარად საკმარისი არ არის და მეტ დეტალიზებას, კონკრეტული თემების დამუშავებას მოითხოვს. აი, მაგალითად, ითვლება, რომ ჩვენთან ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული საბანკო სექტორია. სხვა სფეროებთან შედარებით ეს მართლაც ასეა, მაგრამ, აბა, შევადაროთ ჩვენი მდგომარეობა არსებულ ტენდენციებს: საქართველოში არსებული საბანკო აქტივების შეფარდება ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტთან დაახლოებით 15 პროცენტის დონეზეა, რაც ძალიან დაბალია. რუსეთში ეს არის თითქმის 40 პროცენტი, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში კი სულაც 60-80 პროცენტი. ჩვენი საბანკო სისტემა კარგად კი მუშაობს, მაგრამ ფინანსური მდგომარეობა, მაკროეკონომიკური სიტუაცია მას მაინც გარკვეულ ჩარჩოებში ამყოფებს. ეს ის მიმართულებაა, რომელიც აუცილებლად შესასწავლია.

**- მხოლოდ ეს?**

- არა, ცხადია. სამწუხაროდ, დღეს ძალიან ძნელია დაასახელო ისეთი თემა, რომელზეც საფუძვლიანი და მომცველი ანალიზი გაკეთებულა. არადა, დეტალურ ანალიზს მოითხოვს აბსოლუტურად ყველა სფერო.

მაგალითად, ჩვენთან ხშირად ჩივიან არაკეთილისმყოფელი საინვესტიციო გარემოს არსებობის თაობაზე. წარმოიდგინეთ განვითარებული ინგლისი - ქვეყანაში, სადაც ეკონომიკა პრობლემური არ არის, ინვესტორს ხვდება ორგანიზაცია, რომელიც მას ყოველმხრივ უწყობს ხელს - დაწყებული საიჯარო თანხების საკუთარ თავზე აღებით და დამთავრებული ბიზნესპარტნიორებისა და გასაღების ბაზრის ძებნაში ხელშეწყობით. ასეთ ორგანიზაციებს სახელმწიფო აფინანსებს და მათ ხატოვნად "ბიზნესანგელოზებს" ეძახიან. ჩვენთან "ბიზნესანგელოზი" ვის შეიძლება ეწოდოს, ვერ გეტყვით; არადა, მათი საჭიროება რომ აშკარაა, ფაქტია.

მოგეხსენებათ, რამდენიმე წელი ერთ-ერთ უმსხვილეს და წარმატებულ ბანკს ვხელმძღვანელობდი და ეს სიტუაცია "შიგნიდან" ვიცი. გარწმუნებთ, ძალიან საინტერესოა და აუცილებლად შესასწავლია, რა ხდება კორპორატიულ ფინანსებში, რამდენად გამჭვირვალეა სისტემა, არის თუ არა ეფექტური კონტროლის ფორმები.

ფინანსური ანალიზის ცენტრი არ გააკეთებს აქცენტს თეორიულ კვლევაზე. აქ ბაზრის ანალიზი და მარკეტინგული შეფასებაც მოხდება. მაგალითად, შაქრის ბაზარი ავიღოთ, რომელიც ძალიან საინტერესოა შესასწავლად: დღეს აქ ორი გიგანტი მუშაობს მეტ-ნაკლები წარმატებით, მაგრამ გამოსაკვლევია, რამდენად გაჯერებულია ბაზარი. იგივე ხდება კვების პროდუქტების, საწვავის ბიზნესში. ჩვენს კომპანიას აქვს პოტენციალი, ეს მოვლენები შეისწავლოს და კვალიფიციური დასკვნები გააკეთოს, ასევე რეკომენდაციები შეიმუშაოს.

დღეს ეს თანაბრად საჭიროა როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორისთვის. გაიხსენეთ, სულ რაღაც ერთი თვის წინ ვაცხადებდით, რომ დეფოლტის წინაშე ვართ. საქართველოს ვალი დაახლოებით მილიარდ 700 მილიონი დოლარია. აქედან 600 მილიონის გადახდა პარიზის კლუბის წევრებისთვის გვიწევს. თუ სავალუტო ფონდი არ იქნება ჩვენი პარტნიორი მათთან მოლაპარაკებებზე, რა მოხდება, რის წინაშე აღმოვჩნდებით? ამაზე მხოლოდ ზოგადი საუბრები იყო. გინახავთ ერთი დასკვნა მაინც, სადაც მთელი ეს საფრთხე და მოსალოდნელი შედეგები სრულად იყო აღწერილი?

**- დასკვნა არა, მაგრამ მოვლენათა განვითარების ბევრი, უპირატესად ურთიერთგამომრიცხავი სცენარი დაიხატა.**

- საფინანსო პოლიტიკის ანალიზს ბევრად უფრო მეტი სტრუქტურირება სჭირდება. შეიძლება ვცდები, მაგრამ დღეს ნამდვილად არ ვიცი სტრუქტურა, რომელიც ასეთ ანალიზს აკეთებს. ჩვენ დიდი სურვილი გვაქვს, ამ მიმართულებით ჩვენი ქვეყნისთვის ნოვატორული მიდგომა დავნერგოთ და შესწავლა ფინანსური მათემატიკის, ეკონომეტრიკის მეთოდების გამოყენებით მოვახდინოთ. ეს დარგი ეკონომიკაში ყველაზე სწრაფად ვითარდება და არ არსებობს კვალიფიციური დასკვნა ამ მეთოდების გამოყენების გარეშე. ბოლო წლების ეკონომისტი ნობელიანტები უპირატესად სწორედ ეკონომისტ-მათემატიკოსები არიან.

**- მოვლენათა მიმდინარე ანალიზი, ცხადია, აუცილებელია, მაგრამ ძალიან ხშირად არავინ აანალიზებს, საიდან მოდის ამ პრობლემების სათავე.**

- საქართველო საბჭოთა კავშირში უაღრესად ინტეგრირებული იყო. ჩვენთვის კავშირის დაშლა იყო ერთდროულად პოლიტიკური და ეკონომიკური შოკი. ის, რაც 1993-94 წლებში მოხდა (კუპონის 2 400-ჯერ გაუფასურება, ბანკების გაკოტრება და ა.შ.), ამ შოკის შემადგენელი ნაწილი იყო. ეს იყო საბანკო კრიზისის ტიპის მოვლენა და მიუხედავად იმისა, რომ შემდგომ 1995-1997 წლებში ეკონომიკა გაიზარდა, 1998-1999 წლებში კრიზისი მაინც განმეორდა, თან ეს უკვე იყო სრულფასოვანი, კლასიკური სავალუტო კრიზისი.

**- ანუ 6 წლის განმავლობაში ორი კრიზისი გადავიტანეთ. შეიძლება ეს კვლავ განმეორდეს?**

-ქვეყანას მომგებიანი გეოპოლიტიკური მდებარეობა აქვს. ამავე დროს მას ერთდროულად რუსეთი, თურქეთი, აზერბაიჯანი და სომხეთი ესაზღვრება. მეზობლებს არ ირჩევენ - ეს რეალობაა და ნაკლებად არის დამოკიდებული ჩვენს ნება-სურვილზე. ყველა მათგანში მომხდარმა ცვლილებამ შეიძლება გარკვეული გავლენა იქონიოს საქართველოს მდგომარეობაზე. ამდენად, უნდა არსებობდეს გააზრება, რა უნდა გააკეთოს ქვეყანამ ასეთ ვითარებაში, რომ საფრთხე ავიცილოთ. ამ ჭრილში კიდევ უფრო ვრწმუნდები, რომ აუცილებელია ჩვენი ცენტრის მსგავსი ანალიტიკური ორგანიზმის არსებობა, რომელიც გარკვეულ პროგნოზებს დადებს იმის მიუხედავად, რომ პროგნოზი, მოგეხსენებათ, უმადური საქმეა.

**- უმადურია, მაგრამ მაინც აუცილებელი. თქვენ, როგორც ბანკირი, როგორ უყურებთ პროგნოზებს საბანკო სექტორში მოსალოდნელი სერიოზული ცვლილებების შესახებ? ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, რადგან ქვეყნის განვითარებაში ამ სექტორს მუდამ ერთ-ერთ პირველ ადგილზე განიხილავენ.**

- საბანკო სექტორში უახლოეს მომავალში აუცილებელი იქნება შერწყმის და გაერთიანების პროცესები, რასაც აუცილებლად დასჭირდება მონიტორინგი. ცოტამ თუ იცის, როგორ უნდა მოხდეს კლასიკური შერწყმა-გაერთიანება. უახლოეს პერიოდში არ გამოვრიცხავ უცხოური საბანკო ინსტიტუტების სხვადასხვა ფორმით შემოსვლასაც. მართალია, ისინი დღესაც მონაწილეობენ ქართულ საბანკო ბიზნესში, მაგრამ ეს არის მონაწილეობა სააქციო კაპიტალში, როცა ისინი ფლობენ აქციათა პაკეტებს (საშუალოდ 20-22 პროცენტი). თუმცა, მთლიანად უცხოელები საბანკო აქტივების 31 პროცენტს აკონტროლებენ.

ამის მიუხედავად, დღეს ძალიან ცოტა მაგალითია, რომ ჩვენში დამოუკიდებელი უცხოური საბანკო დაწესებულება მოქმედებდეს: არსებობს შავი ზღვის საერთაშორისო კომერციული ბანკი, სადაც საბერძნეთის კომერციულ ბანკს გააჩნია საკონტროლო პაკეტი ევრობანკთან ერთად.

თუმცა, უკვე გვაქვს მაგალითი - სომხეთში მსოფლიოს უმსხვილესი ბანკის - HSBC-ს ფილიალი გაიხსნა. სავსებით შესაძლებელია, რომ მსგავსი რამ აქაც მოხდეს, რასაც ასევე დეტალური გაანალიზება სჭირდება. რა მოხდება სექტორში? ასეთმა ბანკმა რომ დეპოზიტების მოზიდვა დაიწყოს, თქვენ წარმოიდგინეთ, როგორი ცვლილება იქნება დეპოზიტების ბაზარზე ქართულ კომერციულ ბანკებში. ეს ნამდვილად შესასწავლი საკითხია.

რაც შეეხება ზოგადად დეპოზიტების თემას: უაღრესად მნიშვნელოვნად მეჩვენება უახლოეს რამდენიმე თვეში სადეპოზიტო დაზღვევის ორგანიზაციის ჩამოყალიბება,

ორიოდე დღის წინ რუსეთმაც შექმნა გარკვეული წინაპირობები ამ სისტემის ამოქმედებისთვის. ფაქტია, რომ იგი ჩვენთანაც აუცილებლად უნდა ჩამოყალიბდეს, სხვა საკითხია, რა ფორმით. შეიძლება ცალკე სააგენტოს სახითაც, სადაც დამფუძნებელი აუცილებლად ეროვნული ბანკი იქნება, შეიძლება - ფინანსთა სამინისტროც. განისაზღვროს სტრუქტურა, ასევე დეპოზიტების ის ზედა ზღვარი, რომლის გარანტირებასაც სახელმწიფო მოახდენს.

უამრავი პესიმისტური დასკვნის მიუხედავად, საქართველო მაინც საინტერესოა საერთაშორისო კაპიტალისთვის გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო, სხვა თავისებურებებითაც. უბრალოდ, ამ კაპიტალს სათანადო ინსტიტუციონალური გარანტიები სჭირდება, რათა აქ თავი კომფორტულად იგრძნოს და "დაბინავდეს". ამავე დროს სასიცოცხლოდ აუცილებელია ქვეყანაში მიმდინარე პროცესების კვალიფიციური ანალიზი, რათა ადგილობრივ თუ უცხოურ კომპანიებსა და სახელმწიფო ინსტიტუტებს საქმიანობის სწორად დაგეგმვა-წარმართვის საშუალება მიეცეთ.

**- ანუ ამ ტიპის ინფორმაციაზე მოთხოვნილება არსებობს?**

- არათუ არსებობს, ბაზარი ამას ითხოვს.

ცხადია, ყველას აქვს ესა თუ ის საინფორმაციო წყარო, მაგრამ თვით ყველაზე სოლიდური კომპანიებიც კი, როგორც წესი, აუდიტს ორ უმსხვილეს კომპანიას უკვეთავენ, რათა არსებული ვითარება უფრო რეალურად შეაფასონ. ფინანსური ანალიზის ცენტრი სწორედ ასეთი ინფორმაციის წყარო იქნება.

*ესაუბრა ნინო ივანიშვილი*

# გიორგი ისაკაძე: "ნურავინ ეთამაშება სავალუტო ფონდს"

## სავალუტო ფონდის რეკომენდაციების შესრულების ვადა 12 ოქტომბერს იწურება

საქართველოს მთავრობამ სავალუტო ფონდის რეკომენდაციების შესრულება 12 ოქტომბრამდე უნდა შეძლოს. ამის შესახებ ჟურნალისტებს დღეს სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ გიორგი ისაკაძემ სპეციალურად ამ საკითხთან დაკავშირებით გამართულ ბრიფინგზე განუცხადა.

შეგახსენებთ, რომ 22 ოქტომბერს საქართველოში ჩამოდის საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია პაოლო ნეუჰაუსის ხელმძღვანელობით, მანამდე კი მთავრობას აღებული ვალდებულებები შესრულებული უნდა ჰქონდეს.

კერძოდ, ისაკაძის განცხადებით, უნდა შესრულდეს სახელმწიფო ბიუჯეტის 9 თვის გეგმა, ენერგეტიკაში ამოღების მაჩვენებელი 80 პროცენტამდე უნდა გაიზარდოს და აუდიტორულ კომპანიებთან უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებები, რომლებიც სამ მსხვილ საწარმოში - "საქართველოს რკინიგზაში", "ფოთის პორტსა" და ს/ს "მადნეულში" აუდიტს განახორციელებენ.

ცალკე საკითხია სსფ-სთან 2004 წლის პარამეტრების შეთანხმება, რაც, წესით, სსფ-ს ვიზიტის დროს უნდა მოხერხდეს.

**"ნურავინ ეთამაშება სავალუტო ფონდის პროგრამას. მართალია, ფონდი ამა თუ იმ პირის პასუხისმგებლობის საკითხს არ აყენებს, მაგრამ ამის გაკეთება საქართველოს პრეზიდენტს შეუძლია,"** - განაცხადა ისაკაძემ.

სახელმწიფო მინისტრის მოადგილე იმედს გამოთქვამს, რომ მთავრობის წევრები სწორ ნაბიჯებს გადადგამენ და საქართველოში ფონდის პროგრამა აღდგება.

შეგახსენებთ: უკეთეს შემთხვევაში საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამა მომავალი წლის აპრილში შეიძლება აღდგეს.

ორი სიტყვით

**თბილისი.** ამერიკის სავაჭრო პალატამ, რომელიც 26 სექტემბრიდან დაწყებული ყველა პარასკევს იხილავს პოლიტიკური პარტიების ეკონომიკურ პროგრამებს, გუშინ "ნაციონალური მოძრაობის" წევრებს - გია მაისაშვილს და პეტრე ცისკარიშვილს მოუსმინა. ამ უკანასკნელის განცხადებით, ამერიკის სავაჭრო პალატის მხრიდან დასმული შეკითხვები, ძირითადად, პოლიტიკოსთა სამომავლო გეგმების განხორციელების პერსპექტივებს ეხებოდა. **"მათ აინტერესებთ, ვანიჭებთ თუ არა ჩვენ პრიორიტეტს კერძო სექტორის განვითარებას, რაც ჩვენთვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. კერძო სექტორის განვითარების შედეგად საქართველოში მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილები გაჩნდება, ამიტომ ჩვენ ამ მიმართულებით განსაკუთრებით ვიმუშავებთ"**, - აღნიშნა ცისკარიშვილმა.

რაც შეეხება "ნაციონალური მოძრაობის" ეკონომიკურ პროგრამას, "ნაციონალები" ყურადღებას ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნაზე ამახვილებენ, რაც, მათი აზრით, ბიუროკრატიის შემცირების ხარჯზე შეიძლება გაკეთდეს და კლანების მონოპოლიზაცია მოიშალოს. ამასთან, გატარდება საინვესტიციო გარემოს სრულყოფისათვის საჭირო საგადასახადო ცვლილებები. ეკონომიკური პროგრამის მთავარ მიზანს საქართველოში მაღალტექნოლოგიური ბიზნესის განვითარება წარმოადგენს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ბრიუსელში გამართულ საქართველო — ევროკავშირის თანამშრომლობის საბჭოს მეხუთე სხდომაზე, რომელიც, ტრადიციულად, მინისტრების დონეზე ტარდება, ევროკავშირის მხარემ დაადასტურა, რომ ეს ორგანიზაცია კვლავაც დაეხმარება საქართველოს მთავრობას ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური რეფორმების განხორციელებაში. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სახელმწიფო ბიუჯეტის სექტემბრის თვის გეგმა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის მონაცემებით, გადაჭარბებით შესრულდა. გუშინ ამის შესახებ სახელმწიფო კანცელარიაში ჟურნალისტებს განუცხადა საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ შალვა ჟორდანიამ. ამავდროულად, როგორც საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარე იასე ზაუტაშვილი აცხადებს, სექტემბრის თვის ბიუჯეტში საგადასახადო დეპარტამენტის კუთხით მცირედი გარღვევაა, რომლის კომპენსაციასაც დეპარტამენტი ოქტომბრის თვეში შეეცდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თურქეთის მიმართულებით ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მშენებლობა აქციების გამო დროებით შეჩერდა და მშენებლობა აზერბაიჯანის მიმართულებით დაიწყო. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიაში (BTCco) აცხადებენ, რომ ბორჯომის რაიონში 700 მეტრის სიგრძის დერეფანი გასუფთავებულია და მშენებლობის დასაწყებად მზად არის. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი** საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გაკოტრებულად გამოაცხადა "აბსოლუტბანკი" და იგი რეესტრიდან ამოიღო. **ინტერ-პრესი**

# კრემლის ახალი სამხედრო დოქტრინა მეზობლებს პრევენტული დარტყმებით ემუქრება

ლევან ღირსიაშვილი

რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მიერ წარმოდგენილმა დოკუმენტმა **"რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების განვითარების აქტუალური ამოცანები"** არსებითად შეცვალა და უფრო მეტად დააკონკრეტა 2000 წლის 21 აპრილს დამტკიცებული **"რუსეთის ფედერაციის სამხედრო დოქტრინა."** უკვე შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული დოკუმენტი ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის ახალი სამხედრო დოქტრინის პროექტს წარმოადგენს. გუშინ მისი პირველი პრეზენტაცია თავდაცვის სამინისტროში გაფართოებულ თათბირზე მოხდა, რომელსაც ქვეყნის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინიც ესწრებოდა.

თავდაცვის მინისტრის სერგეი ივანოვის განცხადებით, აღნიშნულ დოკუმენტს რევოლუციური ხასიათი გააჩნია.

ეს კი, რასაკვირველია, პირველ რიგში, რუსეთის უშუალო მეზობლების დიდ დაინტერესებას იწვევს. მაინც, რაში მდგომარეობს განახლებული სამხედრო დოქტრინის რევოლუციური ხასიათი?

დოკუმენტში მრავალჯერ არის ნახსენები აშშ-ს მიერ წარმოებული სამხედრო ოპერაციები ავღანეთსა და ერაყში. მართალია, ეს აქციები დაკონკრეტებული არ არის, მაგრამ **"ამ საუკუნის ბოლო შეიარაღებული კონფლიქტები"** სხვა არაფერია, თუ არა ერაყი და ავღანეთი. დოკუმენტში თვალნათლივ ჩანს, რომ მისი შექმნის მთავარ მამოძრავებელ ძალას, სწორედ აშშ-ს მიერ წარმოებული სამხედრო ოპერაციები და, შესაბამისად, ოკეანისგაღმელი მეზობლის სამხედრო გაძლიერება წარმოადგენს. თუმცა, დოკუმენტში ანტიტერორისტული კოალიციის ფარგლებში აშშ-სთან სამხედრო თანამშრომლობაზე არაფერია ნათქვამი. ეს აშკარად მოახლოებული არჩევნების გამოძახილს წააგავს.

"რევოლუციური დოკუმენტი" რუსეთის სამხედრო ძალებს ახალ და საკმაოდ მნიშვნელოვან მისიებს უწესებს. კერძოდ:

აუცილებელია ომის საწყის პერიოდში "უკონტაქტო" ბრძოლების "კონტაქტურ" ბრძოლებად გადაქცევა, რაც შორი მანძილის მაღალი სიზუსტის იარაღით აღჭურვილი მოწინააღმდეგისათვის აშკარად არასასურველი იქნება.

მომავალში, ომში მთავარ როლს შეასრულებს კარგად დაცული ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა, რომელსაც ყველა საფრენი აპარატის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლის წარმოება შეეძლება.

გარდა ამისა, ივანოვის მიერ წარდგენილ დოკუმენტში საუბარია ისეთი ჰაერსაწინააღმდეგო სისტემის შექმნის აუცილებლობაზე, რომელსაც ფრთოსანი რაკეტების განადგურებაც შეეძლება. ივანოვის თქმით, მტერი ტანკზე ამხედრებული კი არ შემოვა, არამედ თანამედროვე თვითმფრინავებით მოფრინდება.

ცხადია, დოქტრინის ამ ნაწილში ახალი და გასაკვირი არაფერია, თუ იმას არ ჩავთვლით, რომ დეკლარირებული "სტრატეგიული პარტნიორობის" მიუხედავად, მთავარ პოტენციურ მოწინააღმდეგედ ისევ ნატო მოიაზრება. ივანოვის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის მეორე ნაწილი რუსეთის უშუალო მეზობლების და, მათ შორის, საქართველოს ყურადღებას აშკარად იმსახურებს.

რუსეთს თავის სამხედრო დოქტრინაში სხვა ქვეყნების ტერიტორიებზე შესაძლო პრევენტული დარტყმების პრინციპი შემოაქვს.

პრეზიდენტ პუტინის მონაწილეობით, თავდაცვის სამინისტროს გაფართოებულ თათბირზე ივანოვის ამ განცხადებას სენსაციურად თავად რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები აფასებენ. აღსანიშნავია, რომ 2000 წელს მიღებულ "სამხედრო დოქტრინაში" უცხო ქვეყნების ტერიტორიებზე შესაძლო პრევენტული დარტყმების განხორციელების შესახებ გადაკვრითაც კი არაფერია ნახსენები. ამჟამად კი....

**"ჩვენ არ შეგვიძლია, აბსოლუტურად გამოვრიცხოთ ძალის პრევენტული გამოყენება, თუკი ამას რუსეთის ან მისი მოკავშირეების ინტერესები მოითხოვს,"** - განაცხადა სერგეი ივანოვმა. თავად დოკუმენტში კი უცხო ქვეყნების ტერიტორიებზე შეჭრა უფრო კონკრეტულად და მკაფიოდ არის ფორმულირებული: **"შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციის დოქტრინა განიხილავს სამხედრო ძალის გამოყენებას სამხედრო საფრთხეების, მათ შორის - მასობრივი განადგურების იარაღის ნეიტრალიზაციის მიზნით."**

თუმცა, ივანოვი მარტო ამით არ კმაყოფილდება. მან ამ პუნქტის კიდევ უფრო მეტად ახსნა და განმარტება ჩათვალა საჭიროდ. მისი თქმით, რუსეთი იტოვებს უფლებას, ასეთ შემთხვევაში არ დაელოდოს საერთაშორისო თანამეგობრობის ნებართვას და სანქციას, ზუსტად ისე, როგორც ეს



ვლადიმირ პუტინი: "რუსეთს მძიმე სტრატეგიული რაკეტების დიდი მარაგი გააჩნია."

აშშ-მ ერაყთან მიმართებაში გააკეთა.

ამასთანავე, სერგეი ივანოვმა პირველად მოახდინა "რუსეთის უსაფრთხოებისადმი შექმნილი მუქარის" დაკონკრეტება და კლასიფიცირება. დოქტრინაში ნახსენებია აქამდე უცნობი "ტრანსსასაზღვრო საფრთხეები," რაც **"ისეთ საფრთხეებს წარმოადგენს, რომელიც ფორმით შიდა საფრთხეა, მაგრამ თავისი შინაარსით აშკარად საგარეოა,"** - შეეცადა ივანოვი ამ ტერმინის ახსნას. ასეთი "ტრანსსასაზღვრო საფრთხის" მაგალითად ივანოვმა მოიყვანა ვითარება, როდესაც სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე რუსეთში შესაგზავნად და მოქმედებისათვის მზადდებიან ტერორისტები.

რუსეთის სამხედრო დოქტრინაში ამ ჩამატების წაკითხვისას ყველას გაახსენდება არც თუ ისე შორეულ წარსულში რუსეთის მიერ საქართველოსადმი წაყენებული ბრალდებები, პანკისის ხეობაში ჩეჩენი ტერორისტების მომზადებასთან დაკავშირებით.

ივანოვის მიერ წარდგენილ დოკუმენტში, ამის გარდა, კიდევ ერთი მომენტია საყურადღებო. **"ჩვენ გვაქვს მიღწევები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს, შეკავების ინსტრუმენტიდან ბირთვული იარაღი ბრძოლის ველზე გამოსაყენებელ იარაღად გადავაქციოთ,"** - განაცხადა სერგეი ივანოვმა. მან დასძინა, რომ ასეთ შემთხვევაში რუსეთი არ გამორიცხავს, საკუთარ ბირთვულ იარაღს "რეალური სამხედრო ინსტრუმენტის" თვისება დაუბრუნოს. ცხადია, ბირთვული იარაღი ტერორისტების წინააღმდეგ არ არის განკუთვნილი. რუსეთის მასმედიის ცნობით, გამოსვლის ამ ნაწილში ივანოვმა, როგორც ჩანს, ცდუნებას ვერ გაუძლო და რუსეთის პოტენციური მტრის ვინაობა დაასახელა. მოსკოვი თავის ბირთვულ სტრატეგიას აუცილებლად გადახედავს, თუკი **"ნატო შენარჩუნდება, როგორც სამხედრო ალიანსი, თავისი შემტევი სამხედრო დოქტრინით,"** - გაშიფრა ივანოვმა თავისი და კრემლის ზრახვები.

ივანოვის მიერ წარდგენილი დოქტრინისგან "ფრთაშესხმული" პრეზიდენტი პუტინი რუსეთის სამხედრო მიზნებზე საუბრის მადაზე მოვიდა. **"რუსეთს მძიმე სტრატეგიული რაკეტების დიდი მარაგი გააჩნია,"** - განაცხადა პრეზიდენტმა და იქვე დააკონკრეტა რომ **" საუბარი შეეხება ჩვენს ყველაზე მრისხანე რაკეტებს – "სპ-100მსრრ " –ს. "ჩვენს განკარგულებაში მყოფი მძიმე რაკეტები საბრძოლო მორიგეობაზე დადგება დღეს განლაგებული აღჭურვილობის ექსპლუატაციის ვადის გასვლის შემდეგ,"** - განაცხადა პუტინმა. მან ცალსახად განმარტა, რომ ამერიკელებმა არა მარტო თავად გაიხსნეს ხელები, არამედ რუსეთსაც, რომელიც მსოფლიოს მეორე ბირთვულ სახელმწიფოდ ითვლება, დაგროვილი ბირთვული პოტენციალის შენარჩუნების საშუალება მისცეს.

რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ხელმძღვანელმა ანატოლი კვაშნინმა თავისი პრეზიდენტის ნათქვამი კიდევ უფრო დააკონკრეტა და განაცხადა, რომ ამ რაკეტების რაოდენობა რამდენიმე ასეულს შეადგენს.

ამდენად, რუსეთი საკმაოდ აგრესიული "სამხედრო დოქტრინის" ამოქმედებას აპირებს, რომლის ყველაზე შემაშფოთებელ ნაწილს უცხო ქვეყნების ტერიტორიებზე პრევენტული დარტყმების უფლება წარმოადგენს. ისე, რომ დავფიქრდეთ, ამაში განსაკუთრებული არაფერია, რადგან საქართველოს ამის გარეშეც ახსოვს რუსული თვითმფრინავების მიერ ნასროლი ჭურვები, და არც თუ ისე შორეულ წარსულში. უბრალოდ, ახლა რუსეთის ეს სტრატეგია უკვე ქაღალდზე იქნება გაფორმებული და, სავარაუდოდ, დუმაც ტაშის გრიალით დაამტკიცებს. საკითხავია, როგორი იქნება ამაზე დასავლეთის და აშშ-ს რეაქცია?

## ორი სიტყვით

გუშინ რუსეთში მიმდინარე ეკონომიკურ ფორუმზე ერთად გამოჩნდნენ "იუკოსის" ხელმძღვანელი ხადარკოვსკი და ამერიკული სუპერგიგანტის "ექსონ-მობილის" შეფი ლი რეიმონდი. ამან გააძლიერა ეჭვი, რომ ხადარკოვსკი თავისი კომპანიის, ან მისი ნაწილის "ექსონისათვის" მიყიდვას აპირებს.

ახლახან თავად "იუკოსმა" აბრამოვიჩისაგან კომპანია "სიბნეფტი" 15 მილიარდ დოლარად შეიძინა, რითაც რუსეთის უდიდეს კომპანიად იქცა. მისი აქციები 45 მილიარდად არის შეფასებული.

"სიბნეფტის" გაყიდვამდე აბრამოვიჩმა გაყიდა თავისი წილი "რუსეთის ალუმინში". ამბობენ, რომ იგი ქვეყნის დატოვებისათვის ემზადება. გაქცევისათვის მზადებად მიიჩნევენ ექსპერტები ხადარკოვსკის მიერ წილის შესაძლო გაყიდვასაც. ამჟამად "იუკოს-სიბნეფტი" სიდიდით მეხუთე ნავთობმომპოვებელი კომპანიაა და უფრო მეტ საწვავს მოიპოვებს, ვიდრე კუვეიტი.

■ ■ ■

ჩვენ თივის ზვინში ნემსის პოვნა შეგვიძლია, – განაცხადა გაერო-ს ატომური სააგენტოს წარმომადგენელმა ბირთვული ინსპექტორების ირანში ვიზიტის წინ. მისი თქმით, გასუფთავებული ურანის დამალვა თითქმის შეუძლებელია, რადგან ამ ნივთიერების აღმოსაჩენად მისი ერთი მეტრილიონედი გრამის პოვნაც საკმარისია.

■ ■ ■

ისრაელი ამერიკელი ტურისტების მოსაზიდად უცნაურ მეთოდებს მიმართავს. ებრაულ გამოფენაზე, რომელიც ნიუ-იორკში მიმდინარეობს, გამოფენილია ავტობუსის ნარჩენები, რომელშიც თავის დროზე ტერორისტი-კამიკაძის მიერ ბომბის აფეთქების შედეგად 19 ადამიანი დაიღუპა.

■ ■ ■

გუშინ საფრანგეთმა და რუსეთმა კიდევ ერთხელ მკაცრად გააკრიტიკეს აშშ-ს მიერ ერაყთან დაკავშირებით შემოთავაზებული რეზოლუცია. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი იგორ ივანოვი აცხადებს, რომ საჭიროა ხელისუფლების სწრაფი გადაცემა ერაყელთათვის, მანდატი სამშვიდობო ძალებისათვის და გამჭვირვალე კონტროლი ერაყის ეკონომიკაზე. რეზოლუციის პროექტი გააკრიტიკა კოფი ანანმაც, რომელმაც განაცხადა, რომ იგი გაერო-სათვის მხოლოდ უმნიშვნელო როლს ითვალისწინებს.

■ ■ ■

თურქეთმა და ისრაელმა გააფორმეს შეთანხმება წყლის ექსპორტის შესახებ. თელ-ავივი ანკარასაგან წელიწადში 15 მილიონ კუბურ მეტრ წყალს შეიძენს. წყლის მიწოდება ტანკერების, ან მილსადენის მეშვეობით მოხდება. ფასის შესახებ ზუსტი ინფორმაცია არ არსებობს, მაგრამ ვარაუდობენ, რომ ერთი კუბური მეტრი წყალი 55-56 ცენტი ეღირება.






## ჩრდილოეთ კორეა უცხოელ ინვესტორებს უხმობს

ადამ მჭედლიძე

კომუნიზმის უკანასკნელი ბასტიონი კვლავ ფრთხილ ნაბიჯებს დგამს საბაზრო ეკონომიკისკენ. ჩრდილოეთ კორეის მთავრობამ საჯაროდ განაცხადა იმ პირობების შესახებ, რომელთა მიხედვითაც მოხდება ქვეყანაში უცხოელ ინვესტორთა დაშვება; თუმცა, ჯერჯერობით, ეს მთლიანად ქვეყანას არ ეხება - საუბარია სამხრეთ კორეის საზღვართან მდებარე სამრეწველო ცენტრზე, კაესონგის პარკზე. მაგრამ არის გარკვეული იმედი, რომ ეს პრეცედენტი ჩრდილოეთ კორეის სხვა რეგიონებზეც გავრცელდება, რაც ხელს შეუწყობს რკინის ფარდის მიღმა დარჩენილი ქვეყნის დაახლოებას დანარჩენ მსოფლიოსთან.

კაესონგის პარკის მშენებლობა-განვითარებაზე უკვე ორი სამხრეთ კორეული კომპანია მუშაობს. ესენია "კორეან ლენდი" და "ჰიუნდაის" ერთ-ერთი შტო. ჩრდილოეთში მუშაობის სურვილი კიდევ ათასამდე სამხრეთ კორეულმა კომპანიამ გამოთქვა. ყველს ძალიან იზიდავს ჩრდილოეთის აუთვისებელი რესურსები, სამხრეთთან შედარებით იქაური არნახულად იაფი მუშახელი (ჩრდილოეთის მოთხოვნით, კაესონგში მომუშავეთა მინიმალური თვიური ხელფასი 50 დოლარი უნდა იყოს) და აგრეთვე საგადასახადო შეღავათები, რომელსაც ფხენიანი უცხოელ ინვესტორებს ჰპირდება. თუმცა, კაპიტალიზმის წარმომადგენლებს გარკვეული შეშფოთებისა და სიფრთხილის საფუძველიც აქვთ.

კაესონგში უცხოურ კომპანიათა უმრავლესობას მსუბუქი მრეწველობა - უპირველესად კი, ქსოვილების წარმოება აინტერესებს. ისინი დარგისა და საქმიანობის მიხედვით სხვადასხვა ტარიფით დაიბეგრებიან - ყველაზე დიდი 14 პროცენტით, რაც სამხრეთ კორეული ტარიფის ნახევარიც არაა. თავად ფხენიანს, პირველ რიგში, მაღალი ტექნოლოგიების განვითარება სურს და ამ დარგში მომუშავე უცხოურ კომპანიებს მხოლოდ 10 პროცენტით უპირებს დაბეგვრას. ამის მიუხედავად, ბევრი კომპანია გარკვეულ სიფრთხილეს მაინც იჩენს. საქმე ისაა, რომ მუშახელის დაქირავება ჩრდილო კორეული სამთავრობო უწყების მეშვეობით ხდება, რომელსაც სამხრეთელები ეჭვის თვალით უყურებენ. თანაც აშკარაა, რომ ჩრდილოეთ კორეას სტაბილურობამდე ბევრი უკლია. ქვეყანა კვლავაც მუშაობს ბირთვულ პროგრამაზე, რითაც ძალიან აღიზიანებს დასავლეთს. ფასების ნაწილობრივი ლიბერალიზაცია და ხელფასებზე ზღვარის მოხსნა, რამაც გასულ წელს საქმიან სამყაროს გარკვეული იმედები ჩაუსახა, ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ კომუნიზმის ბასტიონი მალე გადავა საბაზრო ეკონომიკის რელსებზე.

## ადოლფ ჰიტლერის თაყვანისმცემელი? თავგამოდებული მოტრფიალე



"დიდი არნის" თანამემამულე ჰიტლერი.

როგორც კალიფორნიის მომავალ არჩევნებში შვარცნეგერის მეტოქეები ირწმუნებიან, "დიდი არნი" თავისი თანამემამულის ადოლფ ჰიტლერის თავგამოდებული მოტრფიალე ყოფილა. მათ გამოაქვეყნეს შვარცნეგერის მიერ 70-იან წლებში ნათქვამი ფრაზები, სადაც იგი აცხადებს, რომ პატივს სცემს ჰიტლერს იმის გამო, რომ მიუხედავად ფორმალური განათლების არქონისა, ფიურერმა მაინც მოახერხა ხელისუფლების მწვერვალების დაპყრობა. სხვათა შორის, განსაკუთრებული ინტელექტით თავად შვარცნეგერიც არ გამოირჩევა, იგი მხოლოდ იმ დებატებში მონაწილეობს, სადაც კითხვებს წინასწარ არიგებენ.

გარდა ამისა, შვარცნეგერს ქალებზე ძალადობაშიც სდებენ ბრალს. თუმცა, მან ამისათვის უკვე მოიხადა ბოდიში.

# „წუთშესვენება" ნარკომაფიის სასარგებლოდ

## ზეთოვანი ხაშხაშის სელექციური ჯიში ევროპის ბაზრებზეც გამოჩნდა


*ნარკოტიკების მომხმარებელთა რიცხვი 30-ჯერ გაიზარდა.*

*საქართველოში ახალი სახის ნარკოტიკი გამოჩნდა. იგი საკვებად შემოტანილ ყაყაჩოს თესლში მოიპოვება. საუბარია ოპიუმზე, რომელიც პროდუქტიდან ქიმიური დამუშავების შემდეგ გამოიყოფა. საფრთხეს სწორედ ეს მომენტი აორმაგებს – იაფფასიანი ქიმიური გამხსნელები ნარკოტიკში ორგანიზმისთვის მეტად საშიშ მინარევებს ტოვებს. იმ ოთხი თვის განმავლობაში, რაც ქართულ ბაზარზე პაკეტებში დაფასოებული საკონდიტრო ყაყაჩოს თესლი გამოჩნდა, ნარკოტიკების მომხმარებელთა რიცხვმა მკვეთრად იმატა. 14-დან 18 წლამდე ასაკის მოზარდების 90 პროცენტი დღეს ამ სახის ოპიუმს იღებს.*

მაკა ჭაიანი

გარდა იმისა, რომ ყაყაჩოს თესლისგან მიღებულ ოპიუმს თრობის მაღალი ხარისხი აქვს, იგი წარმოუდგენლად იაფიცაა. ნახევარი კილოგრამი ყაყაჩოს თესლის ყიდვა (ეს რაოდენობა ოთხი დამწყები ნარკომანისთვის საკმაო დოზას შეიცავს) სულ რაღაც 20 ლარადაა შესაძლებელი. სამი თვის წინათ მისი ფასი ორი ლარი იყო, მაგრამ, მას შემდეგ, რაც საკონდიტროდ გათვალისწინებული პროდუქტით ნარკოტიკების მომხმარებლები დაინტერესდნენ, ღირებულება გაათმაგდა. ამ პერიოდში, როგორც ოფიციალური მონაცემები ცხადყოფს, 30-ჯერ გაიზარდა იმ პირთა რიცხვში, რომლებიც ნარკოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ყაყაჩოს თესლის ნარკოტიკის სახით მოხმარების გამო მოხვდნენ. იმატა მოწამვლის შემთხვევებმაც.

**"ვითარება ნამდვილად რთულია,** - ამბობს ნარკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გელა ლეჟავა, - **წესით, ყაყაჩოს თესლი არ უნდა შეიცავდეს იმ დოზით ოპიუმს, რა დოზასაც ეს პროდუქტი შეიცავს. ევროპელი ექსპერტები ვარაუდობენ და ჩვენც ვეთანხმებით, რომ იგი სპეციალურად ამ საქმისთვის არის გამოყვანილი. თუ სასწრაფოდ არ მივიღებთ ქმედით ზომებს, შედეგები სავალალო იქნება."**

ოპიუმის ეს ახალი "საბადო" – ზეთოვანი ხაშხაშის სელექციური ჯიში, არა მარტო საქართველოს, ევროპის ბაზრებზეც გამოჩნდა. ჩვენში შემოტანილს რუსული წარწერა ამშვენებს, მაგრამ უკვე დადგენილია, რომ ჩვენ და დანარჩენ მსოფლიოსაც, მისით აქამდე მარიხუანას ძირითად "მომწოდებლად" ცნობილი ქვეყანა – ჰოლანდია ამარაგებს. ოფიციალური სტრუქტურები – სამედიცინოთი დაწყებული, სამართალდამცავებით დამთავრებული, არ მალავენ, რომ ოპიუმით ხელოვნურად გაჯერებული ყაყაჩოს თესლის შეძენა ნებისმიერ ჩვენს რეგიონში უპრობლემოდ შეიძლება. გამონაკლისი, როგორც გუშინ აჭარის წარმომადგენლობაში გამართულ შეხვედრაზე ითქვა, ეს ზღვისპირა რეგიონია. მიზეზი – მისი ხელმძღვანელობის მიერ გატარებული ღონისძიებები.

ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები, ამ კონტექსტში, კანონს უჩივიან. მათი განმარტებით, იქამდე, ვიდრე ყაყაჩოს თესლი ნარკოტიკული თუ ფსიქოტროპული საშუალებების უკვე დამტკიცებულ ნუსხაში არ შევა, მისი აკრძალვა კანონდარღვევად ჩაითვლება. ამგვარ ცვლილებას პარლამენტის დასტური ჭირდება, მისი მიღება კი, სულ ცოტა, ახალ წლამდე შეუძლებელია. "24 საათი" დაინტერესდა, აძლევს თუ არა მოქმედი კანონმდებლობა სამართალდამცავებს საშუალებას, ყაყაჩოს თესლი მასში ძლიერმოქმედი ნარკოტიკის შემცველობის მიზეზით აკრძალოს. პასუხი უარყოფითია. მოტივი - ასეთი: ამ მიზეზით ბევრი პროდუქტის აკრძალვა შეიძლება. საჭიროა კონკრეტიკა, რომელიც მხოლოდ კანონით დამტკიცებული ჩამონათვალის შევსებით მიიღება.

"24 საათი" იმითაც დაინტერესდა, მოახერხა თუ არა უშიშროების სამინისტრომ იმის დადგენა, ვის შემოაქვს საქართველოში ესოდენ საშიში პროდუქტი. ამაზე სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს კონტრტერორისტული დეპარტამენტის უფროსის მოადგილის, ვანო ბერიძის განცხადებები ურთიერთგამომრიცხავია. **"ამის გასარკვევად ჩვენ სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ორი თვის წინათ წერილობით მივმართეთ. პასუხი ჯერ არ მიგვიღია. ოპერატიული ინფორმაციით, ყაყაჩოს თესლი ერგნეთიდან შემოდის, კონტრაბანდაა."** ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: თუ საქმე კონტრაბანდასთან გვაქვს, რატომ არ ებრძვის მას სახელმწიფო სწორედ ამ მიზეზით? ამ კითხვის შემდეგ, უშიშროების სამინისტროს წარმომადგენელი აცხადებს, რომ თესლი ლეგალურია.

"24 საათი" სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროსაც დაუკავშირდა. შესაბამისი მოკვლევის შემდეგ, სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა მაკო ბიგვავამ გვაცნობა, რომ, უკანასკნელი ექვსი თვის განმავლობაში, უშიშროების სამინისტროსგან მსგავსი შინაარსის წერილი ამ უწყებაში არ მიუღიათ. ამგვარ ფონზე მხოლოდ ორი რამის ვარაუდი შეიძლება: ნარკომაფიას ჩვენს სამშობლოში იმდენად მაღალი ჩინი მფარველობს, რომ მის წინაშე უძლურია ყველა დანარჩენი, ან არადა, ეს ხელოვნური, შვიდთვიანი "წუთშესვენება" ნარკომაფიის სასარგებლოდ, თავად სამართალდამცავებს აძლევს ხელს.

# უკონკურენტო „კოკა-კოლა" - ათი წელი თეთრ ბიზნესში

თამარ დვალი

*საქართველოში ცივი სასმელების ლიდერ "კოკა-კოლას" გუშინ ათი წლის იუბილე შეუსრულდა. "1993 წლიდან "კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიამ" მომხმარებელს რვა სახეობის სასმელი შესთავაზა, დაასაქმა ათასობით ადამიანი, ვარძიასა და ახლციხეში ააშენა ორი ქარხანა, ასევე აამუშავა შუშის ქარხანაც"- ეს, "კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას" პრეზიდენტს თემურ ჭყონიას სიამაყით ავსებს და აცხადებს, რომ "მათ სასმელს, არა მარტო საქართველოში, არამედ, მსოფლიოშიც კი არ ჰყავს კონკურენტი."*

თემურ ჭყონიამ იუბილეზე მოწვეულ ამერიკის ელჩს რიჩარდ მაილსს პირველ რიგში, საქართველოში "კოკა-კოლას" ბიზნესის განვითარების ისტორია გააცნო. მან აღნიშნა, რომ კოკა-კოლა იყო პირველი ამერიკული კომპანია, რომელმაც ათი წლის წინათ შემოაბიჯა საქართველოში და წარმატებული საქმიანობით ღირებული წვლილი შეიტანა, როგორც ქვეყნის ეკონომიკის, ასევე საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც. **"კოკა-კოლას" შემოსვლამ ბიძგი მისცა უცხოური კომპანიების ინვესტიციების მოზიდვას ჩვენს ქვეყანაში და ადგილობრივი საწარმოების ამუშავებას. დღეს უკვე ბევრი ნედლეული, რომელსაც საწარმო მოიხმარს ადგილობრივი წარმოებისაა, "** – განაცხადა ჭყონიამ და აქვე დასძინა, რომ ხალხში გავრცელებული აზრი, თითქოს საქართველოში თეთრი ბიზნესი არ არსებობს ტყუილია, რადგან "კოკა-კოლას" მხოლოდ თეთრი ბიზნესი გააჩნია.

იმის დასამტკიცებლად, რომ "ასჯერ ნათქვამს ერთხელ ნანახი სჯობია," ბატონმა თემურმა სტუმრები ქარხანაში მიიპატიჟა, სადაც საათში დაახლოებით 12 ათასი დიდი და 24 ათასი პატარა ბოთლი კოკა-კოლა ისხმევა. სპეციალისტების თქმით, სასმელის მომზადება სანიტარული ნორმების უმკაცრესი დაცვით ხორციელდება, ლაბორატორიულად მოწმდება შაქრის ქიმიური და მიკრობიოლოგიური მაჩვენებელი. ასევე ხდება ჩვეულებრივი წყლის გაფილტვრაც.


*თემურ ჭყონია: ეს "კოკა-კოლა" თქვენსას სჯობია.*

ბატონმა თემურმა "კოკა-კოლას" მსოფლიო აღიარების დასადასტურებლად, კლინტონის ევროპაში სტუმრობა გაიხსენა. სადაც მისი თქმით, პრეზიდენტმა უამრავ სასმელს შორის სწორედ "კოკა-კოლა" აირჩია და ჭიქის ნაცვლად, ბოთლითვე მიირთვა.

ქართველმა მასპინძლებმაც არ დაარღვიეს "კოკა-კოლას" დალევის წესი და მოწვეულ სტუმრებს სასმელი ბოთლითვე შესთავაზეს. **"მე ძალიან მიყვარს კოკა-კოლა. ამის დასტურია ისიც, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს გამოცემულ ჟურნალებში დაბეჭდილი "კოკა-კოლას" რეკლამები ახლაც ცხადად მახსოვს. ვფიქრობ, რომ "კოკა-კოლა" მართლაც კარგი კომპანიაა და კარგ ნაწარმსაც უშვებს. მას საქმის წარმოების კარგი კულტურა და ტრადიციები ახასათებს, "** – განაცხადა ამერიკის ელჩმა რიჩარდ მაილსმა, რომელმაც, ჩამოსასხმელად გამზადებული ბოთლის ნიმუში სამახსოვროდ შეინახა. **"ჩემი შვილი "კოკა-კოლას" ფანია. საშობაო არდადეგებზე უნდა ჩამოვიდეს და ამ ბოთლსაც მაშინ ვაჩუქებ, ვიცი, რომ ძალიან გაუხარდება."**

როგორც თავად "კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას" პრეზიდენტმა განაცხადა, მათ ამ ზაფხულს კიდევ ერთი ახალი პროგრამის განხორციელება დაიწყეს. პროგრამის სახელწოდებაა "შენი ჯერია შეცვალო მსოფლიო", რომელიც სტუდენტების საზაფხულო პრაქტიკით უზრუნველყოფას ითვალისწინებს.

დახურულ კარს მიღმა გამართული საუბრის შემდეგ, თემურ ჭყონიამ განაცხადა, რომ მისი კომპანია ამერიკის საელჩოსთან ერთად, რამდენიმე ღონისძიების ჩატარებას გეგმავს. რაც ძირითადად განათლების სისტემაში მათ ერთობლივ საქმიანობას ეხება.

ათი წლის იუბილესთან დაკავშირებით, "კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას" ამერიკის ელჩთან ერთად, კომპანია "კოკა-კოლას" ევრაზიისა და ახლო აღმოსავლეთის ზონის საზოგადოებრივ საქმეთა და კომუნიკაციების დირექტორი გურტაი კიგბაჩიც ეწვია.

# აბსურდული სიტუაციებისაგან თავდასაღწევად

## საკრებულოს ახალი ინიციატივა: თბილისის განათლების სისტემის განვითარების პროგრამა

ნინო ცინცაძე

*გუშინ თბილისის საკრებულოში, საკრებულოს განათლების საკითხების კურატორმა ბატონმა გია მურღულიამ ქალაქის სკოლების ახალგაზრდა პედაგოგებს ახალი პროგრამის პროექტი წარუდგინა, რომელიც თბილისის განათლების სისტემის განვითარებას ისახავს მიზნად.*

განათლების სისტემის რეფორმა ჩვენს ქვეყანაში თითქმის თხუთმეტი წელია მიმდინარეობს. მიუხედავად ამისა, ჯერ არ განხორციელებულა ჩვენი საშუალო განათლების სისტემის ევროპულ სივრცესთან ინტეგრაციისათვის აუცილებელი და გადამწყვეტი ნაბიჯი – სკოლებში სწავლება 12 წლიან საფეხურზე ჯერ არ გადასულა. წესით, ეს ჯერ კიდევ 1998 წელს უნდა მომხდარიყო. შემდეგ ვადამ, გაურკვეველი მიზეზების გამო, 2001 წლის 1 სექტემბრისათვის გადაიწია. თუმცა, ფაქტია, რომ ჩვენმა შვილებმა წელსაც 11 საფეხურიან სკოლებში შეაბიჯეს. უკვე რამდენიმე წელიწადია საქართველოს სკოლებში განათლების ხარისხის შესამოწმებლად ტესტირებები ტარდება, მაგრამ მათი შედეგები ფართო საზოგადოებისათვის ჯერ კიდევ არ არის ცნობილი. განათლების შესახებ კანონი ირღვევა იმითაც, რომ სწავლების სტანდარტები ჯერ კიდევ არ შემუშავებულა. მართალია, არსებობს რაღაც დროებითი სტანდარტი, თუმცა, როგორც დღეს საკრებულოში მასწავლებლები ამბობდნენ, იგი ჯერ არც ერთ სკოლამდე არავის არ მიუტანია. ახლა ქვეყნის მასშტაბით არსებულ ამ და სხვა უამრავ პრობლემას თავი დავანებოთ და დედაქალაქს დავუბრუნდეთ.

განათლების სამინისტრომ ძალები არ დაიშურა, რათა დაებლოკა თბილისის საკრებულოს ინიციატივა, რომელიც ქალაქში მართვის სისტემის დეცენტრალიზაციას, სკოლებში სამეურვეო საბჭოების შექმნასა და დირექტორთა არჩევითობას ითვალისწინებდა. გაურკვევლობაა დედაქალაქის განათლების სისტემის მართვის სტრუქტურაში. მერიის განათლების განყოფილებაში 47 ადამიანი მუშაობს. მათი მუშაობა სამ ძირითად ფუნქციას მოიცავს: მათი მოვალეობაა განათლების სამინისტროსათვის 9 წლიანი სკოლების დირექტორთა კანდიდატურების წარდგენა, თუმცა ასეთი სკოლები თბილისში არ არსებობს. მათ დაწყებით სკოლებში დირექტორების დანიშვნა შეუძლიათ. თუმცა, ჩვენს დედაქალაქში ასეთი სკოლებიც არ არსებობს. მათ ასევე ევალებათ თბილისის ბაგა-ბაღების გამგეების დანიშვნა, რასაც ორმოცდაშვიდკაციანი განყოფილება წარმატებით ახორციელებს; ამისათვის კი წელიწადში ბიუჯეტის 200 000 ლარი იხარჯება.


*მურღულიას საპროგრამო კითხვაზე პასუხი მზად აქვს.*

რადგან ბიუჯეტს მივადექით, უნდა ითქვას, რომ მერხებისა თუ სხვა სასკოლო ინვენტარის მწვავე დეფიციტის ფონზე, 2003 წლის თბილისის ბიუჯეტში, განათლების განყოფილების მიერ დასაფინანსებელ სპორტულ პროგრამებში კარატე დოს პროგრამის დაფინანსება შედის. ამისათვის 100 000 ლარია გამოყოფილი. ამავე პროგრამის ფარგლებში აუცილებლად უნდა დაფინანსდეს აერონავტიკის მსოფლიო კონგრესში ჩვენი დელეგაციის მონაწილეობაც.

მსგავსი აბსურდული სიტუაციებისაგან თავდასაღწევად თბილისის საკრებულოს ინტერფრაქციულმა ჯგუფმა განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის ინსტიტუტთან ერთად პროგრამა შეიმუშავა. მისი მიზანია: დედაქალაქში განათლების სისტემის დეცენტრალიზაცია და ლიბერალიზაცია, განათლების ხარისხის განსაზღვრა და უზრუნველყოფა, განათლების მიღების თანაბარი მისაწვდომობა და განათლების სისტემის დაფინანსების ეფექტურობა.

გუშინ ეს პროექტი გია მურღულიამ თბილისის სკოლების ახალგაზრდა პედაგოგებს წარუდგინა და მათ პროექტის მომავალ მუშაობაში აქტიური მონაწილეობის მიღება სთხოვა. ერთი კვირაში, მას შემდეგ, რაც მასწავლებლები პროგრამას გაეცნობიან, საკრებულოში მათი შეხვედრა კვლავ მოხდება, კონკრეტული პუნქტებისა და წინადადებების განსახილველად. მანამდე ეს პროექტი საკრებულომ სკოლის დირექტორებსაც წარუდგინა, ამ საკითხებზე დაგეგმილია შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციებსა და პროფკავშირებთანაც.

თბილისის განათლების სისტემის განვითარების პროექტი სამწლიანია. პროგრამაში დასახული მიზნები, უდავოდ, მისაღებია, თუმცა პროექტში მათი განხორციელების უშუალო გზებზე საუბარი არ არის. მასწავლებლები მართალია მომავალ მუშაობაში მონაწილეობის მიღებას დათანხმდნენ, მაგრამ გამოთქვეს ეჭვი იმის თაობაზე, იმუშავებს თუ არა ეს პროგრამა ქვეყანაში, სადაც არ სრულდება პრეზიდენტის ბრძანებები და გამუდმებით ირღვევა განათლების კანონი.

# მხოლოდ კეთილი ადამიანების იმედით

*არასამთავრობო ორგანიზაცია "საფეხურების" პროექტი-მარგინალური ჯგუფების ინტეგრაცია საზოგადოებაში მედიის საშუალებით" აგრძელებს წერილების სერიას "ნამდვილი ამბავი". ისტორიებს ქმნიან ადამიანები, ჩვენი საზოგადოების წევრები.ისინი საუბრობენ თავიანთ პრობლემებზე. პროექტის საშუალებით შესაძლებელია მოვუსმინოთ და დავეხმაროთ მათ.*

ხათუნა მოსიძე ოთხი შვილის დედაა. მას ორი შვილი ინვალიდი ყავს.

ქ-ნი ხათუნა არ მუშაობს და არანაირი შემოსავალი არ აქვს. ორი უფროსი შვილი 11 წლის ქეთევანი და ცხრა წლის ია, ბებია-ბაბუასთან ცხოვრობენ სოფელში, ისინი იქ სკოლაში მე-6 კლასში სწავლობენ. თავად ხათუნა კი თბილისის ერთ-ერთ გარეუბანში ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს.

"ორი თვეა ბინა დავიქირავე, ფული კი არ გადამიხდია, 15 ოქტომბრამდე თუ არ გადავიხდი, ბინის დატოვება მომიწევს",- ამბობს ხათუნა.

ბინა, რომელსაც ის ქირაობს, ერთოთახიანია და ყოველთვიურად 50 ლარი უნდა გადაიხადოს, რისი საშუალებაც არ აქვს. მის მესამე შვილს გვანცას მძიმე ენდოკრინული დაავადება აქვს; ბავშვი ხუთი წლისაა, გარეგნობით კი ორი წლისას უფრო გავს. გვანცა დიდუბის ბავშვთა სახლშია გაზრდილი, დედამისმა ორი თვის წინ, როცა ბინა იქირავა წამოიყვანა და ახლა დროებით თავისთან ჰყავს. ექიმების თქმით, გვანცას წონაში და ზრდაში ჩამორჩენა, ბავშვთა სახლში ცუდად კვების ბრალია. ექიმების თქმით, ბავშვს გენეტიკური გამოკვლევა ჭირდება, რაც 1000 ლარი ღირს. უმცროსი ვაჟი, ორი წლის გიორგი ჩვილ ბავშვთა სახლშია.

"სად წამოვიყვანო, მე თვითონ ბინა არა მაქვს. ცოტა ხანში, სადაც ვარ, იქიდანაც გამომაგდებენ, მე ქუჩაში უნდა ვიყო, ბავშვებსაც იქ ხომ არ წავიყვან", - ამბობს ოთხი შვილის დედა. მისი თქმით, ცოტა ხანში თუ ქირას ვერ დაფარავს, გვანცას დაბრუნება მოუწევს ბავშვთა სახლში.

ხათუნას მშობლები ორ ოთახში თავის ვაჟთან, მის შვილებთან და ხათუნას ორ შვილთან ერთად ცხოვრობენ, ისინი მესამე ბავშვს თავისთან ვეღარ გააჩერებენ. თან უფროსი გოგო ქეთევანი რევმატიზმით და ნერვული აშლილობით არის დაავადებული.

"შუქი თუ არ ანთია, ქეთევანი ისე ვერ იძინებს, ძალიან ნერვიულია, ხმამაღალი სიტყვა ვერ გვითქვამს. ისე ტირის ისტერიკამდე მიდის",- ამბობს ქეთევანის დედა.

ხათუნას თქმით, მის ოჯახს ტანსაცმლით, საჭმლითა და გვანცასთვის საჭირო მედიკამენტებით თიკა ციციშვილი, კერძო პირი, ეხმარება. ამბობს, ის რომ არ იყოს მე არ ვიცი ცოცხლები როგორ ვიქნებოდითო.


*ხათუნა მოსიძე ყველა შვილთან ერთად ყოფნაზე ოცნებობს.*

გიორგი სამ წლამდე ჩვილ ბავშვთა სახლში იქნება, მერე კი მასაც, როგორც მის დას, დიდუბის ბავშვთა სახლში გადაიყვანენ. ასე რომ მოხდეს, არც დედას და არც შვილებს არ უნდათ, მაგრამ სხვა გამოსავალი ოჯახს არ აქვს. ხათუნას თქმით, მას მხოლოდ ბინის ფული, ანუ თვეში 50 ლარი რომ ჰქონდეს, ბავშვებს თავისთან წაიყვანდა, თვითონ კი იმუშავებდა.

**თუ ვინმეს დახმარების სურვილი გაუჩნდება, გთხოვთ დაგვიკავშირდეთ პროექტის კოორდინატორს ირინა სიგუას, მობ: 899 555 113 ან ელ. ფოსტაზე Stagesngo@hotmail.com**

**ასოციაცია საფეხურები**

მოკლედ

# დედოფლისწყაროში სწავლა შეჩერდა

ზვიად რუაძე

უკვე მესამე დღეა, რაც დედოფლისწყაროს რაიონის სკოლებში სასწავლო პროცესი შეჩერდა. ამის მიზეზად ხელფასების დავალიანება სახელდება. პედაგოგების თქმით, მაისის შემდეგ მათ ხელფასი არ მიუღიათ. **"ხუთი თვე გავიდა და დღემდე ხმა არ ამოგვიღია. ახლა კი მოთმინების ფიალა აგვევსო. ვფიქრობ, რომ ჩვენი პროტესტი სამართლიანია",** – ამბობს დედოფლისწყაროს პირველი საშუალო სკოლის დირექტორი თენგიზ ტუხაშვილი. მის აზრს იზიარებენ დანარჩენი სასწავლო დაწესებულებების ხელმძღვანელებიც.

რაიონის გამგებელი ვაჟა ქადაგიძე კი თავს იმით იმართლებს, რომ ბიუჯეტში "ერთი გროშიც კი არ არის". **"შემოსავლები არ არის და ჩემი ჯიბიდან ხომ არ დავურიგებ პედაგოგებს ფულს?",** – ამბობს ქადაგიძე.

"სამართლიანი არჩევნების" წარმომადგენელს დედოფლისწყაროში ნინო ქუსიკაშვილს კი მიაჩნია, რომ ხელისუფლება ამ პრობლემებს ხელოვნურად ქმნის, რათა შემდგომ იგი ფართომასშტაბიან აქციებში გადაიზარდოს და, ამ მოტივით, ადგილობრივმა ხელისუფლებამ არჩევნები ჩაშალოს. თავად პედაგოგები პოზიციების დათმობას არ აპირებენ. მათი თქმით, სანამ ხელისუფლება მათ ვალს არ გაისტუმრებს, სკოლებში სასწავლო პროცესი არ განახლდება.

ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს ინვალიდთა, ვეტერანთა და დევნილთა არასამთავრობო ორგანიზაციების ასამბლეის წევრები, რომლებიც მეათე დღეა სოციალური მოთხოვნებით აქციას მართავენ სახელმწიფო კანცელარიასთან, უნდობლობას უცხადებენ ხელისუფლებას, ორ ნოემბერს დანიშნულ საპარლამენტო არჩევნებს კი ბოიკოტით ემუქრებიან. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დღეს დილით 200-მდე პენსიონერმა თბილისს დიდუბის რაიონში, საპენსიო ფონდის შენობასთან მისასვლელი გზა გადაკეტა. ისინი ბოლო ორი თვის საპენსიო დავალიანების გაცემას ითხოვდნენ.

ფონდის დირექტორმა ირაკლი კოპლატაძემ პირობა დადო, რომ საპენსიო დავალიანების — დაახლოებით 3 მილიონ 200 ათასი ლარის გაცემა ხვალიდან დაიწყება.

კოპლატაძის ამ დაპირების შემდეგ პენსიონერები დაიშალნენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გასულ კვირას თბილისში დაბინძურების 83 წერტილი დაფიქსირდა. ამჟამად მდგომარეობა გაუმჯობესდა 57 ადგილზე. დაუცლელია ვაზისუბნის I მიკრორაიონის 20ა და 20ბ კორპუსების ბუნკერები. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მერიაში აცხადებენ, რომ დედაქალაქის ჩაბნელებული მიწისქვეშა გადასასვლელები მალე ისევ განათდება. ქალაქის ბიუჯეტით მიწისქვეშა გადასასვლელების მოვლა-პატრონობაზე გამოყოფილია 330 ათასი ლარი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სადგურ „ვაგზლის მოედანი-2"-ის სარემონტო სამუშაოები 14 ოქტომბრისთვის დასრულდება.

ამჟამად უკვე დასრულებულია სადგურ „ვაგზლის მოედანი-2"-ის ჭერის დაფარვა თანამედროვე პლასტიკატით, რეკონსტრუირებულია ელექტროობისა და განათების სისტემები. სადგურის რეკონსტრუქციაზე 70 ათას ლარამდე დაიხარჯა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, დაგეგმილია თბილისში წმინდა სამების საკათედრო ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე, ფაბრიციუსის ქ №22-ში მდებარე რადიოლოკაციური ანძის ტერიტორიის გამოთავისუფლება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის თოჯინების თეატრი მალე საქველმოქმედო აქცია-კონცერტს უმასპინძლებს, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ დედაქალაქის მხედველობადაქვეითებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატის (ავლაბრის) მოსწავლეები.

აქციის ინიციატორია საქართველოს საპატრიარქოს ახალგაზრდული ფონდი „ძლევაი". **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თსუ-ში საქართველოს რადიოლოგთა მეორე კონგრესი გაიხსნა, რომელშიც ქართველ სპეციალისტებთან ერთად, დსთ-ის, ევროპისა და აზიის 40-მდე წამყვანი რადიოლოგი, ასევე ცნობილი ფირმების "სიმენსის", "ჯონსონის & ჯონსონის" და სხვა კომპანიების წარმომადგენლები მონაწილეობენ. კონგრესი ორ დღეს გასტანს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ყვარელი.** ნეკრესის ნაქალაქარში ახალი არქეოლოგიური აღმოჩენა დაფიქსირდა. როგორც ექსპედიციის ხელმძღვანელმა ლევან ჭილაშვილმა განაცხადა, ჩვ.წ.აღ.-მდე მეორე საუკუნეში დაარსებული ქალაქის ნანგრევებზე წარმოებული გათხრებისას არქეოლოგებმა ქვაზე ამოკვეთილი ასომთავრული ანბანით შესრულებულ წარწერას მიაკვლიეს, რომელიც ძვ.წ.აღ-ით პირველი საუკუნით თარიღდება. **ინტერ-პრესი**

# უცხოელ დიპლომატზე თავდასხმა მალე გაიხსნება

საქართველოში რუსეთის ელჩი ვლადიმერ ჩხიკვიშვილი აცხადებს, რომ 11 აგვისტოს რუსეთის საელჩოს პირველ მდივან ალექსანდრე ვალიუხზე მომხდარი ყაჩაღური თავდასხმის საქმეში "გარკვეული ხელჩასაჭიდი გარემოებები" იკვეთება.

როგორც ვლადიმერ ჩხიკვიშვილმა განაცხადა, გამოძიება გრძელდება და საელჩო მუდმივ კონტაქტზეა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან.

ალექსანდრე ვალიუხი ამიერკავკასიაში რუსეთის საჯარისო დაჯგუფების ჰოსპიტალიდან სექტემბრის მეორე ნახევარში გაწერეს.

"დიპლომატის ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება და იგი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას უკვე შეუდგა, თუმცა ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება," - აღნიშნეს საელჩოში.

საქართველოს სამართალდამცველი ორგანოების ხელმძღვანელებმა ეს საქმე განსაკუთრებულ კონტროლზე აიყვანეს.

რუს დიპლომატს პისტოლეტებით შეიარაღებული სამი ნიღბიანი ბანდიტი დაესხა თავს, რომლებმაც იარაღიდან რამდენჯერმე გაისროლეს და ვალიუხს თავის არეში კონდახით ოთხი დარტყმა მიაყენეს.

საელჩოს პირველი მდივანი ჰოსპიტალში თავის ქალის ტრავმის დიაგნოზით მოათავსეს.

რუსულმა მხარემ მომხდარი ინციდენტის დაუყოვნებლივ გამოძიება, დამნაშავეთა დაკავება და დასჯა მოითხოვა.

თვითმხილველთა თქმით, ბანდიტები ელჩისთვის სამსახურებრივი ავტომანქანის - "ჯიპის" გასაღების წართმევას ცდილობდნენ, თუმცა მან წინააღმდეგობა გაუწია.

ამასთან, შინაგან საქმეთა მინისტრმა კობა ნარჩემაშვილმა ინციდენტიდან რამდენიმე დღის შემდეგ განაცხადა, რომ "არსებობს სერიოზული მონაცემები" იმ დამნაშავეთა შესახებ, რომლებიც თავდასხმაში მონაწილეობდნენ.

"ახლო მომავალში დანაშაული გაიხსნება," - უთხრა მან ჟურნალისტებს. **პრაიმ-ნიუსი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში არ გამორიცხავენ პანკისში ოდიოზური ფიგურების დაბრუნებას, რომლებიც ადრე ამ რეგიონიდან აზერბაიჯანში გადავიდნენ. თუმცა, ვალერი ხაბურძანიას განცხადებით, პანკისის ხეობას საქართველოს ძალოვანი სტრუქტურები აკონტროლებენ. დასმულ კითხვაზე - შესაძლოა თუ არა, რომ 1999 წელს ვოლგოდონსკსა და მოსკოვში საცხოვრებელი სახლების აფეთქებათა ორგანიზატორი აჩიმეზ გოჩიაევი ხეობაში იმყოფებოდეს? მინისტრმა უპასუხა, რომ პანკისში იგი არაა, რაც ოპერატიული მონაცემებით დასტურდება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ბოლო ორი დღის განმავლობაში ავჭალისა და რუსთავის №2 მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში სპირტიანი სასმელის აღმოჩენის სამი შემთხვევა გამოვლინდა. უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა ავჭალის №6 მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში ამავე დაწესებულების კონტროლიორს ალექსანდრე საბიაშვილს პირადი შემოწმებისას 1,5 ლიტრი არაყი აღმოუჩინეს. რუსთავის №2 დაწესებულებაში მსჯავრდებულ დემეტრაშვილისაგან 1 ლიტრი არაყი ამოიღეს, რომელიც, პატიმრის თქმით, №5 საგუშაგოზე მდგომმა გუშაგმა შოთა ზამბახიძემ გადაუგდო. რუსთავის №2-ში უსაფრთხოების სამსახურის მუშაკებმა №1 საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე ამავე დაწესებულების თანამშრომელს გენადი გოგუას წელზე შემოკრული 2 ნახევარლიტრიანი სპირტით სავსე ბოთლი აღმოუჩინეს, რომელიც მას მსჯავრდებულებისთვის უნდა გადაეცა. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ ზუგდიდის საპყრობილეში მოშიმშილე პატიმარმა კოხტა ბასილიამ აქცია 44-ე დღეს შეწყვიტა. იგი ამ გადაწყვეტილებაზე სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სოციალურმა სამსახურმა და საპყრობილის ადმინისტრაციამ დაითანხმა. ბასილიას, რომელიც 6 თვის წინათ ძარცვისა და იარაღის უკანონო ტარების ბრალდებით დააკავეს, გამოძიებისა და სასამართლოს მიმართ აქვს პრეტენზია. იგი აცხადებს, რომ უდანაშაულოა და გათავისუფლებას ითხოვს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** ქუთაისის პოლიციამ მკვლელობაში ეჭვმიტანილი, ამავე ქალაქში მცხოვრები ამხილა. მას მიმდინარე წლის 7 ივლისს, ქუთაისში, ავტოსადგურის ტერიტორიაზე მდებარე ვალუტის გადამცვლელ ჯიხურზე ყაჩაღური თავდასხმა და მისი მეპატრონის გენური ირემაძის მკვლელობა ედება ბრალად. იგი თვითმხილველებმა ფოტოსურათის საშუალებით ამოიცნეს. ამჟამად ტარდება სამძებრო ღონისძიებები ეჭვმიტანილის ადგილსამყოფელის დადგენისა და დაკავების მიზნით. **ინტერ-პრესი**

# ადვოკატები „ისნის ამბოხების საქმეს" წინასაარჩევნო ინტერესებს უკავშირებენ

პირველი გვერდიდან

მიმდინარე წლის 23 მარტს დაპატიმრებული იმ 15 ყოფილი მეომრიდან, რომლებსაც მოგვიანებით ბრალი წარედგინათ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ობიექტის ხელში ჩაგდება-ბლოკირებასა და იარაღის უკანონო ტარებაში, საპყრობილეში დღეს მხოლოდ 11 პატიმარია დარჩენილი. მოგვიანებით სასამართლომ ორ მათგანს შინა პატიმრობა შეუფარდა, ერთი პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ გაუშვეს, ხოლო აჯანყების ერთ-ერთი "ორგანიზატორის" დავით მარტიაშვილის ძმა გამოძიებამ მაშინვე უდანაშაულოდ ცნო და დაპატიმრების მეორე დღესვე გაათავისუფლა. თუმცა, როგორც გუშინ გახდა ცნობილი, ცოტა ხნის წინ ე.წ. ისნის ამბოხების საქმის გამო კიდევ ორი ყოფილი მეომარი - დარჩო ხეჩუაშვილი და თამაზ ლიპარტელიანი დააპატიმრეს. ამბოხების ორი წევრის დაგვიანებით დატუსაღებას გამოძიება ასე ხსნის: **"ამბოხების დროს ზოგიერთი ამბოხებული ნიღაბში იყო და მათი ამოცნობა თავის დროზე ვერ მოხერხდა. ახლა კი ოპერატიული მუშაობით დავადგინეთ მათი ვინაობა და დავაპატიმრეთ."**

ორივე პატიმარს კრწანისი-მთაწმინდის რაიონის სასამართლომ სამი თვით წინასწარი პატიმრობა უკვე შეუფარდა. ექვსთვიანი გამოძიების მიუხედავად, წინასწარ პატიმრობაში იმყოფებიან ამბოხების დღეს დაპატიმრებული ყოფილი მეომრებიც, რომლებსაც ახლად აღმოჩენილი გარემოებების გამო სასამართლომ წინასწარი პატიმრობის ვადა იანვრამდე გაუგრძელა.

მართალია, პროკურატურა წინასწარი პატიმრობის ვადის გაგრძელებით გამოძიებას გაჭიანურებულად სულაც არ მიიჩნევს და სჯერა, რომ დარჩენილ სამ თვეში კიდევ უფრო მეტ სინათლეს მოჰფენს ყოფილ მეომართა ამბოხების მიზანს, მაგრამ პატიმართა ადვოკატები გენპროკურატურის ამგვარ ნაბიჯს უკვე პოლიტიკურ შეკვეთად ნათლავენ.




დავით ხაჟალია და გიორგი ტურაზაშვილი.

**"ე.წ. ისნის ამბოხებულთათვის წინასწარი პატიმრობის გაგრძელება იმ პოლიტიკის ნაწილია, რასაც არჩევნების "გადაგორება" ჰქვია. ვილაცას არ უნდა, რომ დღეს პატიმრობაში მყოფი ყოფილი მეომრები არჩევნების დროს თავისუფლები იყვნენ და ამ დროს იმიტომ წელავენ,"** – განაცხადა გუშინ საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე ყოფილ მეომართა ერთ-ერთმა ადვოკატმა დავით ხაჟალიამ.

ადვოკატების მტკიცებით, გამოძიებას კარგად ესმის, რომ ყოფილი მეომრებისადმი წარდგენილი ბრალდებები თითიდან გამოწოვილია და მათ მიერ "შეკერილ" საქმეს სასამართლო პერსპექტივა არ უწერია.

**"იმის მაგივრად, რომ გამოძიებამ შეაგროვოს მტკიცებულებები და ბრალდებულთა ბრალეულობა ამტკიცოს, პირიქით, ჩვენ - ადვოკატებს მიგვაქვს ყოფილ მეომართა უდანაშაულობის მამტკიცებელი მასალები. გამოძიებას მხოლოდ მოწმეები ჰყავს დაკითხული, სადაც არც ერთ ბრალდებულზე პირდაპირი მინიშნება არ არის გაკეთებული,"** – ამბობს ადვოკატი გიორგი ტურაზაშვილი.

სხვათა შორის, მთავარი ბრალდების – სტრატეგიული ობიექტის ხელში ჩაგდების და ბლოკირების მუხლის – გამაბათილებელი დოკუმენტები დაცვის მხარეს ორი დღის წინ გამოძიებისთვის მიუტანია. ადვოკატებმა პრესკონფერენციაზე რამდენიმე ოფიციალური დოკუმენტი წარმოადგინეს, რითაც ადასტურებენ, რომ ის შენობა, რომელიც ე.წ. ამბოხებულებმა დაიკავეს, სულაც არ არის სტრატეგიული მნიშვნელობის - პირიქით, რამდენიმე წელია, რაც სადავო ობიექტი თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაშიც აღარ ირიცხება.

ჯერ კიდევ თავდაცვის მინისტრის 2001 წლის №222 ბრძანებით, ეროვნული გვარდიის ოპერატიულ პოლკს (ს/55099, მის. თბილისის ქეთევან წამებულის გამზირი №69/71) დისლოკაციის ადგილი შეეცვალა და კოდას სამხედრო ქალაქში გადაინაცვლა. მოგვიანებით კი აღნიშნული შენობა, როგორც არასამხედრო დანიშნულების ობიექტი, 2002 წლის 21 მარტის პრივატიზების ნუსხაში აღმოჩნდა.

**"ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ ის "სტრატეგიული ობიექტი", რომელზეც გამოძიება დავობს, უკვე გაყიდულია და კერძო მესაკუთრეც ჰყავს. აქედან გამომდინარე, სტრატეგიული ობიექტის ბლოკირების მუხლზე საუბარი ზედმეტია,"** – ამტკიცებენ ადვოკატები.

დაცვის მხარეს სერიოზული არგუმენტები აქვს იმაზეც, რომ ეჭვქვეშ დააყენოს იმ იარაღის წარმომავლობა, რომელიც "ამბოხებულთა" დაპატიმრებიდან ერთი თვის შემდეგ გამოძიებამ თავდაცვის სამინისტროს სარდაფიდან ამოიღო და საქმეს მტკიცებულების სახით დაურთო.

ერთი სიტყვით, ე.წ. "ისნის ამბოხების საქმის" გამოძიება ახალი შემართებით ახალ ფაზაში გადავიდა, რასაც ადვოკატები ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლების პოლიტიკური ნებით ხსნიან და გენერალურ პროკურორს საქმის ობიექტური გამოძიებისკენ მოუწოდებენ.

# გაქურდეს გაზეთ "ფოთის" ოფისი

გუშინ, დილით, რედაქციაში მისული დამოუკიდებელი გაზეთის "ფოთის" თანამშრომლებს რედაქციის კარი გატეხილი დაუხვდათ. "ფოთის" ოფისიდან წაღებულია ძვირადღირებული ტექნიკა – ფაქსი, დიქტაფონები, ფოტოაპარატები, კომპიუტერები, სკანერი, პრინტერი და ელექტროგენერატორი. გაზეთის რედაქტორის ხათუნა ცომაიას განცხადებით, ქურდებმა რედაქცია ტექნიკისგან გაასუფთავეს და ოფისში მხოლოდ ელექტრომადუღარა დატოვეს.

გაზეთი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაფინანსებულ პროექტებს ახორციელებდა და აღნიშნული ძვირად ღირებული ტექნიკა სწორედ უცხოურ ორგანიზაციათა გრანტებით ჰქონდათ შეძენილი. გარდა ამისა, გაზეთი "ფოთი" ახორციელებდა ევრაზიისა და სოროსის მიერ ერთობლივად დაფინანსებულ ანტიკორუფციულ პროექტს საქართველოს ბიუჯეტის არამიზნობრივი ხარჯვის თაობაზე. გაზეთი პროექტის ფარგლებში ბეჭდავდა სახელმწიფო მოხელეების ფინანსურ დეკლარაციებს.

გაზეთის რედაქტორი კონკრეტული დამნაშავეების ვინაობას ვერ ასახელებს, მაგრამ გამოთქვამს ვარაუდს, რომ ქურდობა ადგილობრივი ხელისუფლების იმ წარმომადგენელთა მიერაა პროვოცირებული, რომელთა ფინანსური დეკლარაციებიცა და კორუფციული საქმიანობის მამტკიცებელი მასალები გაზეთმა გამოაქვეყნა. ხათუნა ცომაიას თქმით, გუშინ მომხდარი ქურდობა გაზეთის წინააღმდეგ განხორციელებული ფინანსური "დარტყმის" უკვე მეოთხე შემთხვევაა.

გაზეთის რედაქტორის განცხადებით, გუშინ გაზეთის მორიგი ნომერი გამოვიდა, რომელიც შესაძლოა, ბოლო ნომერი აღმოჩნდეს, რადგან რედაქციას არ დარჩა ტექნიკა, რომელიც გაზეთის გამოსაცემად არის საჭირო.

რედაქციამ უკვე მიმართა სამართალდამცველებს და დილიდან ფოთის პოლიციის თანამშრომლები გაზეთის გაქურდვის ფაქტის გამო საგამოძიებო მოქმედებებს ატარებდნენ. თუმცა, გაზეთ "ფოთის" რედაქტორს სამართალდამცველთა იმედი არ აქვს **"დარწმუნებული ვარ, ქურდობის ეს ფაქტიც ისევე დარჩება გაუხსნელი, როგორც წინა შემთხვევები. პოლიციას უკვე ოთხჯერ მივმართე, მაგრამ - უშედეგოდ,"** - ამბობს ხათუნა ცომაია.

*24 საათი*

# ყაჩაღური თავდასხმა ბუკიას ბაღთან

გუშინ, გამთენიისას, " ბუკიას" ბაღთან მდებარე ერთ-ერთ საცხოვრებელ კორპუსში სროლის ხმა ისმოდა. ხუთი ნიღბიანი თავდამსხმელი, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს თანამშრომლის, მირიან მურჯიკნელის ოჯახში იმ დროს შეიჭრა, როცა მასპინძლებს ეძინათ.

სამართალდამცველთა ინფორმაციით, ორმა ყაჩაღმა მურჯიკნელების სახლში აივნიდან შეაღწია. დანარჩენ სამ თავდამსხმელს კარი შიგნიდან თანამზრახველებმა გაუღეს. შეიარაღებულმა ყაჩაღებმა მირიან მურჯიკნელს და მის მეუღლეს ფული და ძვირფასეულობა მოსთხოვეს. ოჯახის უფროსმა მათ წინააღმდეგობა გაუწია, რასაც თავდამსხმელთა მხრიდან სროლა მოჰყვა. მირიან მურჯიკნელი მხარსა და მუცელში დაიჭრა.

ატეხილი ხმაურისა და სროლის გამო მურჯიკნელების მეზობლებმა პოლიცია გამოიძახეს. შემთხვევის ადგილზე სამართალდამცველთა მისვლამდე თავდამსხმელებმა მთელი სახლის "გაჩხრეკა" მოასწრეს. 1000 აშშ დოლარი და 1500 ევრო - ეს ის ნადავლია, რომელიც ყაჩაღებმა წაიღეს.

მურჯიკნელების საცხოვრებელი კორპუსიდან გაქცევამდე, თავდამსხმელებმა ადგილზე მისულ სამართალდამცველებს წინააღმდეგობა გაუწიეს, რასაც ორმხრივი სროლა მოჰყვა. სროლისას დაიჭრა ერთი პოლიციელი, რომელიც საავადმყოფოშია გადაყვანილი.



დაზარალებული პოლიციელი.

მომხდართან დაკავშირებით, გუშინვე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. განზრახ მკვლელობის მცდელობა, ყაჩაღობა და პოლიციელთათვის წინააღმდეგობის გაწევა – ამ მუხლებით დაკვალიფიცირდა გუშინდელი ინციდენტი.

გუშინ მთელი დღის განმავლობაში იკითხებოდნენ მურჯიკნელების მეზობელ-ახლობლები. თავად დაზარალებულის დაკითხვა, მისთვის ყაჩაღებისგან მიყენებული მძიმე დაზიანებების გამო, ვერ მოხერხდა.

**"გატაცებული თანხის გარდა, თავდამსხმელებმა წაიღეს ორი პისტოლეტი. ერთი მურჯიკნელების საცხოვრებელი სახლიდან მოშორებით ვიპოვეთ. ვის ეკუთვნოდა ეს პისტოლეტები, გამოძიება დაადგენს. იმედი გვაქვს, თავად დაზარალებულთა დაკითხვა ბევრ საინტერესო დეტალს შესძენს გამოძიებას. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ყაჩაღები დაუსჯელები არ დარჩნენ"**, - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურორმა თამაზ გეთიამ.

შეგახსენებთ, რომ მირიან მურჯიკნელი წლების განმავლობაში ფინანსთა მინისტრის მოადგილის თანამდებობაზე იმყოფებოდა. მან ამ უწყებაში ყოფნისას ორი მინისტრი გამოიცვალა.

*24 საათი*

# ვალერი ხაბურძანია იგორ გიორგაძეს პროფესიონალიზმს უწუნებს

საქართველოს უშიშროების მინისტრის ვალერი ხაბურძანიას განცხადებით, თუ პრეზიდენტზე განხორციელებულ ტერაქტში ეჭვმიტანილი იგორ გიორგაძე საქართველოში ჩამოვა, მას აუცილებლად დააპატიმრებენ. მან არ გამორიცხა, რომ იგორ გიორგაძე ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს ხელისუფლების მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიებზე - აფხაზეთსა და ცხინვალში იმყოფებოდა, თუმცა, მინისტრის თქმით, იგორ გიორგაძე თბილისში უკანასკნელი 8 წლის განმავლობაში არ გამოჩენილა.

"დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რომ იგი თბილისის ქუჩებში არ დასეირნობდა," - აღნიშნა ხაბურძანიამ. მან კომენტარი გააკეთა იგორ გიორგაძის მიერ საქართველოს უშიშროების სამინისტროს მისამართით გაკეთებულ ბრალდებაზეც, რომ ხაბურძანიას უწყებაში არაპროფესიონალები მუშაობენ. "თუ როგორი პროფესიონალი იყო იგორ გიორგაძე, ამაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ, ღვთის მადლით, მან ნორმალურად აფეთქებაც კი ვერ შეძლო," - განაცხადა ვალერი ხაბურძანიამ.

*ინტერ-პრესი*

# რუს და ქართველ სამართალდამცველებს ერთნაირი პრეტენზიები აქვთ

ჩვენში პოლიცია ხშირად ქართული მართლმსაჯულების გულმოწყალებას უჩივის ხოლმე, ახლა იგივე პრეტენზიები რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრს გაუჩნდა. სხვათა შორის, მათი უკმაყოფილების მიზეზი თითქმის იდენტურია. ბორის გრიზლოვი უკმაყოფილებას გამოთქვამს სისხლის სამართლის საქმეების მიმართ რუსეთის სასამართლოებში დანერგილი პრაქტიკის გამო. **"ძალზე ხშირია შემთხვევები, როდესაც სასამართლოს მიერ გამოტანილი დანაშაული არ შეესაბამება დანაშაულის სიმძიმეს,** - განაცხადა შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელმა, - **ზოგჯერ კი იმაზე ნაკლებსაც კი უსჯიან, ვიდრე კანონში კონკრეტული დანაშაულისთვის სასჯელის ქვედა, მინიმალურ ზღვრად არის განსაზღვრული. განზრახ მკვლელობისთვისაც კი ისეთ სასჯელს აწესებენ, რომელიც თავისუფლების აღკვეთას არ ითვალისწინებს"**. ამგვარად, გრიზლოვის გათვლით, 2002 წელს რუსეთის სასამართლოებმა 340 განზრახ მკვლელობაში ბრალდებულს პატიმრობა არ მიუსაჯეს. **"ასეთი მდგომარეობა ეწინააღმდეგება კონსტიტუციის პრინციპებს სასჯელის შეუქცევადობისა და სამართლიანობის შესახებ, იწვევს რეციდივების მაჩვენებლის ზრდას და საზოგადოებას მთელი სამართალდამცველი სისტემის მიმართ ნდობას უკარგავს"**, - ამბობს მინისტრი და იმ დასკვნებამდე მიდის, რომლებიც ქართული სამართალდამცველი ორგანოების ხელმძღვანელებს ჯერ არ გამოუტანიათ, კერძოდ, სასამართლოში გადასაგზავნი სისხლის სამართლის საქმეების ხარისხის ამაღლებაზე საუბრობს. **"ჩვენი წარმატების საწინდარი სამსახურებრივი მოვალეობის, მოქალაქეობრივი ვალის განუხრელად აღსრულება უნდა გახდეს"**, - მიაჩნია რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრს.

# შვილის მკვლელს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს

ლონდონის სასამართლომ სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა მუსულმან ქურთს, რომელმაც მხოლოდ იმიტომ გამოჭრა ყელი საკუთარ შვილს, რომ იგი ქრისტიანს ხვდებოდა. ტრაგედია ერთი წლის წინათ მოხდა. 16 წლის გოგონა მამამ, 48 წლის აბდალა იონესმა ლონდონის დასავლეთ ნაწილში მდებარე საკუთარ სახლში მოკლა. მკვლელის თქმით, მან შვილი მხოლოდ იმიტომ მოკლა, რომ ის თანდათან უფრო და უფრო ემსგავსებოდა დასავლელ ქალებს. როგორც ირკვევა, გოგონა 18 წლის ლიბანელ მასწავლებელთან ერთად შინიდან გაქცევას გეგმავდა და მშობლებისთვის ნაადრევად მიწერილი წერილი მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა.

ერაყიდან სადამ ჰუსეინის რეჟიმს გამოქცეულმა იონესების ოჯახმა ბრიტანეთში პოლიტიკური თავშესაფარი 10 წლის წინათ ჰპოვა. მას შემდეგ, რაც მამამ შვილი მოკლა, თვითმკვლელობა სცადა, დანაც დაირტყა და აივნიდანაც გადახტა, თუმცა, გადარჩა. მიუხედავად იმისა, რომ, მოსამართლე ნეილ დანისონის თქმით, მკვლელმა კიდევ ორჯერ სცადა თვითმკვლელობა და სასამართლო პროცესის უკანასკნელ სხდომაზე სიკვდილით დასჯასაც ითხოვდა, გამოძიება ირწმუნება, რომ იონესი მანამდე ყველაფერს აკეთებდა მკაცრი სასჯელის თავიდან ასაცილებლად. მაგალითად, ცდილობდა შეურაცხადად ეღიარებინათ, ან კი ამტკიცებდა, ჩემი შვილი სახლში შემოცვენილმა "ალ-ქაიდას" ტერორისტებმა მოკლესო. გოგონას მკვლელობა მან მხოლოდ გასულ ორშაბათს აღიარა.

# ლატვიის სასამართლომ საბჭოთა პარტიზანი პატიმრობიდან გაათავისუფლა

გუშინ სასამართლოს დარბაზიდან გაათავისუფლეს ყოფილი საბჭოთა პარტიზანი, 80 წლის ვასილ კონონოვი, რომელსაც სამხედრო დანაშაულების ჩადენა ედებოდა ბრალად. მიუხედავად იმისა, რომ პროკურორმა მისთვის 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მოითხოვა, მოსამართლემ მისი ბრალდებების გადაკვალიფიცირება მიიჩნია მიზანშეწონილად, გამოძიების მიერ სამხედრო დანაშაულად მიჩნეული ქმედებები ბანდიტიზმად ჩათვალა და დანაშაულის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო მოხუცის გათავისუფლების გადაწყვეტილება მიიღო.

სამი წლის წინათ რიგის საოლქო სასამართლომ კონონოვი სამხედრო დამნაშავედ აღიარა და 1944 წელს რუსეთის საზღვრის მახლობლად მდებარე სოფლის ცხრა მშვიდობიანი მოსახლის მკვლელობისთვის 6 წლით პატიმრობა მიუსაჯა. გამოძიების ხელთ არსებული მასალების მიხედვით, 1944 წელს პარტიზანებმა ფაშისტების საბაზო პუნქტი გაანადგურეს. აგრეთვე, დახოცეს ცხრა ადამიანი, რომელთაგან ექვსნი დამხმარე მილიციის წევრები იყვნენ.

რიგის სასამართლოს განაჩენი კონონოვმა გაასაჩივრა და 2001 წელს ლატვიის უზენაესმა სასამართლომ იგი, ჯანმრთელობის მდგომარეობის გართულების გამო, პატიმრობიდან გაათავისუფლა, ხოლო სისხლის სამართლის საქმე კი დამატებითი გამოძიებისთვის გენერალურ პროკურატურაში გადააგზავნა. დამატებითი გამოძიების შედეგად, კონონოვის სამხედრო დანაშაულში ბრალდება კიდევ უფრო დაზუსტდა, რაც რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ შეაფასა, "როგორც ახალი გამოწვევა მათ მიმართ, ვინც პატივს სცემს ნაციზმის წინააღმდეგ მებრძოლთა გმირობას, რომელთაც 1945 წელს ევროპა ყავისფერი ჭირისგან გაათავისუფლეს".

საქმის ხელახლა განხილვის დაწყებისას ლატვიის სასამართლომ არ დააკმაყოფილა კონონოვისა და მისი ადვოკატის შუამდგომლობა ბრალდებულის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის თაობაზე, თუმცა კი, საბოლოო ჯამში, ყოფილ საბჭოთა პარტიზანს სასჯელი ააცილა თავიდან.

# ნარკოტიკად მიჩნეული ტალკისთვის - ორთვიანი პატიმრობა

ბოლივიის მოქალაქეს ორი თვე მოუწია ციხეში ჯდომა ნარკოტიკების კონტრაბანდის ბრალდებით. მისი პატიმრობა მხოლოდ მას შემდეგ დასრულდა, რაც ექსპერტიზამ დაადგინა, რომ მისთვის აღმოჩენილი ფხვნილი კოკაინი კი არ იყო, როგორც პოლიციამ მიიჩნია, არამედ ჩვეულებრივი ტალკი. 25 წლის ფერნანდო ვასკესი ჩილეს პოლიციის საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე დააკავეს. მებაჟეებმა მის ბარგში თეთრი ფხვნილის შემცველი პაკეტი აღმოაჩინეს და ნარკოტიკადაც მიიჩნიეს. ბრალდებული დიდხანს არწმუნებდა სამართალდამცველებს, რომ პაკეტში არავითარი კოკაინი არ არის და რომ ეს ჩვეულებრივი ტალკია, მაგრამ მას არ დაუჯერეს. მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ პირველადმა ექსპერტიზამ უარყოფითი დასკვნა მიიღო, იგი მაინც ორი თვე ამყოფეს ციხეში და ექსპერტიზის პირველი პასუხი რამდენჯერმე გადაამოწმეს. თავად ვასკესი არ გამორიცხავს, რომ თავს გადახდენილი ინციდენტისთვის ჩილეს სამართალდამცველ ორგანოებს უჩივლოს.

ვისია სოფელი?

# კლანჭა

სანდრო მამასახლისი

...არ მიყვარს თებერვალი - ხან ზამთრისაა, ხანაც ზაფხულის, ვერაფერს გაუგებ... განა სწორედ თებერვალში არ იყო, ასე რო აურია ტაროსმა, ცის კაბადონი გაჭედა შავი ღრუბლებით და დაანთხია ნიაღვარი დედამიწას... წალეკა წყალმა, რაც კი მებადა, მხოლოდ კაკალმა და თუთამ გაუძლეს წარღვნას, დანარჩენი ყველაფერი შლამითა და ნაგვით დაიფარა... ჩემდა სატანჯველად, მაღლობზე, ჩემგან ჩრდილოეთით, ლოთყაზარას დიდი ბაღია, რომელსაც პატრონი არ ეკარება, არ უვლის - ჩემს დიდ ბაღში, ხელიც რო არ გავანძრიო, სამყოფი ყოველთვის მომივაო... ჰოდა, რაც მის ბაღში დაგროვილი ქვაღორღი და შლამი იყო, ყველაფერი ჩემთან აღმოჩნდა...

ახლა ღობეზე გადმოეყუდება ხოლმე და დამჩხავის - გავაერთიანოთ ბაღები, ნუთუ არ გინდა დიდი ბაღიო... მეც ვპასუხობ - მაგ ყბედობას, უმჯობესია ჩამოხვიდე, დამეხმარო, ხომ ხედავ, რა დღეში ვარ?!

ამას წინათ მართლა ჩამოვიდა, დამეხმარა კიდეც, რაც ჩემთვის საკვირველი იყო. კარგადაც გამოვაბრუჟე და ისე გავისტუმრე. როცა მეხმარებოდა, შევნიშნე - რაღაცნაირად ეცინებოდა, თითქოს საკუთარი ფიქრები ამხიარულებდნენ. მხოლოდ მერე მივუხვდი მიზეზს...

ნელინელ მომყავდა ბაღი წესრიგში... თუ ჩამობრძანდებით, თავად ნახავთ, რამდენი ქვა გამოვიტანე. ალბათ, არ დაიჯერებთ, მაგრამ რაც კი ღობის გასწვრივაა, სულ ჩემი ხელითაა გამოტანილი... ერთხელაც მზიანმა დარმა გაახალისა მიწა, ბალახმა თავი წამოჰყო და ბარვა დავიწყე. ყოველ ბელტს ხელითაც ვფშვნიდი, უკვე გაღვიძებული სარეველას ფესვს ვაცლიდი... ნედლი მიწა ასე იოლად არ მეპუებოდა, მალე ხელი ალაგ-ალაგ გამისისხლიანდა, მაგრამ გაჩერება ერთი დღითაც არ შემეძლო, გაზაფხული კარს იყო მომდგარი...

კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო, - ჩემზეა ნათქვამი. მალე ბარვა შევწყვიტე. ჩემს ბაღში კლანჯა შემოჭრილიყო და მიწაში, რკინის გისოსებივით ბადე უკვე გაება... ბარვა შეუძლებელი გახდა, ჩემი ბებერი მუხლი მაგარ ფესვებს ვერა კვეთდა... ტყუილად როდი ეღიმებოდა ჩემს ლოთყაზარა მეზობელს - იცოდა, რითაც "მასაჩუქრებდა"...

სხვა ბალახისგან კლანჯა არაფრით განსხვავდება - მწვანეა, რბილია, სამაგიეროდ, ფესვის ძლიერებით, აგრესიულობით მუხისას სჯაბნის, თვით ვაზზე ათჯერ(!) მეტ სარგებელს იღებს, სამაგიეროს კი არაფერს იძლევა და მის შემდეგ, იმ მიწაზე აღარაფერი ხარობს... ბაღში მაგაზე დაუნდობელი მტერი ზაფხულში ყინვაა მხოლოდ... სანამ აქ ასუფთავებ, იქ ახალი ამოდის... თუ ასე გაგრძელდა, იგი ბაღის მთავარი და ერთადერთი მცენარე გახდება! განსაცვიფრებელია მისი სიცოცხლისუნარიანობა - ერთხელ არწივის ბუდეში ჩაქსოვილი კლანჯას ფესვი ქარმა წარიტაცა... ეშვებოდა მიწაზე და ბრაზობდა, ამ შვიდ წელიწადში რაც მაგ ბუდეში მაყურყუტეს, რომ დავღუპულიყავიო?!

გამოსავალი მხოლოდ ერთი ვნახე - დავიბარე მთელი ჩემი სანათესაო, ყველა ის, ვისაც თუნდაც ერთხელ ჩემგან ჭირნახული წაუღია...

ეზოში ცეცხლს შემოვუსხედით და მეგონა, გულდინჯად ვითათბირებდით, მაგრამ მალე დაიწყო და რა დაიწყო... ჩვენი პარლამენტი თავაზიანობისა და ზრდილობის ციტადელად მოგეჩვენებოდათ... ყველაფერში თავად მე დამადანაშაულეს. შენო შეგნებით, ლოთყაზარასთან შეთანხმებით შემოუშვი ბაღში კლანჯაო, დაიღალე, მოგბეზრდა, გაქცევა გინდაო. მერე თავში აზრი მოუვიდათ - ჩემსა და ჩრდილოეთის მეზობლის მიჯნაზე აგურის ღობე ავაშენოთო, რა გეშინია, მეტეხის აგურის ქარხნის დირექტორი შენი ძმაკაციაო, დაგეხმარებაო, მაგრამ ერთმა (ასეთები, იცოცხლეთ, ბევრი მყავს!) დისშვილმა, ჟულიკობის გამო სულ ერთთავად პოლიციასთან რომ აქვს საქმე, განაცხადა - ლოთყაზარასთან გაბუტვა არ გამოდგება, უახლოესი მეზობელიაო, ის ერთადერთია, რომელიც პირველი მოვა, თუ პაპა სანდროს გული შეუღონდებაო...



ქართველების ამბავი ხომ იცით - იმწამსვე თვალწინ დაუდგათ ჩემი თავი კუბოში, აუჩუყდათ გული, თვალებზე ცრემლიც მოადგათ და გადაწყვიტეს კლანჯასთან ... დაზავდნენ - ბოლოს და ბოლოს კლანჯა არცთუ ისე დასაგმობია - მას ჭამს ძროხა და ღორი, თანაც გვიან შემოდგომამდე მწვანეა, ლამაზია... იმ პამიდორს, ბადრიჯანს თუ კარტოფილს სხვაგან ვიყიდითო... რა ფულებითა-მეთქი... კლანჯას თივად გავყიდითო და იმ ფულითო...

ძალიან გამხიარულდნენ - კლანჯის მოსავალს არც ბარვა, არც თოხვნა, არც მორწყვა, მიწის მიყრა, გამოხშირვა, განოყიერება არ უნდა... მოკრიფე და გაყიდეო... ერთი არ მითხრეს მხოლოდ - რა ღირს ბაზარში კლანჯის თესლი...

გვიან ღამით ჩემი ბებერი მეგობარი მომივიდა. მასაც ჩემსეებ შვილები და შვილიშვილები გაქცეულ-გამოქცეულები ჰყავს. შემოდგომას მისი შვილები რომ მოვარდებიან ხოლმე, გამოჭედავენ თავიანთ კრიალა მანქანებს ბებრის მიერ მოყვანილი ჭირნახულით და მერე მთელი ერთი წლით "ითესებიან"... მესმის ხოლმე ბებრის რისხვა - თქვენა შვილები გქვიათ? სად არიან თქვენი პატარები, ვიცი, რატომაც არ მოგყავთ, მანქანაში ადგილი გენანებათ, გინდათ მეტი ხორაგი წაიღოთ. წაიღეთ, არ მენანება, მაგრამა ისეთი გათახსირებულები მყეხართ, რო მეორედ ჩამოსვლა გეზარებათ... - ისმენენ შვილები მამის ნათქვამს და მომავალ წელს იგივეს სჩადიან - პაპას ანატრებენ შვილიშვილებს. ავიწყდებათ... არ ავიწყდებათ მხოლოდ ჭირნახულის წაღება...

ხოდა, მოვიდა ჩემი ბებერი მეგობარი ესტატე და მითხრა - მაგ კლანჯასა ვერც შენა და ვერც მე მოვერევით, მაგასა სხვა მიდგომა, სხვა ხერხი სჭირდება... ჩვენთან კლანჯასთან ომის გამოცდილება არავისა აქვს, მაგის თესლი, ასეთი გამძლე რო არის, ჩრდილოეთიდანაა შემოყრილი... მაგრამა გული არ გაიტეხო, დიდი ზღვის იქითა მხარეს ჩემსეებ ბებერი და უფრო გამოცდილი მებაღე მეგულება, რომელმაცა თავის დროზე ძირფესვიანად მოსპო ეგ წყეული... თუმცა, ერთი პატარა კვალი მაინც დატოვა, რომა ახალგაზრდებს უჩვენოს, რა შეძლო, რას მოერია და რა ელის მიწას, თუ თოხსა და ბარს ხალხი ხელს გაუშვებს...

- ესტატე, შენი არ მიკვირს, რაში ვეპიტნავები, აბა ჩემთან რა ხეირი უნდა ნახოს, გაღლეტილ-გატიტვლებული ვარ?!

ესტატე ერთხანს ნაღვლიანი თვალებით შემომცქეროდა, მერე ამოიოხრა და მითხრა - მართლა გაგვივერანეს გული და სული... ი მებაღე ქრისტიანია, ეკლესიაში მართლა ლოცულობს, შენა კი, არ გეწყინოს, საბჭოთა მოქალაქე ხარ, ქურდობასა და მამაძაღლობას შეჩვეული, ამიტომაც სხვისი გულწრფელობისა აღარა გჯერა... თუ მივწერ, ჩამოვა, უშურველად დაგვეხმარება და წარმოიდგინე, აქეთ გვეტყვის მადლობასა, იმიტომა, რომა ქრისტიანია, მივეცით სხვისთვის დახმარების გაწევის შესაძლებლობა...

- ჩემი ბაღი იმას ჩავაბარო? - ეჭვი მღრღნიდა, არ ვეშვებოდი.

- დიახ, უნდა ჩააბარო და უდარაჯო, რომ შენს სანათესაოდან იმ მებაღესა ხელი არავინ შეუშალოს... შენი და ჩემი სანათესაო ერთმირონცხებულნი არიან - რამდენად უვიცნი, იმდენად ხარბები - რო დაინახავენ უცხოურ ხელთათმანებს, წინსაფარს, სეკატორს, კომბინიზონსა თუ მაღალყელიან ჩექმებს, ყველაფერს მოიპარავენ... მოკლედ, სანამ ის მებაღე თავისი ხალხით შენს ბაღში იმუშავებს, ჩვენიანი არავინ შეუშვა...

ესტატემ მაგრა ჩამაფიქრა. მართლაც, როგორ მოვიქცე, არ ვიცი... დრო მიდის და კლანჯამ ლამის მთელი ბაღი გადაფარა...

ლოთყაზარა მეზობელი კი კვლავინდებურად მომადგება ხოლმე და მთელი სოფლის გასაგონად გაჰყვირის - მაინც ჩემი ლუკმა ხარ, ჩემიიი!

**P.S.** თუ შეიძლება, ძლიერმა და აყვავებულმა შეიფაროს დაბნეული და გაუბედურებული ქვეყანა, რატომ არ შეიძლება, შორეულმა მებაღემ ჩემს ერთ ციცქნა ბაღს პროტექტორატი გამოუცხადოს, ანუ დროებით აიღოს სრულ მფარველობაში, თანაც თუ ეს ჩემი უმხურვალესი სურვილია... იქნებ ესაა კლანჯისგან გადარჩენის ერთადერთი გზა?!

მართლა იმ ლოთყაზარას ლუკმა ხომ არ გავხდები!



# არჩევნები საქართველოსა და კამბოჯაში

## გაყალბების მექანიზმები წვეთი წყალივით ჰგავს ერთმანეთს

A1 გვერდიდან

- ამ ცენტრის მიზანი რეგიონული პრესის, იქ მომუშავე ჟურნალისტთა პროფესიონალიზმის ხელშეწყობაა. ვიყავით ფოთში, ქუთაისში, კახეთში, გურიაში, ბათუმში. ფონდს ამ მისიით სამხრეთ აზიის, ყოფილი სსრკ-ს, ლათინური ამერიკის ქვეყნებში უმუშავია. ამ ქვეყნებში მთავარი პრობლემა მედიაში ფულის მოზიდვა და ჟურნალისტური სტანდარტების ამაღლებაა. საქართველოშიც სწორედ ამისთვის ვართ.

**- ელოდით თუ არა იმ სურათს, რაც დაგხვდათ. მოლოდინი ხომ არ გაგიცრუვდათ?**

- თქვენთან წინასაარჩევნო პერიოდია და ამიტომაც ჟურნალისტიკის მთავარი თემა პოლიტიკაა. პოლიტიკისადმი დაინტერესების პროცენტი იმაზე მეტია, ვიდრე ველოდი. თუმცა, სწორედ არჩევნების გამო ქართული ჟურნალისტიკის განვითარების სრული სურათის დანახვა ჭირს. ალბათ, ორი ნოემბრის არჩევნების შემდეგ ვნახავთ, რა შეუძლია ქართულ პრესას. თემები გამრავალფეროვნდება და უფრო ზუსტი ანალიზი გახდება შესაძლებელი.

**- პოლიტიზების ამგვარი ხარისხი რისი თქმის საშუალებას გაძლევთ?**

- არჩევნების შემდგომი პერიოდი გაგვარკვევს, არის თუ არა საზოგადოება პოლიტიზებული. თუკი მოსახლეობის 70 პროცენტი მაინც მიიღებს მონაწილეობას არჩევნებში, ნამდვილად გამართლებული იქნება ის, რომ პრესა ამ თემებს აქცევს ყურადღებას.

**- როგორ ფიქრობთ, ხალხის ინტერესები კვებავს მედიას თუ პირიქით, პრესა ახვევს თავს საზოგადოებას მისთვის საჭირო თემებს?**

- არ ვარ დარწმუნებული, რომ პრესა იწვევს დაინტერესებას. ამერიკაში საზოგადოება, პრინციპში, პოლიტიზებული უნდა იყოს, რადგან დღეს ისე, როგორც არასდროს, პოლიტიკური თემებია ყველაზე პოპულარული. საინფორმაციო საშუალებები ძირითად აქცენტს პოლიტიკაზე აკეთებს ზუსტად ისე, როგორც თქვენს ქვეყანაშია, ტელეარხები სულ პოლიტიკაზე საუბრობენ. ამის მიუხედავად, შეერთებულ შტატებში ადამიანები არ არიან ასე პოლიტიზებულნი და ეს არჩევნებში გამოჩნდა. მოსახლეობის აქტივობის ამსახველი მონაცემები საკმაოდ დაბალი იყო. ეს ჩემთვისაც გასაოცარია, მაგრამ ვფიქრობ, პოლიტიკით ხალხი, უბრალოდ, გადაიღალა.

**- რეგიონულ პრესაში რა ტენდენციები შენიშნეთ?**

- საქართველოს რეგიონების გაცნობისას უამრავი პრობლემა ვიხილეთ: ტექნიკის, ელექტროენერგიის არარსებობა და ა.შ. ელექტროენერგია და იმდენი ტექნიკური პრობლემაა, ასეთ ვითარებაში რთულია ჟურნალისტიკის ტენდენციებზე კონცენტრირება...

ცენტრალურ გაზეთებზე საფუძვლიანად არ გვიმუშავია და ბევრის თქმა არ შემიძლია. თუმცა, საერთო მაინც არის და ეს ჩვენ ძალიან მოგვწონს - მრავალფეროვანი თემატიკაა.

**- საქართველოში გავრცელებული აზრი იმის შესახებ, რომ ხალხი ყვითელ პრესას ეტანება, ალბათ, გარდამავალი პერიოდის ქვეყნებისთვის არის დამახასიათებელი...**

- ყვითელი პრესა მთელ მსოფლიოშია პოპულარული და ადამიანებს ყველაზე მეტად ეს აინტერესებთ. აბსოლუტურად ყველა ქვეყანაშია ეს დილემა. ორი არჩევანი აქვთ - უნდა ისაუბრონ იმის შესახებ, რაც ყველაზე აქტუალურია და ამავე დროს იმაზეც უნდა იფიქრონ, დააინტერესებს თუ არა ხალხს ეს თემები. ამგვარი ბალანსის მიგნება და შენარჩუნება ყველა ქვეყანაში პრობლემაა.

**- როგორც დანარჩენ სამ ხელისუფლებაში, მეოთხეშიც შეიმჩნევა კორუფციის ელემენტები. მედიის კვლევის დროს თუ წაწყდომიხართ მსგავს ფაქტებს?**

- ალბათ, ჟურნალისტიკაშიც არსებობს კორუფცია, მაგრამ ამაზე სრულ პასუხს ვერ გაგცემთ. ჯერ ერთი, ყურადღებითა და სკრუპულოზურად მირჩევენ არაკორუმპირებულ, დამოუკიდებელ პრესას. სწორედ მათთან ვმუშაობ. ისე კი, როგორც კი ოფისში შეხვალ, მაშინვე კარგად ჩანს, დამოუკიდებელია თუ არა გაზეთი...

**- ჩვენი ოფისის შესახებ რას იტყვით?**

- ამ გაზეთის ისტორია ვიცი, ვკითხულობ და ვერაფერს დაგწამებთ.

**- თქვენ ბათუმშიც იყავით. იქ ცოტა სხვაგვარი ვითარებაა...**

- გასაგებია, რატომაც არის იქ მუშაობა რთული - მხოლოდ ერთი და ისიც მმართველი პარტიაა და არანაირი პოლიტიკური ცხოვრება არ მიმდინარეობს. მუდმივად ერთი პარტიის შესახებ წერო - ეს არც საინტერესოა და არც ახალ ამბებს შეიცავს. ნახეს გამოსავალი და გაზეთის გასამდიდრებლად პრესამ სხვადასხვა სფერო მოიცვა - კულტურა, საზოგადოება, განათლება და ა.შ. სხვათა შორის, ეს პრობლემა მხოლოდ ბათუმში არ არის. ყველგან, სადაც ერთი პარტიის ჰეგემონიაა, გაზეთები მსგავს გამოსავალს პოულობენ.

**- რა კონკრეტული მატერიალური დახმარებები გასწია თქვენმა ფონდმა საქართველოში...**

- კონკრეტულ გადმორიცხვას ვერ დავასახელებ, ამას ჩვენ არ ვაკეთებთ. რეგიონებში კონსულტაციებს ვატარებთ და ფოკუსირებას გაზეთში რეკლამის მოპოვებაზე ვაკეთებთ. ეს იმიტომ ხდება, რომ შემდეგში გაზეთს საკუთარი თავის რჩენა შეეძლოს. მომავალზე ვფიქრობთ და არა აწმყოზე. ვცდილობთ ავხსნათ, რომ გაზეთისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი რეკლამაა და რეკლამის წყაროებს მივუთითებთ.

**- საქართველოს სარეკლამო ბაზარზე ამის რესურსები მოიპოვება?**

- ვერ დაგეთანხმებით, რომ თქვენს ქვეყანაში სარეკლამო ბაზარი მწირია. მაგალითსაც მოგიყვანთ: ჩოხატაურში გამოდის გაზეთი "გურია ნიუსი". იქაც რეკლამის სიმწირეს უჩიოდნენ. შემომატარეს ჩოხატაურის რაიონი, რათა რეკლამის მოზიდვის შეუძლებლობაში თავად დავრწმუნებულიყავი. ჩვენი კონსულტაციების მერე კი, მართლაც, მოიპოვეს რეკლამები და გაზეთი ძალზე წრმატებულად მუშაობს.

**- თავად როგორი ჟურნალისტური პრაქტიკა გაქვთ?**

- 1974-დან 1999 წლამდე ამერიკის რამდენიმე გაზეთში ვიმუშავე. ყველაზე დიდხანს კი პენსილვანიის შტატის გაზეთში providence journal-ში ვიმუშავე. ქალაქი, სადაც ეს გაზეთი გამოდის, დაახლოებით, თბილისის ხელაა, ხოლო გაზეთის ტირაჟი 180 000 ეგზემპლარია. 2000 წელს კი მე და ჩემი მეუღლე კამბოჯაში ინგლისურენოვან ყოველდღიურ გაზეთში ვმუშაობდით.

**- როგორ გრძნობს თავს ოჯახში ორი ამერიკელი ჟურნალისტი?**

- კოლეგა ცოლ-ქმრის ურთიერთობები ადვილია, რადგან ორივე ერთ ენაზე საუბრობს - მეუღლე ადვილად იგებს, ასე გვიანობამდე რატომ ვარ სამსახურში, რატომ რეკავს ტელეფონი ღამის სამ საათზე, სასწრაფოდ რატომ უნდა ავკრიფო ნივთები და გავიქცე. ეს ყველაფერი გაცილებით ადვილი ასახსნელია. კამბოჯაში ძალიან დაგვეხმარა ის, რომ ერთად ვიყავით და ერთმანეთს მხარს ვუჭერდით.

**- როგორც გავიგე, კამათობთ მხოლოდ იმაზე, ტკბილია თუ არა ყავა... თბილისში უსიამოვნო ინციდენტი შეგემთხვათ** (ერთ საღამოს, 6 საათზე ოფისიდან სახლში მიმავალ დეივს თავს დაესხნენ და გაქურდეს. მას სამედიცინო ჩარევა დასჭირდა. რედ.). **ამის გამო თბილისიდან წასვლას ხომ არ დააჩქარებთ?**

- რა თქმა უნდა, არა. ქართველების შესახებ აზრი არ შემიცვლია და არსად გაქცევას არ ვაპირებ. ეს არის დანაშაული, რომელიც ნებისმიერ ქვეყანაში შეიძლება მომხდარიყო.

**- როგორ გაიარეთ ადაპტაცია და რა გხვდებათ თვალში ყველაზე მეტად?**

- არაჩვეულებრივი ქალაქი გაქვთ. ულამაზესი არქიტექტურა და განლაგებაა. მთები თბილისის ნებისმიერი კუთხიდან ჩანს. ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა შენობების არქიტექტურამაც. ცუდის გახსენება კი, ცოტა არ იყოს, მიჭირს, რადგან აქ არ გამომიზამთრებია... როცა ცივა, შუქი და გაზი არ არის, ალბათ, ცოტა ჭირს...

**- ამ ზამთრისთვის საგანგებოდ არ მომზადებულხართ?**

- ვაკეში ვცხოვრობ და რაც აქ ვართ, გაზი საერთოდ არ გვქონია. ვიყიდეთ ცოტაოდენი ნავთი, გენერატორი, ორი თბილი საბანი. არც მეზობლისგან ჩამოგვსვლია წყალი, რადგან ბოლო სართულზე ვცხოვრობთ.

**- ქართული სამზარეულოს დეტალებს თუ გაეცნო ჯუდი?**

- ერთი პატარა ელექტროქურა გვაქვს, მაგრამ სადილებს დიდად არ ვამზადებთ.

**- როგორ შეეგუეთ ქართველთა პუნქტუალობის თავისებურებებს?**

- ყველა ქვეყანას ცხოვრების საკუთარი რიტმი აქვს. აქ კამბოჯიდან ჩამოვედით. იქ ძალიან ცხელა და საქმეს დილაადრიან იწყებენ. ლანჩის შემდეგ ყველას სძინავს. აქ კი ყველაფერი პირიქითაა... სამაგიეროდ, საარჩევნო მანიპულაციები, განსაკუთრებით გაყალბების მექანიზმები და საერთოდ, საარჩევნო კამპანიის პერიპეტიები საქართველოში და კამბოჯაში წვეთი წყალივით ჰგავს ერთმანეთს. ეტყობა, კომუნისტური მეთოდოლოგიები ჯერ კიდევ მძლავრობს.

**- ქართული ჟურნალისტიკა თანდათან იხვეწება. რამდენად გაწელილია დროში ეს განვითარება და რა წვლილს შეიტანს ჟურნალისტური ტექნოლოგიების განვითარებაში თქვენი ორგანიზაცია?**

- პენსილვანიაში, ჩემს გაზეთს 150 წლის ისტორია აქვს. ამ გაზეთმა ჩამოაყალიბა გარკვეული ტრადიციები, ახალი ამბების წერის სტილი, რეკლამირების ბიზნესი. ამას გარკვეული დრო სჭირდება. ორი-სამი წლის შექმნილ ქართულ გაზეთებთან შედარება სწორად არ მიმაჩნია.

დიდი პრობლემაა ტექნიკური მხარე, აღჭურვილობა, ინტერნეტი, რომლითაც სხვის პროდუქციას ყიდულობ და შენსას ყიდი, რათა თანხები გაზეთს მოახმარო.

მინდა, მთავარი აღვნიშნო. ჩვენ აქ იმისთვის არ ჩამოვსულვართ, რომ ვინმეს ჟურნალისტიკა ვასწავლოთ - ეს არ არის ჩვენი მიზანი. მით უფრო, როდესაც საუბარი გვაქვს ძალიან მაღალგანვითარებულ საზოგადოებაზე. ვიცით, რომ აქ მკითხველი ხალხი ცხოვრობს, წიგნი უყვართ. ჩვენი მიზანია, ის გამოცდილება გავუზიაროთ პრესას, რაც გაგვაჩნია. ეს არის ის, რისი გაკეთებაც ქართული მედიისთვის შეგვიძლია.











# მიხეილ კალატოზიშვილი - ქართული კინოს დიდი რეჟისორი

სალომე კიკალეიშვილი

30 სექტემბერს კინოთეატრ "ამირანში" კინოფესტივალ "პრომეთეს" გახსნაზე მისულ საზოგადოებას ნამდვილი ზეიმი ელოდა. "ცოცხალი კლასიკოსის" ოთარ იოსელიანის "ორშაბათის დილა" და დიდი ქართველი რეჟისორის მიხეილ კალატოზიშვილის ფოტოგამოფენა. "ამირანის" კედლებიდან ოჯახის არქივში არსებული, მაყურებლისთვის სრულიად უცნობი ფოტოები, "დროში გაყინული" სახეები უმზერდნენ სტუმრებს - ბატონი მიშა ცხოვრებაში; გადასაღებ მოედანზე; მსახიობებთან ერთად; მისი მეგობრების - პიკასოსა და ჩაპლინის არაჩვეულებრივი ფოტოები; ლეგენდარული "მიფრინავენ წეროები" ტატიანა სამოილოვათი და ალექსანდრ ბატალოვით.

გახსნაზე ბევრი ითქვა ქართულ კინოზე, ფესტივალზე, მაგრამ მიხეილ კალატოზიშვილი არავის უხსენებია... "იმედია, ამ ფესტივალზე კარგი ფილმები იქნება წარმოდგენილი. თუმცა, ვერც ერთი ვერ იქნება ისეთი კარგი, როგორიც "მე - კუბაა". ასეთი ფილმი აღარავის გადაუღია," – განაცხადა ბოლოს ჟიურის წევრმა, კინომცოდნე გოგი გვახარიამ.

მიხეილ კალატოზიშვილი თბილისში 1903 წლის 28 დეკემბერს დაიბადა. რეჟისორობამდე მისასვლელი გზა ძალიან გრძელი იყო: მძღოლი, კინომექანიკოსი, ოპერატორი, სცენარისტი, მემონტაჟე... მონაწილეობდა ისეთ რეჟისორებთან, როგორებიც იყვნენ: ნიკოლოზ შენგელაია, ივანე პერესტიანი, ლევ კულეშოვი... მუშაობდა "ლენფილმში", "მოსფილმში". სიცოცხლეში მის ფილმებს არცთუ ძალიან აფასებდნენ - უმრავლესობა თაროებზე იდებოდა. ფორმალისტი ხარო, – ბრალად სდებდნენ. მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია, რომ ისეთი საგანძური დაეტოვებინა კინემატოგრაფისთვის როგორებიცაა: "ჯიმ შვანთე", "მიფრინავენ წეროები", "მე-კუბა"... ფილმები, რომელთაც დღეს მსოფლიო კინოს დიდოსტატები "სახელმძღვანელოებად" იყენებენ და რომელთაც მუდამ აკრძალვა ემუქრებოდათ. მაგრამ, არავინ იცის, როდის გახდა კალატოზიშვილი კალატოზოვი, რატომ იჯდა სიკვდილმისჯილთა საკანში, რატომ არ გაუშვეს 1957 წელს ვენეციის კინოფესტივალზე, სადაც საბჭოთა კინოს ისტორიაში პირველად საბჭოთა ფილმმა, კერძოდ - კალატოზოვის "მიფრინავენ წეროებმა", მთავარი პრიზი დაიმსახურა. მაშინ ოპერატორ ურუსევსკის და მსახიობ სამოილოვას ვიზაზე უარი არ მიუღიათ. რამ აიძულა რეჟისორი დაეტოვებინა სამშობლო. ცხოვრებაში მორიდებული იყო - არ უყვარდა ზედმეტად გამოჩენა, და უარით ისტუმრებდა ინტერვიუს ასაღებად მისულ ჟურნალისტებს. თავისუფალ დროს მეგობრების რადიოების შეკეთებით ირთობდა თავს, – ეს ჩემი ჰობიაო. არავინ იცის, რა და ვინ აწყენინა ისეთი, რომ "წითელი კარავის" პრემიერაზე, მრავალი წლის შემდეგ სცენაზე ასულს ცრემლები წასკდა, როდესაც წარმოთქვა, – "ეს ამ ფილმის მესამე პრემიერაა, აქ ჩემს სამშობლოში, თბილისში..."


მიხეილ კალატოზიშვილი კლაუდია კარდინალესთან ერთად ფილმის, "წითელი კარავის" გადაღების დროს.

"ჯიმ შვანთეს" (მარილი სვანეთს) ერთობ უცნაური ბიოგრაფია აქვს. 1929 წელს ფილმ "უსინათლოს" გადასაღებად სვანეთში კინოექსპედიცია გაემგზავრა. ეს ახალგაზრდა რეჟისორის პირველი დამოუკიდებელი, მხატვრული ფილმი უნდა ყოფილიყო, რომლის შექმნის პროცესშიც მხატვარი დავით კაკაბაძე მონაწილეობდა. სხვათა შორის, სწორედ აქედან წამოვიდა ცნობილი "სვანეთის სერიის" მონახაზის შექმნის იდეა. ფილმი გადაიღეს, დაამონტაჟეს, მაგრამ... თაროზე შემოდეს, გააქრეს. მონტაჟის დროს ამოჭრილი, გადაყრილი კადრებიდან და ხედითი ფილმის (რომელიც, სვანეთის ბუნებით მოხიბლულმა კალატოზიშვილმა გადაიღო) შეერთებით დაიბადა "ჯიმ შვანთე". აქ კამერა წარმოუდგენლად მოძრაობს და ეს ყველაფერი 1930 წელს ხდება.

**გოგი გვახარია:** "მიფრინავენ წეროების" წარმატება ძალზედ დიდი იყო. მას დიდი გამოხმაურება მოჰყვა. აქ გამოჩნდა საბჭოთა ფილმებისათვის დამახასიათებელი გმირის სრული ანტი-ტიპი, ანტიგმირი, ანუ ქალი, რომელიც შეყვარებულს ღალატობს. თუმცა, ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო ის ახალი გემოვნების სახე, ახალი სილამაზის გაგება, რომელიც სამოილოვამ განასახიერა. აღარაფერს ვამბობ სრულიად თავისუფალ კამერაზე, რომლითაც ბატონმა მიშამ გააკეთა ის, რაც რეჟისორის ვალია - ანუ დაანგრია ძველი მითი და რაღაც თავისი, ახალი დაამკვიდრა. მან 50-ანი წლების კინოში პოეზიის მოდა შემოიტანა - სოც-რეალისტური კინო პოეტურით შეცვალა. საერთოდ, ამ პერიოდის და 60-იანი წლების, როგორც ქართულ, ასევე რუსულ ფილმებში, არის სივრცის გარღვევის ვნება; მაგალითად, რუსები ციმბირს ითვისებენ; გიორგი შენგელაიას "ალავერდობაც" ჩაკეტილიდან გარღვევის ვნებაა. ასეთი ტენდენციები ბლომად იყო, თუმცა ბატონმა მიშამ "გაუგზავნელ ბარათში" ეს გაცილებით კარგად იგრძნო და ეს ვნება კამერით გამოხატა, რომელიც არ ჩერდება, მოძრაობს, ცახცახებს.

რაც შეეხება "მე-კუბას", ეს იყო პერიოდი, როდესაც კუბაში, განსაკუთრებით გამწვავდა ამერიკასთან ურთიერთობა - კრიზისი იყო. შეიქმნა პოლიტიკური ფილმის შექმნის აუცილებლობა. ვის უნდა გადაეღო ანტიამერიკული ფილმი, თუ არა "ოქროს პალმის რტოს" მფლობელს, რომელსაც სარტრი, პიკასო, ჩაპლინი, კუროსავა საბჭოთა კინოს ლიდერად მიიჩნევდნენ. ხოლო სცენარისტი, ახალგაზრდა თაობის გმირი, პოეტი -ევტუშენკო იქნებოდა. საბოლოოდ კალატოზოვმა ისე გადაიღო ფილმი, რომ სრულიად გააქრო პოლიტიკური ასპექტი და ფილმი-პოეზია, ფილმი-ლექსი შექმნა. აქ მას ისევ ფორმალიზმში დასდეს ბრალი, რადგან "დაკვეთა" არ შესრულდა. ამ ფილმში მან კამერით სივრცე გაარღვია, რომელიც მაყურებელსა და ეკრანს შორის არსებობდა - ჯერ კიდევ მაშინ "სტერეო კინო" შექმნა. ფილმი ძალიან ლამაზია - ვიზუალური ეფექტი ლამაზი ქალებითა და დიზაინით, უმშვენიერეს ლათინო-ამერიკული არქიტექტურით. ანუ იმას, რასაც 80-იანი წლების ბოლოს მუსიკალური კლიპები, MTV შექმნის. თუმცა, ეს ფილმი მალევე დახურეს, - ხალხი არ დადისო. იმასაც ამბობდნენ, რომ პრემიერაზე, კუბაშიც და საბჭოთა კავშირშიც, ხელისუფლების წარმომადგენლებმა ფილმის მეათე წუთზე დატოვეს დარბაზი. მეორე დღეს კი დაკვეთილი სტატიები დაიბეჭდა, რომ "თავბრუ დაეხვათ" სეანსის დროს, თვალები აუჭრელდათ. ეს იმ დროისთვის, მართლაც, ავანგარდული კინო იყო. ამ ფილმის "მარცხი" კალატოზოვსა და ურუსევსკის ერთმანეთს დააშორებს. 1971 წელს კალატოზოვი თავის უკანასკნელ ფილმს "წითელ კარავს" გადაიღებს, სადაც კლაუდია კარდინალე, შონ კონერი და მსოფლიო კინოს სხვა ვარსკვლავები მონაწილეობენ.

სხვათა შორის, "გაუგზავნელი ბარათის" საავტორო უფლებები კოპოლამ შეიძინა, ხოლო "მე-კუბასი" სკორსეზემ. ისინი სწორედ ამ ფილმებით ასწავლიან კინოს გადაღებას მომავალ თაობებს. მხატვარი ხატავს ფუნჯით, კინოში ეს - კამერაა. სამწუხაროდ, ბევრს დღეს ეს ავიწყდება."

P.S. დღეს ხშირად კამერა კი არა, ისეთი ხალხი გვავიწყდება, როგორიც მიხეილ კალატოზიშვილი იყო.

# რა ამბავია დიტო ცინცაძის თავს

## ქართველი რეჟისორის გერმანული ფილმის გამარჯვებასთან დაკავშირებით

*Tagesschau.de. "სან სებასტიანი. პირველად სან სებასტიანის კინოფესტივალის ისტორიაში "ოქროს ნიჟარა" მიიღო წარმოშობით ქართველი რეჟისორის, დიტო ცინცაძის ფილმმა, რომელიც დირკ კურბიუვაიტის ამავე სახელწოდების რომანის მიხედვითაა გადაღებული. მასში მოთხრობილია ჰამბურგში, სამოქალაქო სამსახურში მყოფი ვინმე ლუკასის ამბავი, რომელსაც ცხოვრება ერევა, როცა მომხიბვლელ იზაბელას გაიცნობს, და მოძალადე ხდება. მთავარ როლებს ფაბიან ჰინრიხსი და ლავინია ვილსონი ასრულებენ. "ეს არის ფილმი მარტოობისა და დაუკმაყოფილებელი სიყვარულის შესახებ – სწორედ ისინი წარმოშობენ ძალადობას," - ამბობს 46 წლის ცინცაძე. ეს ფილმი "პოეტური თრილერია" და გარდაქმნის ისტორიას გვიამბობს. თბილისელმა რეჟისორმა ჯერ კიდევ 2000 წელს, კანის კინოფესტივალზე მიიპყრო ყურადღება კომედიით Lost Killers, მანჰაიმში მყოფ უიღბლოთა ჯგუფის შესახებ."*

ანა კორძაია-სამადაშვილი

მაშ ასე: "სროლის შიში" პირველი გერმანული ფილმია, რომელმაც სან სებასტიანის საერთაშორისო კინოფესტივალის 51-წლიანი ისტორიის განმავლობაში საუკეთესო შეფასება და "ოქროს ნიჟარა" დაიმსახურა. ამ წარმატებას გერმანია ქართველ რეჟისორს დიტო ცინცაძეს უმადლის. დიტო გერმანიაში, ბერლინში ცხოვრობს. თბილისს ის კინოფესტივალთან დაკავშირებით ეწვია, რომლის ფარგლებშიც დღეს "სროლის შიში" იქნება ნაჩვენები.

დიტოს მიერ გერმანიაში გადაღებული Lost Killers-ის ნახვა საქართველოში მხოლოდ ძალიან ვიწრო წრემ შეძლო. იგივე ბედი ხვდა წილად "ერთ ეროტიკულ ამბავსაც" – მოკლემეტრაჟიან ფილმს, კომედიას. ეს ფილმი დიტომ, მართლაც, რეკორდულ ვადაში – 5 დღეში გადაიღო. ფილმში ერთი მწერლის ისტორიაა მოთხრობილი – მწერალმა ქალი გაიცნო, რომელიც თავის ექს-მამაკაცთან ცხოვრობს.

არადა, ჩვენგან განსხვავებით, გერმანელები (და არამარტო გერმანელები) დიტოსა და მის შემოქმედებას ჩინებულად იცნობენ: მისი ფილმები მრავალ ფესტივალზე იყო ნაჩვენები. "ეროტიკული ამბავი" გერმანიის ტელევიზიით გაუშვეს და, თუკი უკანასკნელი დროის გერმანულენოვან პრესას გადახედავთ, უამრავ სტატიას გადააწყდებით, რომლებშიც ქართველი რეჟისორის, დიტო ცინცაძის წარმატებების შესახებაა საუბარი. ახლა კი, სან სებასტიანის წარმატების შემდეგ დიტოს, ლამის, ნაციონალური გმირის სტატუსი მიენიჭა.

დიტოს თბილისში არყოფნის ჟამს პირადად ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესო მისი ინტერვიუები იყო, რომლებსაც ის გერმანელ ჟურნალისტებს აძლევდა. უნდა მოგახსენოთ, რომ მათი წაკითხვის შემდეგ გადავწყვიტე, რომ ქართველი მკითხველისთვისაც საინტერესო იქნებოდა იმის გაგება, თუ რას ჰყვება დასავლეთში მოღვაწე ჩვენი თანამემამულე. ცხადია, ვერც ყველას გავწვდები და ვერც ერთ რომელიმეს ამოვარჩევ, სხვა თუ არაფერი, საავტორო უფლებების ამბავია.

ჯერ კიდევ Lost Killers-ის შემდეგ გერმანული პრესა აღნიშნავდა, რომ დიტოს ეროტიკის მიმართ ქართველისთვის, თითქოს, უჩვეულო დამოკიდებულება აქვს. ამ თვალსაზრისით, გერმანელებს ორიგინალობას ნამდვილად ვერ დავწამებთ – ქართველებიც ამავე აზრისა იყვნენ, ოღონდ თავიანთ აზრს ცოტა უფრო აგრესიულად აყალიბებდნენ.

"მე ძალიან ვამაყობ, - მიუგო დიტომ გერმანელ კორესპონდენტს, - რომ ჩემს ფილმში "ზღვარზე" ქართულ კინოში პირველი Blow-job ვაჩვენე. საქართველოში გარკვეული საზღვრების გადალახვა ძალიან ჭირს. როდესაც "ზღვარზე" გადავიღე, რომელიც, სინამდვილეში, Blow-job არ ყოფილა, დამაბრალეს, - ამორალური ხარო".

1993 წელს ლოკარნოს კინოფესტივალზე "ამორალურმა" ფილმმა "ზღვარზე" დიტოს პირველი წარმატება მოუტანა. მაგრამ, მერე მას სამშობლოში აღარაფერი გამოუვიდა და გერმანიაში წავიდა.

"ჩემი პირველი ვიზიტი გერმანიაში საქმიანი არ ყოფილა. უბრალოდ, როცა საქართველოში ყველაფერი აირია და არასწორი მიმართულებით დაიძრა, ფილმის გადაღება შეუძლებელი იყო. მე კი დაცდა არ მინდოდა. მე მუშაობა მიყვარს, მუშაობის გარეშე ვერ ვცოცხლობ. ასე გადავწყვიტე თბილისში ჩემი ბინის გაყიდვა. მეგობრები მეუბნებოდნენ, რომ ეს სიგიჟეა, და ჩემს ცოლსაც გიჟად მივაჩნდი. გერმანიაში რამდენიმე მეგობარი მყავს, რომელთანაც მაშინ ცხოვრება შემეძლო. მერე ბერლინში სტიპენდია მივიღე. ოჯახთან ერთად იქეთ-აქეთ მიწევდა სიარული, კარგა ხანს ვიყავი ასე - თბილისსა და ბერლინს შორის. მხოლოდ "სროლის შიშის" გადაღებები როცა დაიწყო, მაშინ გადავწყვიტეთ გერმანიაში ცხოვრება. საქმე ისაა, რომ თბილისში რომ ვყოფილიყავი, რაღაც პროექტის გამო, ჩემს ძებნას ნამდვილად არავინ დაიწყებდა".

ნამდვილად ასეა, ვერაფერს ვიტყვით. ისე კი, საინტერესოა, გერმანიაში ცხოვრებამ რაიმე გავლენა თუ მოახდინა დიტოს მსოფლმხედველობაზე და იმაზე, რასაც იღებს – შინაარსობრივი თვალსაზრისითაც? მისი იქ გადაღებული ფილმების ნახვის შემდეგ პირადად მე ასეთი შთაბეჭდილება არ დამრჩენია, მაგრამ მაინც, უმჯობესია, თავად რეჟისორს მოვუსმინოთ:

"საკუთარ თავთან კომპრომისზე წასვლას არ ვაპირებ, - განაცხადა დიტომ,- რასაც ვაკეთებ, სწორედ ისაა, რისი გაკეთებაც მსურს. ცხადია, რაღაცეები შეიცვალა, მაგრამ მხოლოდ პოზიტიური გაგებით. სხვა ქვეყანაა, სხვა რითმია, სხვა ტექნიკაა. მაგრამ, შემოქმედებითი თვალსაზრისით... საერთოდ, დარწმუნებული ვარ, რომ ფილმის კეთების ხელოვნება ყოველთვის იცვლება. თუ ცოცხალი ხარ, ეს იმას ნიშნავს, რომ რაღაცა ახალს აკეთებ, საკუთარ თავს და საკუთარ წარმოდგენებს ავითარებ, არ მეორდები. რისკია, თავგადასავალია. მაგრამ ამქვეყნადაც ხომ ამისთვის ვართ მოსული – სიცოცხლე თავგადასავლად უნდა ვაქციოთ."

2000 წელს დიტომ გერმანიაში პირველი ფილმი გადაიღო - Lost Killers. ის სასაცილოდ და ამავე დროს ძალიან სევდიანად მოგვითხრობს წარმატებისა და ბედნიერების მაძიებელთა ამბავს. ამ ფილმმა მას დიდი წარმატება მოუტანა, და ბევრი რამ შეცვალა. "Lost Killers-ის წყალობით, ბევრი რამ უფრო იოლი გახდა. ის, რომ Tatfilm-მა, დირკ კურბიუვაიტის რომანის "სროლის შიშის" მიხედვით, ფილმის გადაღება შემომთავაზა, სწორედ Lost Killers-ის დამსახურება იყო. სცენარში ბევრი რამის შეცვლა მოგვიწია და ახლა ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ეს არამარტო დირკის, არამედ ჩემი სცენარიცაა. ეს პროექტი სწორედ ისე განხორციელდა, როგორც წარმომედგინა".

"სროლის შიში" ჩემი საყვარელი Lost Killers-ისგან სრულიად განსხვავებული სურათია. ჟანრიც სხვაა, ატმოსფეროც. მძიმე, ტრაგიკული ამბავია, რომელმაც, ჩანს, "საჭირო" ხალხზე "საჭირო" შთაბეჭდილება მოახდინა, და დიტომ მოიგო.

"როიტერში" ფოტოსურათი ვნახე - დიტო "ოქროს ნიჟარით" ხელში. მის ქვეშ წარწერა მეხამუშა - გერმანელი რეჟისორი დიტო ცინცაძე... არა, ასეა, მაგრამ მაინც...

"მე ქართველი ვარ, - ამოვიკითხე ინტერვიუში, რომელიც დიტომ გერმანელ ჟურნალისტს წელს, ტორონტოს ფესტივალზე "სროლის შიშის" ჩვენებამდე მისცა, - და მაშინაც, როცა გერმანიაში ფილმს გერმანულ ენაზე ვიღებ, ის სინამდვილეში გერმანული ფილმი არაა. მაგრამ, არც ქართული ფილმია. საერთოდ, გაუგებარია, როგორ შეიძლება ფილმს ნაციონალობა ჰქონდეს?"

# საქართველო - ბეთჰოვენით და უბეთჰოვენოდ

## ქართველი სტუდენტები ბონის საერთაშორისო ფესტივალზე

მადი სერებრიაკოვა

რა იციან გერმანელებმა ქართველების შესახებ? გერმანიაში ლეგალური და თუ არალეგალური ქართული ემიგრაციის ტალღის მიუხედავად, როგორც ჩანს, ბევრი არაფერი. როგორც ბონში ბეთჰოვენის სახელობის ფესტივალის წლევანდელი პროგრამა გვაუწყებს, გერმანელთა დიდი ნაწილისთვის საქართველო მხოლოდ **"შავი ზღვის სანაპიროზე განთავსებული პატარა ქვეყანაა"**, რომელსაც ევროპისკენ პატარა სარკმელი რუსეთის იმპერიამ გაუხსნა. რა უნდა სცოდნოდა ბეთჰოვენს საქართველოს შესახებ, ან სად უნდა მოესმინა მისი მრავალხმიანობა? ბეთჰოვენისთვის უპასუხოდ დარჩენილ ამ კითხვებზე პასუხი თანამედროვე გერმანელებმა გასცეს, რომლებმაც წელს ბონის ფესტივალზე თბილისის კონსერვატორიის სტუდენტთა სტუმრობით ბეთჰოვენი საქართველოშიც აღმოაჩინეს.

ბეთჰოვენის ფესტივალი პირველად 1845 წელს ფერენც ლისტის ინიციატივით გაიმართა. მაშინ ფესტივალი რეგულარული ჯერ არ იყო. საბოლოო სახით იგი მხოლოდ 1998 წლიდან დაფუძნდა, როდესაც ბონში ფესტივალის სტრუქტურა დამფუძნებელთა საბჭომ შეიმუშავა და მისი რეგულარული გამართვის პასუხისმგებლობაც იკისრა. განახლებული ფესტივალის ორგანიზებაში აქტიურ მონაწილეობას კომპანია "დოიჩე ველე"-ც იღებს. ბეთჰოვენის ფესტივალი ძალზედ მასშტაბური ღონისძიებაა. წელს ოთხი კვირის მანძილზე ფესტივალის პროგრამით 50-მდე ღონისძიებაა დაგეგმილი. მათ შორის - სოლო და საორკესტრო კონცერტები, სპექტაკლები, სემინარები და მასტერ-კლასები. წელს ფესტივალის ფარგლებში გამართულ ვერდის "მაკბეტის" პრემიერაში ერთ-ერთი მთავარი პარტია ცნობილმა ქართველმა მომღერალმა იანო ალიბეგაშვილმა შეასრულა.

გასულ წელს "დოიჩე ველემ" თბილისში ფესტივალის საორგანიზაციო ჯგუფის წევრები ჩამოიყვანა. მათ შეისწავლეს ადგილობრივი მუსიკალური სივრცე და საბოლოო არჩევანი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ორკესტრის სასარგებლოდ გაკეთდა. მათთან ერთად ფესტივალზე კონსევატორიასთან არსებული ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი "მე რუსთველიც" გაემგზავრა.

კონსერვატორიის ორკესტრი 1920 წელს ჩამოყალიბდა. მიუხედავად ასაკობრივი და პროფესიული შეზღუდულობისა (ორკესტრი კონსერვატორიის სტუდენტებითაა დაკომპლექტებული და თაობათა ცვლაც უფრო სწრაფად მიმდინარეობს, ვიდრე სტაბილურ ორკესტრში), მას არაერთხელ მიუღწევია წარმატებისთვის - თუნდაც 1978 წელს, როდესაც ორკესტრმა, ოთარ საფარიშვილის ხელმძღვანელობით, კარაიანის ფონდის მიერ ორგანიზებულ მეხუთე საერთაშორისო კონკურსზე გაიმარჯვა და ოქროს მედალი მოიპოვა. 2001 წლიდან ორკესტრს ავთანდილ მამაცაშვილი ხელმძღვანელობდა, ბეთჰოვენის ფესტივალისთვის კი მას ახალგაზრდა დირიჟორი გოგი ჭიჭინაძე ამზადებდა. იგი დირიჟორობდა ბონში 23 სექტემბერს გამართულ კონცერტსაც.


გოგი ჭიჭინაძე გერმანიაში რეპეტიციის დროს.

პროგრამა, რომელიც ახალგაზრდულმა ორკესტრმა ფესტივალისთვის მოამზადა, განსაკუთრებული სირთულით გამოირჩეოდა. ფესტივალის კონცეფციის მიხედვით, საკონცერტო პროგრამა უნდა ემსახურებოდეს ბეთჰოვენის ეპოქასა და თანამედროვეობას შორის ხიდის გადებას. ამ ამოცანის გადასაჭრელად ქართულმა ორკესტრმა პროგრამაში, ერთი მხრივ, ბეთჰოვენის, ხოლო მეორე მხრივ - თანამედროვე ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები შეიტანა. ბეთჰოვენის უვერტიურა "ეგმონტისა" და მე-2 საფორტეპიანო კონცერტის გვერდით მათ გია ყანჩელის მე-5 სიმფონია და თემურ ბაკურაძის კონჩერტო გროსო - "ყრმათა და ფრინველთა გალობა," შეასრულეს: **"მოგეხსენებათ, რამდენად რთულია ყანჩელის მუსიკა,** - აღნიშნავს კონსერვატორიის პრორექტორი მანანა ანდრიაძე, - **ძალზედ მნიშვნელოვანი იყო ბაკურაძის ნაწარმოებიც – ბონში მისი მსოფლიო პრემიერა შედგა, თუმცა ამ ფესტივალზე ყველაზე მეტად ჩვენ მაინც ბეთჰოვენის შესრულებაზე ვღელავდით."** საბოლოოდ, კონცერტმა დიდი წარმატებით ჩაიარა. მსმენელთა სიმპათიასთან ერთად ორკესტრმა თბილისში გერმანული და საერთაშორისო პრესის ძალზედ გულთბილი შეფასებებიც ჩამოიტანა.

გარდა საკონცერტო პროგრამისა, კონსერვატორიის ორკესტრმა ბეთჰოვენის ფესტივალზე ორ მასტერ-კლასშიც მიიღო მონაწილეობა ისეთ გამოცდილ დირიჟორებთან ერთად, როგორებიც იან კრენცი და პეტერ გიულკე არიან. იან კრენციმ ისიც აღინიშნა, რომ მუსიკოსები ბევრად აღემატებიან სტუდენტური კოლექტივის დონეს და პროფესიულ საშემსრულებლო ოსტატობასთან ერთად სერიოზული მხატვრული პრობლემების გადაჭრისთვისაც მზად არიან. პრესამ ძალზედ დადებითად შეაფასა ორკესტრის ცალკეული ჯგუფების (განსაკუთრებით ხის ჩასაბერი, სიმებიანი) ოსტატობაც. განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო გიმნაზიის მე-6 კლასის მოსწავლემ, ლევ მარკიზის სახელობის სტიპენდიანტმა, სოფიო სიმსივე-დანელიამ, რომელმაც კონცერტზე ბეთჰოვენის მე-2 საფორტეპიანო კონცერტი შეასულა. 10 წლის პიანისტის მოსმენის შემდეგ გერმანელები საქართველოში ბეთჰოვენის განსაკუთრებულ ტრადიციაზე ალაპარაკდნენ.

როგორც აღინიშნა, კონცერტზე თემურ ბაკურაძის ნაწარმოების მსოფლიო პრემიერაც შედგა. "ყრმათა და ფრინველთა გალობა" სპეციალურად "დოიჩე ველეს" დაკვეთით შეიქმნა. კომპოზიტორმა ცნობილი გერმანული არხის მიერ გამართულ კონკურსში გაიმარჯვა. ნაწარმოები პირველად თბილისში, კონსერვატორიის დიდ დარბაზში შესრულდა, თუმცა ეს შესრულება, გარკვეულწილად, რეპეტიციას წარმოადგენდა ბონში დაგეგმილი პრემიერისათვის. ბონში "ყრმათა და ფრინველთა გალობა" ძალზედ ხმაურიანი პრემიერით აღინიშნა. იგი პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა მრავალი რადიო-არხით. პრემიერაში ორკესტრთან ერთად კონსერვატორიის ფოლკლორული ანსამბლი "მე რუსთველიც" მონაწილეობდა. ამ უკანასკნელმა ბონის ორ ტაძარში ამაღელვებელი კონცერტებიც გამართა. ქართულ დელეგაციაზე საუბრისას ერთ-ერთი გერმანელი ჟურნალისტი სტრაბონის სიტყვებს იხსენიებს (ქართველები "მომღერალი ხალხია"): **"ვინც ქართველების ვაჟთა ანსამბლის სიმღერას მოისმენდა,** – აღნიშნავს იგი, **– ამაში უსათუოდ დარწმუნდებოდა".**

"მე რუსთველი" 1998 წლიდან არსებობს. მომღერლები დღემდე რუსთავის მთავარანგელოზ მიქაელის მამათა მონასტერში გალობენ. ანსამბლს ნუგზარ არველაძე და ზაზა კეჭაყმაძე ხელმძღვანელობენ. გასულ წელს გამოვიდა მათი პირველი ალბომი, რომელიც 22 ქართულ საგალობელს მოიცავს. ანსამბლის რეპერტუარში საეკლესიო საგალობლებთან ერთად ქართული ხალხური საერო მუსიკაც შედის. ბონის ცენტრალურ ტაძრებში გამართულ ორ კონცერტზე მათ განსხვავებული პროგრამა შეასრულეს. მანანა ანდრიაძე კი ქართულ ხალხურ მუსიკაში გაუთვითცნობიერებელ მსმენელს განმარტებას აძლევდა ქართული სასიმღერო ტრადიციის შესახებ. გერმანიაში მცხოვრები ქართველებიც ანსამბლის ყოველ გამოსვლას დაჰყვებოდნენ: **"ძალზედ ამაღელვებელი იყო, როდესაც ტაძარში კონცერტებზე გამოსვლისას ტაშით გვაცილებდნენ,"-** იხსენებს ანსამბლის წევრი გიორგი დარბაიძე.

კონსერვატორიის სტუდენტებს, გერმანული გასტროლების მოგონებების გარდა, გოეთეს ინსტიტუტის ხელშეწყობით, თბილისში ჩამოჰყვათ გერმანელი დირიჟორი პეტერ გიულკე, რომელიც ამ დღეებში სტუდენტებთან ერთად მასტერ-კლასებსა და კონცერტს მართავდა.

# შენ არარაობა არ ხარ!

## ˝რეიდიოჰედი˝ Q-ს გაებუტა

თამარ ბაბუაძე

ბრიტანული ჟურნალი Q უკვე წლებია, ითავსებს მთავარი როკ-კრიტიკოსის ფუნქციას და ამას აკეთებს არა მხოლოდ თავისი ფურცლებიდან. 1990 წლიდან მოყოლებული ყოველწლიურად იმართება Q-ს სახელობის პრიზების გადაცემის ცერემონიალიც.

ჟურნალის მესვეურები ამტკიცებენ, რომ მათი ღონისძიება ყველაზე ობიექტურად ასახავს საზოგადოების მუსიკალურ გემოვნებას. ეს ხდება იმიტომ, რომ Q-ს ჯილდოს მფლობელებს თავად ჟურნალის მკითხველები ავლენენ, ანუ ცერემონიალი არ ითვალისწინებს არც მუსიკალური ინდუსტრიისა და არც მუსიკალური კრიტიკოსების აზრებს. და ამიტომ, Q-ს პრიზის მოპოვება მუსიკოსისთვის პირდაპირპროპორციულად უდრის სიყვარულსა და სიმპათიას, რომელსაც მას მსმენელი უცხადებს.

Q-ს რედაქტორი პოლ რისიც ამბობს: **“Q-ს პრიზები განსაკუთრებულია, რადგან კენჭისყრაში მონაწილეობას ხალხი იღებს, მუსიკალური ფანები – ანუ, ისინი, ვისი აზრიც პირველ რიგშია გასათვალისწინებელი”**.

მართალია, ჟურნალის რჩეულთა გამოვლენას მთელი მუსიკალური სამყარო ყოველ წელს სულმოუთქმელად ელის, მაგრამ ღონისძიების ორგანიზატორები ინტერესის გასაზრდელად გარკვეულ ხერხებს მაინც მიმართავენ. მაგალითად, მხოლოდ ცერემონიალამდე რამდენიმე დღით ადრე აცხადებენ Q-ს ნომინანტებს და ბოლო წუთამდე ასაიდუმლოებენ ლონდონის იმ დარბაზს, რომელშიც მუსიკის ვარსკვლავებით გადაჭედილი შოუ გაიმართება.

სწორედ ამიტომ არის, რომ დაგეგმილ თარიღამდე რამდენიმე დღით ადრე, Q-ს გამარჯვებულთა ვინაობის გამოცნობა, მუსიკალურ კრიტიკოსთა ლამის ნომერ პირველი მიზანი ხდება. რა თქმა უნდა, 13 წლის განმავლობაში გამომუშავებული ეს ტრადიცია არც წელს დარღვეულა. წელს კრიტიკოსები გამარჯვებას ბრიტანულ ჯგუფს “ქოლდფლეის” უწინასწარმეტყველებდნენ და არც თუ უსაფუძვლოდ: კრის მარტინის ჯგუფი ოთხ ნომინაციაში ლიდერობდა: საუკეთესო სინგლი, საუკეთესო ვიდეო, საუკეთესო ცოცხალი შესრულება და საუკეთესო შესრულება. თუმცა, მოხდა სასწაული – ძალზე პოპულარული “ქოლდფლეი” საერთოდ ოქროს Q-ს გარეშე დარჩა. არადა, მათ შარშან ჯილდო საუკეთესო ალბომისთვიის მიიღეს (A Rush of Blood to the Head).

სამაგიეროდ, წელს, ისევე როგორც შარშან, Q საუკეთესო შესრულებისთვის “რეიდიოჰედს” გადაეცა. თავისთავად ჯგუფის ფანები კმაყოფილნი დარჩნენ. მათ ხომ ძალიან მოსწონთ ახალი ალბომი Hail to the Thief, რომელიც ძალზე “რეიდიოჰედული” განცხადებით იწყება – სიმღერით “2+2 უდრის 5”, და თვლიან, რომ ჯგუფი ისეთივე კარგ ფორმაშია, როგორც რამდენიმე წლის წინ.

თუმცა, წელს მოხდა ერთი პატარა ინციდენტი. თუ შარშან საათჩის თეთრი გალერეის სცენაზე თომ იორკი ფეხის წვერებზე აიპარა და მიკროფონში ჩურჩულით მოიხადა მადლობა, წელს სასტუმრო “პარკ ლეინის” დარბაზში “რეიდიოჰედი” საერთოდ არ გამოჩენილა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ბიჭები ჟურნალ Q-ზე გაბრაზებულები არიან. ერთ-ერთ ნომერში ჟურნალისტმა მათ “საშინელი” ჯგუფი უწოდა. ეს ეპითეტი კი “რეიდიოჰედმა” ვერაფრით დაივიწყა და საზეიმო ცერემონიალზე პროტესტის ნიშნად უსიტყვო ვიდეო-შეტყობინება გააგზავნა. ეკრანზე ჩანდა ერთ-ერთი წინადადება: “რეიდიოჰედი” Q-ს გაებუტა”.

მიუხედავად ამისა, ჯგუფი მაინც ჟურნალის ერთგული მკითხველის უკონკურენტო რჩეულია. ამ პრესტიჟული პრიზის გარდა ხომ დაჯილდოვდა მათი პროდიუსერიც ნიგელ გოდრიჩი, რომელიც ალბომზე Hail to the Thief მუშაობდა.

სამწუხაროდ, “რეიდიოჰედის” გამო უპრიზოდ დარჩა “რედ ჰოთ ჩილი პეპერსი”. ის ერთადერთ ნომინაციაზე – საუკეთესო შესრულებაზე იყო წარდგენილი.

ყველას ეგონა, რომ დაჯილდოვდებოდა White Stripes-იც – ჯგუფი, რომლის სახელიც ორ ნომინაციაში ჩანდა – საუკეთესო სინგლი (იგულისხმებოდა, მართლაც, კარგი სიმღერა Seven Nation Army) და საუკეთესო ალბომი (Elephant), მაგრამ პირველ ნომინაციაში კრისტინა აგილერამ იმარჯვა თავისი სინგლით Dirrty, საუკეთესო ალბომის ჯილდო კი “ბლარს” გადაეცა – Think Tunk-ისთვის.

ბუნებრივია, აგილერას ამგვარმა გაბედულმა განაცხადმა მრავალი როკ-მსმენელი დატოვა იმედგაცრუებული. მათი არგუმენტი დაახლოებით ასე ჟღერდა: ეს ხომ Q-ს ჯილდოები არის და არა MTV-ის პრიზების გადაცემის შოუ, სადაც აგილერამ ამ რამდენიმე ხნის წინ მადონასთან ვნებიანი კოცნით გამოიჩინა თავი... თუმცა, Q-ს მაინც ვერაფერს მოვკითხავთ – “პარკ ლეინის” სასტუმროში დატრიალებული ამბები ხომ მთლიანად მსმენელის არჩევანი იყო – სრულიად ობიექტური და არც ერთი პროცენტით გაყალბებული.

მსმენელმა რობი ვილიამსსაც მიანიჭა პრიზი საუკეთესო ცოცხალი შესრულებისთვის. ბრიტანეთის პოპ-მეფემ Q-ს მკითხველები ნებვორთში ჩატარებული კონცერტებით მოხიბლა ასე ძალიან. წლების წინ კი იყო დრო, როცა ნებვორთში “ლედ ზეპელინიც” გამოდიოდა...

აგილერა “ელექთრიქ სიქსთან”, “ქოლდფლეისთან”, “ჯუნიორ სენიორთან” და “მიუზთან” ერთად წარდგენილი იყო საუკეთესო ვიდეოს ნომინაციაზეც. მაგრამ ამ შემთხვევაში მადონასგან გზადალოცვილი მომღერალი დეტროიტელმა დისკო-პანკებმა “ელექთრიქ სიქსის” ექვსეულმა დაჩაგრა კლიპით Gay Bar.

Q-ს მკითხველებმა საუკეთესო ახალი შემსრულებლის ვინაობაც გამოავლინეს – ჯგუფი The Thrills. მართალია, მათ თბილისში ნაკლებად იცნობენ, მაგრამ The Thrills ირლანდიური ჯგუფი ყოფილა, დუბლინიდან – ეს კი მდიდარი მუსიკალური ტრადიციების ფლობას ნიშნავს.

რაც შეეხებათ ვეტერანებს, “პარკ ლეინში” Duran Duran და The Cure გაიხსენეს. პირველს – შემოქმედებითი კარიერისთვის გადასცეს პრიზი, მეორეს კი – ახალი თაობის შთაგონებისთვის.

დაბოლოს, Q-ს “რეიდიოჰედი”, ალბათ, მალე შეურიგდება. წვრილ-წვრილი კურიოზული, სახალისო თუ უფრო ხმაურიანი მომენტები ხომ ჟურნალის დაჯილდოების ცერემონიალს პირველივე ცდიდან დაებედა:

1990 წელს Q-ს პირველი ცერემონიალი სოჰოში, ძალზე ელიტარულ ჯაზ-კლუბში “რონი სკოტში” ჩატარდა. საღამოს დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე კლუბში პოლ და ლინდა მაკარტნები მივიდნენ და მომსახურე პერსონალს მაგიდებზე ხელსაწმენდების ლამაზად დალაგებაში მოეხმარნენ. ამიტომ Q-ს წარმომადგენლები მერე იხსენებდნენ, რომ შოუ უფრო საქორწინო ცერემონიალს ჰგავდა, ვიდრე მუსიკალური ინდუსტრიის სახელით გამართულ საღამოს... იმავე ღამეს საუკეთესო ცოცხალი შესრულებისთვის მსმენელმა “როლინგსტოუნზი” დააჯილდოვა. სცენაზე ბილ ვაიმანი ავიდა და წარმოთქვა: “მადლობას გიხდით ჩემი ჯგუფის მიკის, კიტის, ჩარლის და იმ ახლის სახელით... ხო, რა ჰქვია? ... რონი ვუდი”.



˝რედიოჰედი˝ ჟურნალ Q-ზე გაბრაზებულია

# სხვენში დამალული განძის ისტორია

*როდესაც 62 წლის გულჩათხრობილი მასწავლებელი ლეიკემიით გარდაიცვალა და მთელი ავლადიდება მეგობრებს დაუტოვა, აზრადაც არავის მოსვლია, რომ მისი სახლის სხვენში მიაკვლევდნენ მიკ ჯაგერს – ჩაის სმის დროს, მუჰამედ ალის – ჰენრი კუპერთან ბრძოლის წინ, მარლენ დიტრიხს, მსოფლიო ჩემპიონის თასის მფლობელ ინგლისის საფეხბურთო გუნდს და კიდევ ბევრ სხვა ცნობილ სახეს. ერთი სიტყვით, ვერაფრით წარმოიდგენდნენ, რომ ბარი ბრეიდვუდის სხვენში, მტვრით დაფარულ ჩემოდანში სრულიად უცნობ და უნიკალურ ფოტოარქივს იპოვიდნენ, რომელიც, სავარაუდოდ, 10 მილიონი გირვანქა სტერლინგი ღირს..*

ბერი ბრეიდვუდი ნორთჰემპტონის საშუალო სკოლის მასწავლებელი იყოო, – გუშინდელ დღემდე ასე ამტკიცებდა ყველა. მისმა უახლოესმა მეგობრებმაც კი არ იცოდნენ, რომ ბერი გიჟდებოდა ფოტოგრაფიაზე, 1962-66 წლებში კი რამდენიმე ბრიტანულ გაზეთში დამოუკიდებელ ფოტორეპორტიორადაც მუშაობდა. სწორედ ამ წლებში შექმნა თავისი უნიკალური კოლექცია, რომელიც მასწავლებლად მუშაობის დაწყების შემდეგ ერთ შეუხედავ, ძველ ჩემოდანში მოათავსა და სხვენისკენ გზას გაუყენა.

მას არ ჰყოლია ნათესავები, ცოლს ორმოცი წლის წინ იყო გაშორებული და ამიტომ, როდესაც ლეიკემიით დაავადდა, გადაწყვიტა, მთელი ქონება ანდერძით მეგობრებისთვის დაეტოვებინა.

ერთ დღესაც ბრეიდვუდის მეგობრები სახლს ალაგებდნენ. ცალკე-ცალკე ახარისხებდნენ უსახლ-კაროთათვის მისაცემ, გასაყიდ და დასაწვავ ნივთებს, როდესაც სხვენში მუყაოს დიდ ჩემოდანს წააწყდნენ, შიგნით კი – ყვისფერ კონვერტებში ჩალაგებულ უამრავ ფოტოფირს. “კიდევ კარგი, დამტვერილი ჩემოდნის გახსნა გადავწყვიტე, თორემ, ალბათ, მთელ განძს გადავაგდებდით, რადგან ჩვენ ხომ ვერც წარმოვიდგენდით, შიგნით რა იქნებოდა”, - იგონებს ალან პიტერი, ბრეიდვუდის ერთ-ერთი მეგობარი.

“დამარხული განძის” გახსნის შემდეგ ჩემოდანში 2500-მდე ფოტო აღმოჩნდა, ძირითადად - შავ-თეთრი. იქ იყო 60-იანი წლების უკლებლივ ყველა ვარსკვლავი: მიკ ჯაგერი და დანარჩენი “სტოუნზები”, ჯონ ლენონი, პოლ მაკარტნი, The Kinks-ისა და The Who-ს წევრები, მუჰამედ ალი, მარლინ დიტრიხი, შონ კონერი, დადლი მური, 1966 წელს მსოფლიო თასის მფლობელი ინგლისის საფეხბურთო ნაკრები.

ფოტოები გადაღებული იყო 1962-66 წლებში – როდესაც ფოტოგრაფებისთვის გაცილებით უფრო იოლი იყო ვარსკვლავებთან კონტაქტი, ვიდრე ახლაა.

როგორც გაირკვა, ბრეიდვუდი “როლინგსტოუნზსა” და The Who-ს ფოტოებს ტელეპროგრამის Ready Steady Go!-ს რეპეტიციებზე უღებდა, “ბითლზს” კი – Royal Variety-ს შოუში მონაწილეობისას...

მისი მეგობრები ახლაღა იხსენებენ, რომ ბერი იშვიათად, მაგრამ მაინც ამბობდა ხოლმე, რომ ფოტოგრაფია უყვარს. თუმცა, ისინი მაინც ვერაფრით წარმოიდგენდნენ, რომ ბერი ასეთი სერიოზული კოლექციის ავტორი იყო. “ვფიქრობ, ფოტოგრაფიას ბრეიდვუდმა მას შემდეგ დაანება თავი, რაც ვარსკვლავებმა პირადი ფოტოგრაფების დაქირავება დაიწყეს. ის, ალბათ, ფიქრობდა, რომ ამგვარ კონკურენციას ვერ გაუძლებდა”, - ასკვნის ალან პიტერი.

ახლა ბრეიდვუდის მეგობრები კოლექციის გაყიდვაზე ფიქრობენ. ისინი უკვე შეუამხანაგდნენ ადგილობრივ ფირმას “ჰოლივუდ აიქონზს”, რომელმაც ფოტოები პირველად დაბეჭდა. ისინი გამოფენის მოწყობასა და წიგნის გამოცემასაც გეგმავენ.

“ფოტოები უკვე ვაჩვენეთ “სოტბის” წარმომადგენლებს. მათ გვითხრეს, რომ ეს ფასდაუდებელი კოლექციაა, რადგან უამრავ ფოტოს შეიცავს და სრულყოფილად ასახავს 60-იან წლებს – იმ დროს, როდესაც ლონდონი, მართლაც, იყო პლანეტის ცენტრი”, - აცხადებს “ჰოლივუდ აიქონზის” დირექტორი პოლ მეკინი.

თუმცა, რამდენიმე ხნის წინ დაფიქსირდა მსგავსი პრეცედენტი – ჰოლივუდელი ვარსკვლავების ფოტოების უცნობი კოლექცია 10 მილიონ გირვანქა სტერლინგად შეფასდა. ასე რომ, გამორიცხული არ არის, გულჩათხრობილი და მარტოხელა მასწავლებლის სხვენში დამალული კოლექციაც ასეთივე ფასად გაიყიდოს.





მიკ ჯაგერისა და მუჰამედ ალის უცნობი ფოტოები 60-იანი წლებიდან

## ათეულები



### საუკეთესო სიმღერების ათეული მოზრდილთათვის ჟურნალ “ბილბორდის” მიხედვით

| შემსრულებელი | სიმღერა | წინა კვირის პოზიცია | ჩარტებში ყოფნის პერიოდი (კვირა) |
|---|---|---|---|
| 1. [illegible] | Drift Away | 1 | 29 |
| 2. [illegible] | Unwell | 2 | 20 |
| 3. [illegible] | Have You Ever Been in Love | 3 | 23 |
| 4. [illegible] | Forever and For Always | 5 | 22 |
| 5. [illegible] | Dance with my Father | 4 | 16 |
| 6. [illegible] | If You're not the One | 6 | 25 |
| 7. [illegible] | Big Yellow Taxi | 7 | 21 |
| 8. [illegible] | Hole in the World | 8 | 18 |
| 9. [illegible] | The Game of Love | 9 | 52 |
| 10. [illegible] | Can't Stop Loving You | 11 | 53 |



### მხატვრული ლიტერატურის სქელყდიანი წიგნების ბესტსელერთა ნუსხა “ნიუ იორკ ტაიმსის” მიხედვით

| წიგნი | ავტორი | გამომცემლობა | ფასი $ | ბესტსელერების სიაში ყოფნის პერიოდი (კვირა) |
|---|---|---|---|---|
| 1. Bleachers | [illegible] | [illegible] | 19.95 | 2 |
| 2. [illegible] | [illegible] | [illegible] | 24.95 | 27 |
| 3. [illegible] | [illegible] | [illegible] | 23.95 | 2 |
| 4. [illegible] | [illegible] | [illegible] | 25.95 | 1 |
| 5. [illegible] | [illegible] | [illegible] | 25.95 | 6 |
| 6. [illegible] | [illegible] | [illegible] | 24 | 3 |
| 7. Dune: the Machine Crusade | [illegible] | [illegible] | 27.95 | 1 |
| 8. [illegible] | [illegible] | [illegible] | 24.95 | 2 |
| 9. [illegible] | [illegible] | [illegible] | 25 | 1 |
| 10. [illegible] | [illegible] | [illegible] | 21.95 | 65 |



### კვირის ყველაზე შემოსავლიანი ფილმების ათეული ამერიკული კინოთეატრების მონაცემების მიხედვით

| ფილმი/რეჟისორი | მსახიობები | უიკენდის შემოსავალი $ | საერთო შემოსავალი $ |
|---|---|---|---|
| 1. Rundown [illegible] | [illegible] | 18,533,760 | 18,533,763 |
| 2. [illegible] | [illegible] | 9,751,425 | 9,751,425 |
| 3. [illegible] | [illegible] | 9,418,484 | 37,025,381 |
| 4. Secondhand Lions [illegible] | [illegible] | 8,258,330 | 23,464,037 |
| 5. [illegible] | [illegible] | 6,288,473 | 20,116,473 |
| 6. [illegible] | [illegible] | 5,004,233 | 48,567,484 |
| 7. [illegible] | [illegible] | 4,617,128 | 4,617,128 |
| 8. Cold Creek Manor [illegible] | [illegible] | 4,488,084 | 14,642,749 |
| 9. Matchstick Men [illegible] | [illegible] | 4,354,363 | 30,793,137 |
| 10. [illegible] | [illegible] | 3,688,538 | 8,640,267 |

# იარცევმა შემადგენლობა გამოაცხადა



ვიდრე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი და ეროვნული ნაკრების მწვრთნელი მერაბ ჟორდანია წინასაარჩევნო ბატალიებში არის ჩაფლული, მისმა რუსმა კოლეგამ გიორგი იარცევმა ნაკრების შემადგენლობა გამოაცხადა. რუსთა გუნდი წინა შეხვედრასთან შედარებით ქართველებს ოდნავ სახეშეცვლილი ეგებება. იარცევმა გუნდში არ გამოიძახა იური კოვტუნი და ტრავმირებული დმიტრი ალენიჩევი. სამაგიეროდ გუნდშია ალექსანდრ მოსტოვოი.

თუმცა, 11 ოქტომბრის მატჩში მისი თამაში მაინც სათუოა. მოსტოვოის „მილანის“ წინააღმდეგ ჩემპიონათა ლიგის შეხვედრაში მხარი დაუზიანდა და მალაგაში მატჩს აუცილებლად გამოტოვებს. ექიმების ვარაუდით, ტრავმა სერიოზული არ არის, მაგრამ სარეაბილიტაციო პერიოდი დროს მოითხოვს.

„სამედიცინო შემოწმება უკვე გავიარე. ტკივილი მაწუხებს. მხარში წარმოქმნილია ჰემატომა. ექიმები მეუბნებიან, რომ სერიოზული არაფერია და მკურნალობა დიდ დროს არ წაიღებს, მაგრამ კვირას „მალაგასთან“ შეხვედრას მაინც გამოვტოვებ. რაც შეეხება ეროვნულ ნაკრებს, ქართველების წინააღმდეგ თამაში ძალიან მინდა და ყველა ღონეს ვიხმარ იმისთვის, რომ სწრაფად გამოვჯანმრთელდე“, - განაცხადა მოსტოვოიმ.

რუსეთის ნაკრების სრული შემადგენლობა კი ასე გამოიყურება:

**მეკარე:** ოვჩინიკოვი, მალაფეევი

**დაცვა:** ევსეევი, იგნაშევიჩი, ონოპკო, სენნიკოვი, სოლომატინი

**ნახევარდაცვა:** ალდონინი, გუსევი, იზმაილოვი, კარიაკა, ლოსკოვი, მოსტოვოი, სმერტინი, ტიტოვი

**თავდასხმა:** ბულიკინი, კერჟაკოვი, სიჩოვი.

## TV-სპორტი

**შაბათი. 4 ოქტომბერი**

**НТВ + ФУТБОЛ**

13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-ალლუმი. "პორტუ" – "რეალი"
1500"ო წ ♡ "
15:30 "ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი"
16:10 თავისუფალი დარტყმა
16:25 ინგლისის ჩემპიონატი. "ლივერპული" – "არსენალი". პირდაპირი ტრანსლაცია
18:25 გერმანიის ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია
20:20 თავისუფალი დარტყმა
20:35 მინი-ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. "სპარტაკი" – "ვიზ - სინარა"
21:55 "ფეხბურთი ა-დან წ-მდე"
22:25 ესპანეთის ჩემპიონატი. "დეპორტივო" – "ატლეტიკო". პირდაპირი ტრანსლაცია
00:20 სახვალიო ტელეპროგრამა
00:25 გერმანიის ჩემპიონატი. "შტუტგარტი" – "კიოლნი". შესვენებისას (01:10) თავისუფალი დარტყმა
02:20 უკრაინის ჩემპიონატი. "არსენალი" - "კრივბასი"

**НТВ + СПОРТ**

11:00, 17:00, 19:40, 22:15 პრესცენტრი
11:15, 22:30 "ოლიმპის შვილები"
11:20 აერობიკა
11:45 "ყინულოვანი ხანა". პროგრამა ჰოკეიზე
12:45 ამერიკული ფეხბურთის ფან-კლუბი
13:25 ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. მსოფლიო ჩემპიონატი. საფრანგეთი. მეოთხედფინალები და ნახევარფინალები. პირდაპირი ტრანსლაცია
15:30 მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი ნახევრად მარათონში. ქალები. პორტუგალია. პირდაპირი ტრანსლაცია
17:15 ავტორბოლები. პოლოს თასი. ექვსსაათიანი რბოლა
17:30 მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი ნახევრად მარათონში. ქალები. პორტუგალია. პირდაპირი ტრანსლაცია
18:55 ამერიკული ფეხბურთი
19:25 ავტორბოლები. პოლოს თასი. ექვსსაათიანი რბოლა
19:55 ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. მსოფლიო ჩემპიონატი. საფრანგეთი. ფინალები. პირდაპირი ტრანსლაცია
22:00 ავტორბოლები. პოლოს თასი. ექვსსაათიანი რბოლა
22:35 სახვალიო ტელეპროგრამა
22:40 სპორტული ცეკვები. "მერის თასი". მეორე ნაწილი
00:00 "გოლფომანია". მეორე ნაწილი
01:00 ახალი ამბები
01:15 ამერიკული ფეხბურთი
01:45 01:45-დან 05:00-მდე შესვენება
05:00 პროფესიული კრივი. ევანდერ ჰოლიფილდი – ჯეიმს ტუნი. პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**

09:15 მოტორბოლები. გრან-პრი იაპონიაში
12:15 "სუპერრბოლები გამოსასვლელ დღეებში"
13:15 ფეხბურთი. უეფა
14:30 "სუპერრბოლები გამოსასვლელ დღეებში"
15:30 ჩოგბურთი. WTA ტურნირი. "კრემლის თასი"
17:00 ჩოგბურთი. ATP ტურნირი. მოსკოვი
18:30 სნუკერი. პრესტონის თასი დიდ ბრიტანეთში
20:00 ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. მსოფლიო ჩემპიონატი. საფრანგეთი
22:00 "ოლიმპიური თამაშები"
22:30 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
23:00 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
01:00 მულტისპორტი
01:30 ექსტრემალური სპორტი
02:30 "ოლიმპიური თამაშები"
03:00 ახალი ამბები
03:15 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი სან რემოში
03:45 მოტორბოლები. გრან-პრი იაპონიაში
04:15 მულტისპორტი
04:45 ახალი ამბები

ფეხბურთი

# ჟოან ლაპორტას პრეზიდენტობის 100 დღე

**დეკემბრიდან "ბარსელონას" მაისურას სპონსორის სახელი დაამშვენებს**

აკა ტონია

*მას შემდეგ, რაც კატალონიური "ბარსელონას" პრეზიდენტად ჟოან ლაპორტა აირჩიეს, ზუსტად 100 დღე გავიდა. გთავაზობთ ლაპორტას მონოლოგს, რომელშიც ის საკუთარ შთაბეჭდილებებს გვიზიარებს და თავისი პრეზიდენტობის 100 დღეს აჯამებს. ცნობილია, რომ "ბარსელონას" მაისურაზე კლუბის არც ერთი სპონსორის წარწერა არ არის. კატალონიელები ამით ყოველთვის ამაყობდნენ. ჟოან ლაპორტა ამ ტრადიციის შეცვლას აპირებს და დეკემბრიდან "ბარსელონას" მაისურა სპონსორსაც წარმოგვიდგენს. თუმცა, ქვემოთ "ბარსელონას" სპონსორებზე, კლუბის ფინანსურ მდგომარეობაზე, ახალი ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებებსა და რონალდინიოზე თავად ლაპორტასგან შეიტყობთ.*



*ჟოან ლაპორტა კატალონიის სული*

**დასაწყისი:** "კლუბის ხელმძღვანელობამ და ფეხბურთელებმა დიდი გუნდური სულისკვეთება გამოამჟღავნეს. ყველანაირ ცვლილებას, მათ შორის, ახალი პრეზიდენტის მოსვლას, დიდი ვნებათაღელვა ახლავს თან. მიხარია, რომ ჩვენს სანახავად ხალხმა ისევ დაიწყო სტადიონზე სიარული. ვფიქრობ, ეს უმთავრესი ასპექტია. ჩვენმა გუნდმა დაამტკიცა თავისი ბრძოლისუნარიანობა. ახლა გუნდის დაბალანსების ეტაპზე ვართ. თავის დროზე ასეთი ფაზა ყველა დიდმა კლუბმა გაიარა. აღფრთოვანებული ვარ ზოგიერთი ჩვენი ფეხბურთელის ინდივიდულაური შესაძლებლობებით. ახლად შეძენილმა მოთამაშეებმა გუნდი უდავოდ გააძლიერეს. მე ვამაყობ ჩვენი ტექნიკური განყოფილების მიერ გაწეული სამუშაოთი".

**წარმატების გასაღები:** "ყველაფერს თავისი დრო აქვს. კარგი კადრები წარმატების გარანტიაა. ჩვენ მხოლოდ ცოტა მოთმინება გვჭირდება. დარწმუნებული ვარ, ჩვენს გუნდს უდიდესი პოტენციალი აქვს. ეჭვი არ მეპარება, რომ მალე ის დიდ სიხარულს მოგვიტანს. პუხოვში მატჩის წინ ჟერარდის ქცევა (ვგულისხმობ მის რეაქციას იმ ფაქტზე, რომ შემადგენლობაში არ დააყენეს) ფეხბურთელის კარგ პიროვნულ თვისებებზე მეტყველებს. მომეწონა ჟერარდის რეაქციაც და რაიკაარდის გადაწყვეტილებაც, როდესაც მან ჟერარდი დისციპლინის დარღვევის გამო დასაჯა".

**რონალდინიო:** "ფეხბურთის უდიდეს ტალანტთან ერთად, მას უდიდესი ადამიანური თვისებები აქვს. რონალდინიო არასოდეს არავის ეუბნება "არას". დარწმუნებული ვარ, ის ასეთად დარჩება ყოველთვის. რონალდინიო არის ის, ვისაც მთელი "ბარსა" ეძებდა".

**გულშემატკივარი:** "უაღრესად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ გულშემატკივრები მარტო "კამპ ნოუზე" კი არ დადიან ჩვენს საყურებლად, არამედ გასვლით მატჩებზეც მოგვყვებიან. ვმუშაობთ სტრატეგიაზე, რომელიც "ბარსას" ქომაგებს საშუალებას მისცემს, რაც შეიძლება, დიდი რაოდენობით დაესწრონ კლუბის გასვლით მატჩებს.

**შედეგები:** "არ მოვითხოვთ, რომ გუნდმა დაუყოვნებლივ მიაღწიოს დიდ შედეგებს. როგორც ადრე განვაცხადე, სახლის მშენებლობა ფუნდამენტიდან იწყება. დიდი რეზულტატების საწინდარი კი მყარი ფუნდამენტი უნდა გახდეს. მიუხედავად ამისა, გუნდისგან მაქსიმალურ მონდომებასა და პროფესიონალიზმს მოვითხოვთ. ჩვენ არ გვაქვს გულშემატკივრის გაწბილების უფლება".

**სტაბილური პროგრესი:** "კლუბის ფინანსური მდგომარეობა პროგრესს განიცდის. ამ განხრით ძალიან ეფექტურად ვმუშაობთ. კლუბის პოლიტიკა ხარჯების სიმკაცრეს ითვალისწინებს. ხალხმა უნდა გაიგოს, რომ ბილეთის გაძვირება და მსგავსი ღონისძიებები კლუბის ფინანსური კეთილდღეობისთვის არის გამიზნული. ამის თქმა ყოველთვის ძნელია პრეზიდენტისთვის, თუმცა, გულშემატკივარი ამას გაგებით უნდა მოეკიდოს. ფულის დაზოგვის საშუალებას კლუბი ყოველთვის აძლევს თავის ერთგულ ქომაგებს, მაგალითად, სეზონური აბონემენტების სახით. "ბარსელონას" შემოსავლის წყარო ამხანაგური მატჩები და სპონსორული შემოწირულობებიც არის. სპონსორები დაინტერესდნენ ჩვენით".

**კონტრაქტები:** "ახლად შეძენილი ფეხბურთელებისთვის კლუბმა უაღრესად მოქნილი სახელფასო პოლიტიკა გაატარა. ამ მოთამაშეების ანაზღაურება უშუალოდ მათ ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა დამოკიდებული. ჩვენს მიერ გაფორმებულ კონტრაქტებში შევიტანეთ უამრავი ახალი პუნქტი, რომლებიც ფეხბურთელების მიერ კატალონიური კულტურისა პატივისცემასა და ენის შესწავლას ითვალისწინებს. მინდა, სწორად გამიგოთ: ფეხბურთელებისგან ჩვენ არ მოვითხოვთ ენის სწავლას. უბრალოდ, ვთავაზობთ ყველა პირობას, რათა მათ გუნდში ინტეგრირება გაუადვილდეთ. რაც შეეხება იმ ფეხბურთელებს, რომლებიც კლუბის ხელმძღვანელობაში ჩვენს მოსვლამდე ირიცხებოდნენ "ბარსაში": ვხედავთ, რომ მათი ხელშეკრულებები მთლიანად ვერ აკმაყოფილებენ ჩვენს ფილოსოფიას. უახლოეს მომავალში ამ კონტრაქტებს გადავხედავთ და გარკვეულ ცვლილებებს შევიტანთ. ამასთან დაკავშირებით უკვე ვესაუბრეთ რამდენიმე ფეხბურთელს. მოხარული ვარ, რომ ისინი ჩვენს ფილოსოფიას იზიარებენ".

**მაისურის სპონსორი:** "ამ საკითხთან დაკავშირებით არ ვჩქარობთ. გადაწყვეტილებას დეკემბერში მივიღებთ. ერთადერთი, რისი თქმაც ახლა შემიძლია, ის არის, რომ ეს იქნება მსოფლიოში განთქმული კომპანია. მის ვინაობას ჩვენ "ნაიკთანაც" შევათანხმებთ. მინდა, ისიც გითხრათ, რომ ეს სპონსორი იმ თანხას გადაიხდის, რამდენიც "ბარსას" მაისურაზე საპატიო ადგილი ღირს".

**შემოსავალი:** "ჩვენ გვაქვს უაღრესად საინტერესო გეგმა, რომლის მიხედვითაც გუნდის შემოსავალი საგრძნობლად გაიზრდება. არიან კლუბები, რომელთა შემოსავალი უშუალოდ ფეხბურთელების გაყიდვაზეა დამოკიდებული. ამ ფილოსოფიას არ ვიზიარებთ. "ბარსას" მთავარი აქტივი მისი გულშემატკივარია. კლუბი აქტიურად მუშაობს იმისთვის, რომ "ბარსელონა" მსოფლიოს უძლიერესი კლუბი გახდეს".

**დიდი გუნდი:** "როდესაც ვუყურებ, თუ როგორ მუშაობენ ჩემი თანამოაზრეები, თუ რა დიდ პასუხისმგებლობას იღებენ საკუთარ თავზე, ბედნიერი ვარ. ჩემი საქმე, მენეჯმენტი და კოორდინირება ბევრად უფრო იოლია, ვიდრე მათი სამსახური. ჩემს გვერდით ნამდვილი პროფესიონალების დიდი გუნდი დგას".

**მადლობა:** "ჩვენ მადლობას ვუხდით "ბარსას" ოჯახის თითოეულ წევრს. კლუბის დირექტორთა საბჭო ცდილობს, ჩვენი ფილოსოფია, რაც შეიძლება, მეტ ადამიანს გააგებინოს, რათა ისინი დარწმუნდნენ, რომ ჩვენ დიდი გამარჯვებების გზაზე ვდგავართ. ჩვენ არ მივცემთ "ბარსას" ქვემოთ დაშვების უფლებას".

**რთული გადაწყვეტილებები:** "სტატისტიკის მიხედვით, სეზონური ბილეთების გაყიდვის საკითხში ახლაც ერთ-ერთი საუკეთესოები ვართ ევროპაში. მიუხედავად ამისა, ბილეთების გაძვირება არ იყო ჩვენთვის ადვილი. ასევე გაგვიჭირდა ფეხბურთელებისა და კლუბის თანამშრომლების რიცხვის შემცირება".

**კატალონიის ეროვნული სული:** "ბარსას" თითოეულმა არაკატალონიელმა გულშემატკივარმა ზედმიწევნით კარგად იცის, რომ "ბარსელონა" კატალონიური კლუბია და ისინი პატივს სცემენ ამას. ჩვენ არ ვერევით პოლიტიკაში. კატალონიურ ენაზე ლაპარაკი არ ნიშნავს პოლიტიკაში ჩარევას. ამით ჩვენ ჩვენს კულტურას ვცემთ პატივს და მომავალშიც ასე განვაგრძობთ".

## ინფოთეკა

**ფეხბურთი.** 48 წლის ჰანს პეტერ ბრიგელმა ალბანეთის ფეხბურთის ფედერაციასთან კონტრაქტი კიდევ სამი წლით გააგრძელა. სწორედ ალბანელი მოამზადებს გუნდს 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისთვის. ბრიგელს სოლიდურ პრემიასაც კი შეჰპირდნენ იმ შემთხვევაში, თუ გუნდი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გააღწევს. შეგახსენებთ, რომ ბრიგელის ხელში ამ პატარა ბალკანური ქვეყნის გუნდმა ორ ოფიციალურ შეხვედრაში გაიმარჯვა - რუსეთისა და საქართველოს ნაკრებების წინააღმდეგ.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდამ, პელემ განაცხადა, რომ რონალდოს მიმართ არავითარ ანტიპათიას არ განიცდის. მადრიდის „რეალის“ ფორვარდმა კი თქვა, რომ სახელოვანი თანამემამულის რეკორდს უნდა გადავხედოთ, რადგან თავისი გოლების მნიშვნელოვანი ნაწილი მან აშკარად სუსტ მეტოქეებს გაუტანა. „თუ რონალდო ჩემ რეკორდს მოხსნის ან გააორმაგებს, ეს ბრაზილიისთვის მხოლოდ უკეთესი იქნება. ღმერთი შეეწიოს“, - განაცხადა პელემ.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** არსენ ვენგერი აგრძელებს თავისი ფეხბურთელების დაცვას, რომელთაც „მანჩესტერ იუნაიტედთან“ მატჩის შემდეგ ყველა ცოდვაში ამხელენ. ვენგერი მიიჩნევს: იმ შეხვედრაში „მეთოფეთა“ საქციელი მხოლოდ იმის მანიშნებელია, რომ გუნდს მებრძოლი სული აქვს. „ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ ვართ ბინძური გუნდი“, - ამბობს ვენგერი.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ლონდონის „არსენალის“ ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ უსახსრობის მიუხედავად, ახალი სტადიონის მშენებლობას მომავალი სეზონიდან დაიწყებს. ჯერჯერობით მშენებლობას არ ჰყოფნის დაახლოებით 260 მილიონი გირვანქა სტერლინგი. მიუხედავად ამისა, „მეთოფეთა“ ხელმძღვანელობას ძალიან უნდა, იხილოს 60-ათასიანი სტადიონი. ლონდონური კლუბის ახლანდელი სტადიონი „ჰაიბერი“ 38500 მაყურებელს იტევს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** „მილანის“ ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ დაინტერესდა ამსტერდამის „აიაქსის“ ტუნისელი მცველით ჰათემ ტრაბელსით. ეს ინფორმაცია დაადასტურა კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ. შეგახსენებთ, რომ „აიაქსთან“ ტრაბელსის კონტრაქტს ყავლი გასდის.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ლიბიის ლიდერის ვაჟმა საადი კადაფიმ ახსნა, თუ რატომ არ ითამაშა „პერუჯას“ შემადგენლობაში იტალიის თასზე „ჩეზენას“ წინააღმდეგ, როცა ამის სრული უფლება ჰქონდა. გაირკვა, რომ მინდორზე გასვლისგან თვითონ აფრიკელს შეუკავებია თავი, რადგან ბოლო კვირის განმავლობაში ცოტას ვარჯიშობდა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** დევიდ ბექჰემი მადრიდის „რეალის“ შემადგენლობაში ვარჯიშს შეუდგა. შეგახსენებთ, რომ ინგლისელმა „ვალენსიასთან“ მატჩში ტრავმა მიიღო და ამის შემდეგ „პორტუს“ წინააღმდეგ ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაც გამოტოვა. არსებობდა იმის საშიშროება, რომ ბექჰემს თურქეთის ნაკრებთან გადამწყვეტი მატჩიც გამოეტოვებინა, მაგრამ, როგორც ირკვევა, ინგლისის ნაკრების კაპიტანი სტამბულში მაინც გაემგზავრება.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ავსტრიული „მატერსბურგის“ მთავარმა მწვრთნელმა ვერნერ გრიგორიტშმა განაცხადა, რომ ხუთშაბათს ტერაქტი მოუწყვეს. მწვრთნელის თქმით, როცა ის გრაცში ეროვნული ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩის შემდეგ შინ ბრუნდებოდა, მის მანქანას საბურავი მოსძვრა. გრიგორიტში გადარჩა, რადგან ავარიამდე საეჭვო ხმები გაიგონა და მანქანა ოდნავ დაამუხრუჭა. პოლიციამ ოფიციალური გამოძიება დაიწყო. ამასთან, გრაცის „შტურმის“ პრეზიდენტმა არ გამორიცხა, რომ ინციდენტში შეიძლება, მისი გუნდის ფანები იყვნენ გარეულნი.



# გეპატიჟებათ „ლაგუნა ვერე“

## ინფოთეკა

**ჩოგბურთი.** კრემლის თასის გათამაშებას გამოეთიშა ქართველი ჩოგბურთელი ირაკლი ლაბაძე. ის სამ სეტში დამარცხდა ტურნირის მეორე ნომერ არგენტინელ აგუსტინ კალიერისთან - 6:4, 3:6, 6:1. თუმცა, გათამაშებას აგუსტინ კალიერიც გამოეთიშა. არგენტინელი ორ სეტში დამარცხდა წყვილთა თანრიგში ლაბაძის პარტნიორთან, სარგის სარგსიანთან - 6:3, 6:4. ამ გამარჯვებით სარგსიანი ნახევარფინალში გავიდა. საუკეთესო ოთხეულშია ამერიკელი ტეილორ დენტიც. მან შვეიცარიელი მარკ როსე გაისტუმრა სამშობლოში - 6:3, 6:4.

■ ■ ■

**ჩოგბურთი.** კრემლის თასის გათამაშების ფარგლებში გაიმართა საბჭოთა ჩოგბურთელების დაჯილდოების ცერემონია. დაჯილდოებულთა შორის არის ლელა მესხიც. მას და ლარისა სავჩენკო-ნეილანდს „WTA Tour Mentor Award“-ის პროგრამის ფარგლებში გადაეცათ ჯილდო მწვრთნელობისთვის. საქმე ის არის, რომ ორივე ჩოგბურთელი 1999 წლიდან ჩართულია „WTA Tour Mentor Award“-ის პროგრამაში „პარტნიორობა წარმატებისთვის“. პროგრამა ითვალისწინებს სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ 18 წლამდე ასაკის ჩოგბურთელთა მომზადებას. ასეთი შეფობა ახალგაზრდა ტალანტებს პროფესიულ ჩოგბურთში ადაპტაციაში ეხმარება. ლელა მესხმა და ლარისა სავჩენკო-ნეილანდმა დიდ ჩოგბურთში მოიყვანეს ისეთი ცნობილი ჩოგბურთელები, როგორებიც არიან ელენა დემენტიევა, ელენა ბოვინა, ნადეჟდა პეტროვა და დინარა საფინა.

■ ■ ■

**ჩოგბურთი.** ხუთშაბათს ჩოგბურთის ჩილელი ვარსკვლავი მარსელო რიოსი ქვეყნის სამხედრო სასამართლოს წინაშე წარდგა. მას პოლიციის ოფიცერზე თავდასხმა ედება ბრალად. ადრე საქმე სამოქალაქო სასამართლოში იყო, მაგრამ არასაკმარისი მტკიცებულებების გამო საკითხი სამხედრო სასამართლოს გადაეცა. შეგახსენებთ, რომ გასულ უქმეებზე რიოსი, ნასვამ მდგომარეობაში, გადაეკიდა ბარის ოფიციანტს, რომელმაც უარი განაცხადა მის მომსახურებაზე. გამოსასვლელთან ჩოგბურთელს პოლიცია შეეგება, რომელმაც ის განყოფილებაში მიაცილა. განყოფილებაში რიოსმა 6 საათი გაატარა.

■ ■ ■

**კალათბურთი.** იაპონელ იუტა ტაბუსიზე, რომელთანაც სექტემბერში „დენვერ ნაგეთსმა“ კონტრაქტი გააფორმა, სათქმელი არაფერია - 23 წლის, 175 სმ. სიმაღლისა და 75 კგ. წონის იაპონელი პარამეტრებით ზუსტად ესადაგება მცველის ამპლუას, რომლის როლშიც ის შარშან, სამშობლოში თამაშის დროს იყო. ტაბუსი „ტოიოტას“ ღირსებას იცავდა და წლის საუკეთესო ახალბედა გახდა. ამჯერად ტაბუსის ამოცანაა, კიდევ ერთხელ შევიდეს ისტორიაში, როგორც პირველი იაპონელი ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში. თუმცა, ამისთვის მას სჭირდება მოხვდეს გუნდის „რჩეულთა“ რიცხვში, რომელიც 28 ოქტომბრამდე - ჩემპიონატის დაწყებამდე გახდება ცნობილი. საწვრთნელ ბანაკში კი გუნდმა ორ ათეულ პრეტენდენტს მოუყარა თავი. ამასთან, იაპონელის პოზიციაზე ისეთი კალათბურთელები თამაშობენ, როგორებიც არიან ანდრე მილერი და ერლ ბოიკინზი. „კონკურენცია ძალიან დიდია, - აღიარებს იაპონელი, - მე მესმის, რომ ნებისმიერ დროს შეიძლება დამატოვებინონ ბანაკი“.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** ჰოლანდიელი იოს ვერსტაპენი ფორმულა 1-ის წლევანდელი ჩემპიონატის დასრულების შემდეგ აპირებს დატოვოს „მინარდი“ და „იაგუარში“ გადავიდეს. „სუძუკიში შესანიშნავი ავტოდრომია. ნებისმიერ შემთხვევაში ამ რბოლით კმაყოფილი დავრჩები. ის ხომ ჩემთვის ბოლო იქნება „მინარდის“ შემადგენლობაში. მინდა, მომავალი წლისთვის „იაგუარში“ გადავიდე. მომწონს მათი ორგანიზებულობა“, - განაცხადა ვერსტაპენმა.

■ ■ ■

**ჰოკეი.** 18 წლის მეკარე მარკ-ანდრე ფლერი პიტსბურგიდან მამისეულ სახლში, მონრეალში დაბრუნდა. ამის მიზეზი გახდა 2003 წლის დრაფტის პირველი ნომრის იმედგაცრუება პირველი კონტრაქტით, რომელიც ფლერის „პინგვინებმა“ შესთავაზეს. ახალგაზრდა გოლკიპერის ერთ-ერთმა აგენტმა განაცხადა, რომ შეთავაზებული თანხა ბევრად მცირე აღმოჩნდა იმ ხელფასზე, რომელსაც უკანასკნელ წლებში დრაფტის პირველ ნომრებს უნიშნავდნენ. საინტერესოა, რომ ფლერი გაიქცა გუნდის მფლობელისა და კაპიტნის სახლიდან, სადაც არა მარტო ცხოვრობდა, არამედ ხანდახან ბავშვებსაც კი ადევნებდა თვალს. მარიო ლემიემ ფლერის თვითონ შესთავაზა მის სახლში ცხოვრება, რათა ახალგაზრდა ფრანგულენოვან მონრეალელს ამერიკულ პიტსბურგში ადაპტაცია არ გასჭირვებოდა. აღსანიშნავია, რომ ლემიე თავის დროზე სწორედ ანალოგიურ სირთულეს წააწყდა, როცა 18 წლის ასაკში მონრეალიდან პიტსბურგში გადავიდა.

## რაგბი

# ვუდვორდს ავსტრალიის ეშინია და საქართველოზე ფიქრობს

პაატა თოთაძე

პერტში ჩასული ბორჯღალოსნების კვალდაკვალ აღმოსავლეთ ავსტრალიას C ჯგუფის სხვა წარმომადგენლებიც ეწვივნენ. ადგილობრივთა ყველაზე დიდი ინტერესი, ბუნებრივია, ინგლისელებმა გამოიწვიეს. ჯერ ერთი, ეს გუნდი ტურნირის ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად და ავსტრალიელთა მთავარ კონკურენტად ითვლება. მეორეც, ყველას აინტერესებს მსოფლიო რეიტინგში პირველი ბიჭების ცოცხლად ნახვა.

სამშობლოდან გამგზავრებამდე, აგრეთვე, პერტში ჩასვლისთანავე, ვუდვორდს მედიის წარმომადგენლებთან შეხვედრა მოუხდა. ორივე შეხვედრის დროს ინგლისელთა თავკაცმა თავისი გუნდის მთავარ კონკურენტად მასპინძელთა გუნდი დაასახელა: "მიუხედავად იმისა, რომ არცთუ დიდი ხნის წინ ავსტრალია საკუთარ მოედანზე გვყავს დამარცხებული, მიუხედავად იმისა, რომ დღეს რეიტინგში პირველები ვართ, ავსტრალიის ნაკრებს, ინგლისთან ერთად, ტურნირის მთავარ ფავორიტად ვთვლი. ამის მიზეზი ისაა, რომ ავსტრალია ჩინებულად თამაშობს, თან ტურნირის მასპინძელია და გულშემატკივართა დიდი მხარდაჭერა აქვს".

ავსტრალიელთა ქების შემდეგ ვუდვორდი საქართველოზეც გადაერთო. მისი თქმით, გუნდის თითოეული წევრი მხოლოდ ამ თამაშზე ფიქრობს და არა იმაზე, თუ ვინ შეიძლება იყოს მათი მთავარი კონკურენტი. "ეს შეჯიბრებაა. შეჯიბრებაში კი ყველა გუნდი მეტოქე და კონკურენტია. აქედან გამომდინარე, თითოეულ თამაშს სრული პასუხისმგებლობით უნდა მიუდგე. ოდნავი მოდუნება და, შესაძლოა, სავალალო შედეგი მივიღოთ. პირველი მატჩი საქართველოს ნაკრებთან გვაქვს და ახლა მხოლოდ ამ თამაშზე ვფიქრობთ. ჩვენ გარკვეულ ინფორმაციებს ვფლობთ ამ გუნდის შესახებ და ეს ცნობები მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ჩვენს სასარგებლოდ", - აღნიშნა ვუდვორდმა.

რეიტინგში პირველი გუნდი და ქართველთა მეტოქე იმითაც არის პირველი, რომ მორაგბეებს მსოფლიო თასზე ცოლებისა თუ მეგობრების წაყვანის უფლება აქვთ (აქამდე შემთხვევა არ ყოფილა, რომელიმე გუნდის მწვრთნელს დიდ ტურნირზე მოთამაშეებისათვის ცოლების წაყვანის ნება დაერთო). "მსოფლიო თასი დიდხანს გრძელდება. ოჯახთან თუ საყვარელ ადამიანთან განშორება კი, არა მგონია, ვინმეზე კარგად მოქმედებდეს. ვფიქრობ, არაფერი დაშავდება, პირიქით, კარგი და სასარგებლო იქნება, თუ მორაგბეებს ცოლები წაყვებიან ხანგრძლივი მოგზაურობის დროს", - კლაივ ვუდვორდის ამ სიტყვებმა ინგლისში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. საზოგადოების ნაწილმა მისი ნაბიჯი დადებითად შეაფასა, ნაწილმა - უარყოფითად და მაგალითად სხვა გუნდები დაასახელეს. ახალზელანდიელთა მწვრთნელმა მოთამაშეებს არათუ ცოლების წაყვანა, ტურნირის განმავლობაში სექსიც კი აუკრძალა.

თავისი პირველი სამსოფლიოთასო შეხვედრისთვის მზადებას განაგრძობს საქართველოს ნაკრები. კლოდ სორელმა ბიჭები ჯერჯერობით სრულად არ დატვირთა. რაგბის კავშირის მედია-ოფიცრის, გია კუბლაშვილის თქმით, სორელმა ეს გადაწყვეტილება მორაგბეების უკეთ აკლიმატიზაციისა და აქაურ პირობებთან შეგუებისთვის მიიღო. "ამჟამად გუნდი მხოლოდ ერთხელ ვარჯიშობს, დანარჩენ დროს კი ისვენებს. კვირიდან ბიჭები სრულად დაიტვირთებიან და ორჯერად ვარჯიშებზე გადავლენ. ასეთია მწვრთნელთა გადაწყვეტილება. მასპინძლებმა "რაიჯესტ ჰოტელში" მოგვათავსეს. მშვენიერ პირობებში ვართ. გუნდში მნიშვნელოვანი სიახლე არ არის, რაც მთავარია, ყველა ჯანმრთელადაა", - "24 საათთან" საუბარში განაცხადა გია კუბლაშვილმა, რომელსაც გუშინ შევეხმიანეთ ავსტრალიაში.



ინგლისელი ჯონი უილკინსონი (მარცხნივ) ქართველების შებოჭვასაც შეეცდება

# მთა კაცი, იგივე ჯონა ლომუ

ბიბა ბურასაშვილი

ახალზელანდიელი, წარმოშობით კი ტონგელი მთა კაცი, იგივე ჯონა ლომუ, რომელმაც ოვალური სამყარო ბევრად თავბრუდამხვევი და სანახაობრივი გახადა, ბედის ირონიით ავსტრალიაში გასამართ მსოფლიო თასს ტრიბუნებიდან მიადევნებს თვალყურს. არადა, მრავალი ტიტულის პატრონს ერთადერთ აუხდენელ ოცნებად სწორედ მსოფლიო თასი რჩება. დიდი სურვილისა და მონდომების მიუხედავად, ლომუ ლომუს დამსგავსებოდა, არაფერი გამოვიდა. მიზეზი? თირკმლის ქრონიკული დაავადება, რომლიც კარგა ხანია ახალზელანდიელ გიგანტს სტანჯავს. გაზაფხულზე, უკვე მერამდენედ, მკურნალობაც დაიწყო, მაგრამ... ფაქტია: "ოლ ბლექსს" მათი ბურჯის გარეშე მოუწევს, შეებას იტალიას, ტონგას, კანადას, უელსს.

თანამედროვე სპორტულ სამყაროში თითზე ჩამოსათვლელი სპორტსმენები არიან, რომლებმაც ზოგადად სპორტზე ისეთი გავლენა მოახდინეს, როგორც ეს ჯონა ლომუმ შეძლო. და კიდევ ერთი: რომ არა რაგბი, შეიძლებოდა გვეწინასწარმეტყველა, რომ მისგან კარგი მძლეოსანი დადგებოდა. მით უმეტეს, რომ, სანამ რაგბის კარს შეაღებდა, სარბენი ბილიკებით იყო გატაცებული. სარბენი ბილიკები შემთხვევით არ გვიხსენებია. ლომუს წარმატებათა საწინდარი სწორედ მისი სისწრაფეა. წარმოიდგინეთ, 125-კილოგრამიანი გიგანტის შეჩერება, როდესაც ეს უკანასკნელი 100 მეტრს 10,8 წამში გარბის (მსოფლიო რეკორდი 9,78 წამია და იგი ამერიკელ ტიმ მონტგომერის ეკუთვნის.-რედ.).

ვინაიდან მსოფლიო თასის გათამაშება ლომუს გარეშე ჩაივლის, გვინდოდა, დანაკლისი აგვენაზღაურებინა და მასზე, როგორც რაგბის სამყაროს გამორჩეულ ფიგურაზე, ბიოგრაფიული მონაცემებით როგორღაც მაინც შეგვევსო ვაკუუმი.

ჯონა ლომუს სპორტული კარიერა არაორდინარულობით გამოირჩევა. შვიდ წელიწადში სრულად უცნობმა სამხრეთოკლენდელმა ყმაწვილმა მსოფლიო რაგბიში მეხივით დაიქუხა. თუმცა, მისი კარიერა ია-ვარდით არ ყოფილა მოფენილი. ამ ხნის განმავლობაში თუ რამ აბრკოლებდა, ისევ და ისევ ის წყეული თირკმელი.

დიდ არენაზე 1995 წელს, სამხრეთ აფრიკის მსოფლიო თასზე გამოჩნდა. მაშინ ახალზელანდიელი ვუნდერკინდი 19 წლის გახლდათ. ასაკის მიუხედავად, გამოცდილ მეტოქეებს თავისი ფიზიკური მონაცემებით ბდღვირი ადინა. ამასთან, თანაგუნდელებს რვა ლელოთი შეეშველა და გუნდი ფინალში გაიყვანა. მას შემდეგ ჯონა მსოფლიო რაგბის ყველაზე გამოკვეთილ მოთამაშედ იქცა. ლომუს ბაძავდნენ და ბაძავენ ყველგან, სადაც კი რაგბის რამე გაეგებათ, მათ შორის საქართველოშიც.

და მაინც, როგორ მიაღწია ყოველივეს. თუ BBC Sport Academy-ის მოვიშველიებთ, გარკვეულწილად, ჯონა ლომუს წარმატების საიდუმლოსაც შევიტყობთ. მაშ ასე, მივყვეთ თანმიმდევრობით.

### მე და რაგბი

რაგბის ჩემს ცხოვრებაში უდიდესი ადგილი უკავია. ასეა იმ დღიდან, რაც 14 წლის გავხდი. რაგბის კი სამხრეთ ოკლენდის ვესლის კოლეჯის მასწავლებელმა მაზიარა. მან ისეთი რამ შეამჩნია ჩემში, რასაც მე ვერ ვხედავდი. მალე მოვხვდი სკოლის თხუთმეტკაცა გუნდში, სადაც თავდაპირველად, ბუნებრივია, გამომცადეს. მერე ისე მოხდა, რომ სკოლის ისტორიაში აღმოვჩნდი ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშე, რომელსაც თხუთმეტკაცა რაგბი ათამაშეს.

### წინასამატჩო რიტუალი

წინასამატჩო რიტუალი ხუთშაბათობით იწყება. ტრადიციისამებრ, თავს ვიპარსავ და მატჩამდე გემრიელად გამოვიძინებ ხოლმე. წინასამატჩო რაციონი შედგება კარტოფილის პიურესგან, სპაგეტისა და ექვსი კვერცხის ცილისგან. მერე, ჩვეულებისამებრ, ყურსაცვამს ვიკეთებ და მუსიკის თანხლებით ვსეირნობ.

საერთოდ, სპორტსმენთა უმეტესობამ იცის, რა უნდა ჭამოს, რა არის მათი იდეალური წონა. ასე რომ, საკუთარ თავს ვაკონტროლებთ. თუმცა, დიეტოლოგისგანაც ვიღებთ რჩევებს. მძიმე მატჩის შემდეგ ცივ შხაპზე უკეთესი არაფერია. ასეთი მეთოდი საუკეთესო საშუალებაა იმისთვის, რომ ტკივილებს თავი დააღწიო.

### ვარჯიში

დღეში, საშუალოდ, ექვს-შვიდ საათს ვვარჯიშობ. მაგრამ ეს მხოლოდ ფიზიკური ვარჯიში არ არის. ბევრს ვმუშაობ გონებრივადაც, ვამზადებ საკუთარ თავს სხვადასხვა სტრატეგიისთვის. დილის ექვს საათზე ფეხზე ვარ და დავრბივარ. შემდეგ - შესვენება და საუზმე ფიზიკური ვარჯიშის წინ. ამას მოყვება მწვრთნელებთან მუშაობა; ლანჩის შემდეგ დგება გუნდური ვარჯიშის დრო, სადაც მანამდე შემუშავებულ სტრატეგიას ვხვეწთ. ამას მოყვება ბოლო ვარჯიში, ხოლო 7 საათისთვის ყველაფერს ვამთავრებთ.

ყველაზე ძნელი დილაუთენია ადგომაა. უსიამოა სიცივეში ლოგინიდან გამოძრომა.

როდესაც ვიღვიძებ და ვგრძნობ, რომ ისევ ლოგინში მინდა, საკუთარ თავს ვეკითხები: "მინდა კი, ვიყო ოლ ბლექსში? მინდა კი, ვითამაშო?" და ვპასუხობ: "რა თქმა უნდა, მინდა".



ჯონა ლომუ ავსტრალიაში ვერ ითამაშებს

### ამბიცია

ერთადერთი, რაზეც გული მწყდება, ის არის, რომ თხუთმეტკაცა რაგბიში მსოფლიო თასს ვერ დავეუფლე. მთელი ჩემი ცხოვრება ამაზე ვოცნებობ.

მას შემდეგ, რაც კარიერას დავასრულებ, მინდა, რომ ყველას დავამახსოვრდე როგორც მორაგბე, რომელსაც უყვარდა თამაში.

კარიერის დამთავრების შემდეგ კი, ვისურვებდი, ახალი ზელანდიის ერთ-ერთი ბანკის სამარკეტინგო სამსახურის მმართველად მემუშავა. თან, ბანკში მუშაობის გამოცდილებაც მაქვს...

**მონაცემები:**

**სრული სახელი და გვარი: ჯონა ტალი ლომუ**

**დაბადების თარიღი: 12 მაისი, 1975 წელი**

**დაბადების ადგილი: ოკლენდი, ახალი ზელანდია**

**სიმაღლე: 1,96**

**წონა: 125კგ.**

**პოზიცია: გარემარბი**

**კლუბები: ქაუნთის მანუკაუ, ველინგტონის ჰურიკანი**

**კეპი: 71**

**მატჩი: 186**

**მიღწევები:**

**1994 წ: ყველაზე ახალგაზრდა სპორტსმენი, რომელსაც "ოლ ბლექსის" მაისურა მოარგეს. მაშინ იგი 19 წლისა და 45 დღის გახლდათ**

**1995 წ: შვიდი ლელოს გატანის შემდეგ მსოფლიო თასის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს**

**1998 წ: თანამეგობრობის თამაშებზე შვიდკაცა რაგბიში ოქროს მედალს დაეუფლა**

**1999 წ: მსოფლიო თასის ისტორიაში ყველაზე მეტი – რვა ლელო გაიტანა**

## ბილიარდი

# ფიქრის გორაზე პულის პულსაციაა

დალი კუპრავა

ბილიარდი კაცური თამაშიაო, მითხრა ერთხელ საქართველოს ბილიარდის ასოციაციის პრეზიდენტმა დავით ალექსიძემ. ჩემმა იმპულსურმა ხასიათმა ისევ არ მიღალატა და, ნონა გაფრინდაშვილი-მეთქი, მოუთმენლად ჩავურთე... პრეზიდენტის მოთმინებამ, დინჯმა საუბარმა თავისი გაიტანა და მივხვდი, რომ ის ქალების ბილიარდის წინააღმდეგი სულაც არ იყო და განსაზღვრება „კაცური“ თამაშის ხასიათის გადმოსაცემად იხმარა. „ბილიარდს რაინდები თამაშობენ. ეს კომბინაციური თამაშია და სხეულის, გონებისა და ფსიქიკის მობილიზაციას მოითხოვს. ემოცია უნდა მოთოკო. ერთ-ერთმა მაინც თუ გიმტყუნა, განწირული ხარ“, - ამბობს დავით ალექსიძე, რომელმაც ბათუმში, საქართველოს ჩემპიონატზე მეოთხე ადგილი დაიკავა.

გუშინ კი ფიქრის გორაზე, საბილიარდოში, სამდღიანი ტურნირი დაიწყო. „პულის ტურნირი კლუბის პოპულარობის გასაზრდელად და მობილიარდეების მოსაზიდად მოვაწყვეთ. საპრიზო ფონდი, მონაწილეების შემონატანით (10 ლარი) შეიქმნა“, - გვითხრა „ფიქრის გორის“ პრეზიდენტმა დათო ზაქარაიამ. ტურნირში 32 ვაჟი და ხუთი გოგონა მონაწილეობს. ფინალური შეხვედრები კვირას შედგება.

„პული“ რუსულთან შედარებით მცირე მაგიდის ბილიარდია, ლუზები დიდია და, როყიოდ სათქმელად, მოსაგებადაც უფრო იოლი, ვიდრე რუსული. თამაშის ტემპიც სწრაფია. ერთი შეხედვით, გეჩვენება, რომ მოთამაშეები ბევრს არ ფიქრობენ. მაგრამ თუ თვალს მიადევნებ, არც თამაშის მრავალწესიანობა გამოგეპარება და არც მოთამაშეების სახის კუნთების დაძაბული თამაში. თანაბარი პროფესიონალიზმის პირობებში, ვინც თავს უკეთ ფლობს, ის იგებს. ბილიარდს ცივი გონება, მახვილი თვალი, აზარტულობა სჭირდება. კარგი მობილიარდე სიტუაციას არ ელოდება, ის სიტუაციას თვითონ ქმნის: არ ელოდება როდის „დაუჯდება“ ბურთულა და კიის ერთი კვრით ბურთულების მომყოლი განლაგებაც უნდა გათვალოს. ბილიარდის პარალელები ჭადრაკთან, სამხედრო საქმესთან და პოლიტიკასთანაც შეიძლება გაივლოს. ხშირად კარგი მობილიარდეები, როგორც წესი, კარგი მონადირეებიც არიან.

ქართულ ბილიარდს უკვე მსოფლიო წარმატებებიც აქვს: მსოფლიო ახალგაზრდულ ჩემპიონატში მეორე გუნდური ადგილი, მსოფლიო ჩემპიონატში პაატა ხმალაძის მეცხრე ადგილი. ახალგაზრდებს ტურნირების გამოცდილება აკლიათ - ბილიარდი ხომ ცოდნასთან ერთად გამოცდილებასაც გულისხმობს.

საქართველოს ფედერაციის პრეზიდენტი ბილიარდის აკადემიის შექმნაზეც ოცნებობს.

სომხეთში უკვე არსებობს ბილიარდის კათედრა, რუსეთის სამხედრო სასწავლებლებში ბილიარდს ასწავლიან:



„ჩვენ გვაქვს ჩვენი პროგრამა, ბილიარდის თეორიული და პრაქტიკული სწავლების საათობრივი გეგმა. სპორტის აკადემიის რექტორთან ამ საკითხზე უკვე მქონდა საუბარი და გურამ გოგიაშვილი წინააღმდეგი არ არის. ვფიქრობ, არც განათლების სამინისტრო იტყვის უარს“, - თქვა დავით ალექსიძემ.

ყველა გზა, რომელიც ახალგაზრდას ქუჩას და უსაქმოდ ხეტიალს მოწყვეტს, რა თქმა უნდა, მისალებია, მით უმეტეს, სპორტის ისეთი გონიერი სახეობა, როგორიც ბილიარდია.

თბილისის საერთაშორისო ეკონომიური ურთიერთობების ინსტიტუტის რექტორს გურამ თავართქილაძეს გადაუწყვეტია, ბილიარდის მაგიდები ინსტიტუტში დადგას.

მცოდნეები ამბობენ და მაყურებლები ხედავენ, რომ შორეული ჩინეთიდან, ლუდოვიკოს საფრანგეთისა და პეტრე დიდის რუსეთის გავლით, ვორონცოვის წყალობით საქართველოში მოხვედრილი სპორტის სახეობა გონიერი და რაინდული თამაშია. ოცნებაც ხომ ეს არის - შეიქმნას გონიერი და რაინდული მოქალაქეების საზოგადოება. ჩინელებს კი უვარგისი რა გამოუგონიათ?!

რაც შეეხება ქალების ბილიარდს, დავით ალექსიძემ, თვენახევარში ქალთა ლიგას შევქმნითო. მით უმეტეს, საერთაშორისო ორგანიზაციები ბილიარდის მაგიდასთან ქართველ ქალებს ითხოვენ.

დასასრული.
დასაწყისი იხ. N262

მარინე ბერიძე

# ალპინისტის ცოლის დღიურები
# ტიან-შანი



ამინდი გამოვიდა. ბანაკი თითქმის მთლიანად იცლება. ემზადებიან გასასვლელად. კარვების წინ აქვთ გაშლილი მთელი ავლა-დიდება: საძილეები, ჩასაცმელი, თერმოსები, რკინა, თოკები, მედიკამენტები, პროდუქტი... დიდი ბაზრობა გეგონება, ჭრელი, თვალისმომჭრელი ფერები, ნაირნაირი პაკეტები, ზურგჩანთები და ფეხსაცმელები! - მუშტრის თვალით ზომავენ ერთმანეთის აღჭურვილობას, ჩასაცმელს. ამის მიხედვით ხვდებიან, ვინ რისი მაქნისია, საიდან არის, რა გაუკეთებია და რას აპირებს... ეს უცნობებს ეხებათ, რა თქმა უნდა. ნაცნობები კი ერთმანეთის აღჭურვილობას ათვალიერებენ, რჩევებს აძლევენ, სანდოობას და გამოსადეგობას აზუსტებენ...

ჩალაგებისას დიდხანს ფიქრობენ, რა წაიღონ და რა გაიმეტონ დასატოვებლად. ძირითადი კრიტერიუმი, რა თქმა უნდა, ნივთის ფუნქციაა, შემდეგ კი - მისი წონა. ამიტომ ალპინისტებს უკვე ჩვევაში აქვთ გამჯდარი - ყველა ნივთს ხელში წონიან, ასე ამოწმებენ. მაგალითად, აიღებს ბიძინა ვილაცის ფეხსაცმელს - კარგია, მაგრამ მძიმეა! - ამბობს. ძალიან სასაცილოები არიან. დიმას ვუყვები - ბიძინა ისე მიეჩვია, ბაზარში ხორცსაც ასე ყიდულობს, ხელში წონის-მეთქი. დიმა მთელი სერიოზულობით მარწმუნებს, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი თვისება, რომელსაც ალპინიზმი ავითარებს ადამიანში, ეს არის სიზარმაცე! მერე მიხსნის: ალპინისტი ცდილობს, წაიღოს ყველაზე მსუბუქი ბარგი; ცდილობს, მოძებნოს ყველაზე მოკლე და ადვილი გზა...

დიმა ვეღარ აგრძელებს ჩამოთვლას. ბიძინა მოდის და საერთო ბარგს ინაწილებენ. ახლა რაც ნაკლებად მოვედები ამათ ფეხებში, მით უკეთესი!

დილით ახალგაღვიძებულს მესმის ხმები მეზობელი კარვებიდან, გადაძახილ-გადმოძახილი რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ, ესპანურ, გერმანულ, თათრულ და რა ვიცი, კიდევ რა ენაზე არა. ნამდვილი ბაბილონის გოდოლია! ბიძინაც უმატებს თავის ქართულ ხმას: დიმაჯან, როგორა ხარ?

- ბიჭო! - ამბობს დიმა.

დღეს ვაცილებ ბიჭებს მყინვარამდე და მარტო ვრჩები.

მეშინია, რადგან ამ დღეებში ძალიან ბევრი მოვისმინე "ძაბრის" შესახებ. დიმა გრეკოვი თავისი კლიენტით კინაღამ ჩამარხა ზვავმა, მერე მოსკოველები - მიშა და ლენა. სხვებიც საშინელებებს ყვებიან. ავიწყდებათ ჩემი აქ ყოფნა. ბიძინასაც წამოსცდა, ყველა გავლაზე ვამბობ, რომ უკანასკნელად მოვდივარ აქო.

ღმერთო, შეგვეწიე სუყველას!

მადლობა ღმერთს, გუშინ ბაიკოვსკები ჩამოვიდნენ, იურა და ოლია. ბიძინას ძველი მეგობრები ლჰოცეს ექსპედიციიდან. დიდი ხანია, ტელეფონით ვიცნობთ ერთმანეთს. ოლია მაძლებინებს და მატანინებს ძნელ მოლოდინს.

ბაიკოვსკები ჩრდილოეთის ბანაკიდან გადმოვიდნენ ჩვენთან. იქ ქართველების გუნდს შეხვედრიან, აფის, გელას და სხვებს. გვითხრეს, მწვერვალზე ვერ ავიდნენ და აფი ძალიან დაღონებული იყოო.

აფის ბევრი აქაური მთამსვლელი კითხულობს და ყველას ძალიან უყვარს. სამწუხაროა, რომ ვერ ავიდა!

ამ დღეებში მერაბ ხაბაზიც წასულა "პობედაზე", ჩვენგან მოშორებით ცხოვრობს და წასვლის წინ ვერ ვნახეთ.

## ბანაკი

აქ რამდენიმე ბანაკია ერთმანეთზე გადაბმული. კარვები თითქმის მიჯრით დგას. ღამით მეზობლების ხვრინვა ისმის. ფრიალებს სხვადასხვა სახელმწიფოს და სპონსორის დროშები. ჩვენი დროშაც დავკიდეთ ფლაგშტოკზე. ალბათ, ას კარავზე მეტი იქნება გაშლილი, სხვადასხვა ფერის, ზომის და დანიშნულების. ყველა ბანაკს ცალკე აქვს დიდი სასადილო, სამზარეულო და აბანო. ეს ყველაფერი ორ-სამ ასეულ მეტრზეა გაჭიმული მყინვარის მორენაზე. მორენა უზარმაზარი სიპების ნაყარია, ამ სიპების ქვეშ ყინულის სქელი ფენაა. სიპებზე, უზარმაზარ ლოდებს შორის მოსწორებულ მოედნებზე დგას ჩვენი კარვები. ზოგან კარვების ირგვლივ ყინული დამდნარა. მორენა დაბლაა დაწეული, კარავი კი თავისი მოედნით ბორცვზეა შერჩენილი.

მყინვარზე სეირნობიდან დაბრუნებისას ვკითხე ბიძინას, როგორი გრძნობაა, მთიდან რომ ეშვები და ბანაკს დაინახავ-მეთქი!

- სახლი! სითბო! სიმყუდროვე! - მპასუხობს ბიძინა, - ყველა გიყვარს, იმიტომ, რომ ყველა გელოდება და ყველას უხარია შენი დაბრუნება. არაჩვეულებრივი გრძნობაა. განსაკუთრებით, როცა ღამე მოდიხარ და ბანაკის შუქები შორიდანვე მოჩანს.

- ასეც წარმოვიდგინე! მთამსვლელებს კი არა, მეც კი მიჩქროლდება გული, როცა თვალსმოფარებული ბანაკი - ერთი ხელისგულისხელა წითელ-ყვითლად აჭრელებული მიწის ნაჭერი გამოეყოფა ხოლმე მყინვარის თვალუწვდენელ სითეთრეს და მორენის ნაცრისფერს.

... მაინც ეჭვი და ტკივილი კაწრავს გულს. ვხვდები, რომ ვეჭვიანობ ამ ჭრელა-ჭრულა ციცქნა სამყაროზე, რომელიც მთიდან დაშვებულს, დაღლილს, დაქანცულს, გამარჯვებულს... სახლის, ოჯახის, ჩვენს მაგიერ სითბოსა და სიმყუდროვეს შეგაგებებს. რას იზამ, ასეთია სასიმაღლო ალპინიზმი! ყველა სხვა თავისებურებასთან ერთად ესეც ახლავს - ძალიან დიდი გზაა უკან, სახლამდე. ძალიან დიდი დრო, ბევრი ადამიანი, თავგადასავალი დგას ჩვენს შორის. ამას ყოველთვის ვგრძნობდი და მიჭირდა, ახლა კი საკუთარი თვალით ვხედავ: იმდენად სრულყოფილი ცხოვრებით ცხოვრობენ, იმდენად იხარჯებიან, იმდენად სავსეა ურთიერთობები, იმდენი სხვადასხვა პერსონაჟია ირგვლივ... ცოტათი მეცოდება ჩემი თავი...

## ტურები

საბაზო ბანაკის გზაზე, მორენაზე გვხვდება აქაური ცხოვრების კიდევ ერთი აუცილებელი და უცნაური ატრიბუტი - სიპი ქვებისგან აშენებული "ტურები". ამ "ტურებს" მთამსვლელები აგებენ ან აახლებენ, ერთმანეთს გზის გაგნება რომ გაუადვილონ. მე თავიდან ვერც კი ვამჩნევ მათ და თავაღებული მივაბიჯებ მორენაზე. ბიძინა მაჩერებს ერთ-ერთთან და მეუბნება: იცი, რა საყვარელი რამეა. ისეთი სითბო ჩაგიდგება გულში, ამას რომ დაინახავ! - ხელის გულზე იდებს, თვალები უბრწყინავს.

მართლაც, რა საყვარლად მიუყვებიან მორენას ეს უცნაური კოშკურები, ვერაგი მყინვარის ნაპრალოვან ლაბირინთებს რომ ააცილონ მგზავრი... მამაკაცური ურთიერთგატანის, ზრუნვის, მოფრთხილების უსიტყვო ძეგლები, მთამსვლელისა და მოგზაურის ძველი და ნაცადი მეგობრები - ტურები.

უკანა გზაზე ძველ ტურებს ვაახლებთ და სადაც შორს არის, ახალს ვაშენებთ.

## მორენა

თუ შეიძლება ქვის ერთფეროვნებას ჰქონდეს სილამაზე? - შეიძლება! და ეს სილამაზე ვნახე მორენაზე.

იასამნისფერი, მწვანე, ვერცხლისფერი, ნაცრისფერი...

ჩემს აღტაცებას ბიძინა გულუხვად პასუხობს: - მართლა, დიდი ხანია არაფერი მიჩუქებია შენთვის. ახლა ამ მორენას გჩუქნი, შენი იყოს!

- სულ?

- სულ რა ამბავია! - უკან იხევს, - აქედან აქამდე, არ გეყოფა?

- რა გაეწყობა, ვიმყოფინებ!

ასე რომ, ინალჩეკზე საკუთარი ნაკვეთი მაქვს, მომავალში დიდ კარავს დავდგამ და იქნებ ლოჯიც მივაშენო.

P.S. ორი კვირის შემდეგ შვეიცარიელ მთამსვლელთან, ჰელგასთან ერთად ვსეირნობ მორენაზე. ჰელგაც აღტაცებულია ქვების სილამაზით. მიუხედავად ჩემი ძალიან-ძალიან ცუდი გერმანულისა, ერთმანეთს კარგად ვუგებთ მე და ჰელგა. - Wie die Blumen! - ვეუბნები მე. ჰელგა გახარებული მესვრის ძალიან გრძელ-გრძელ წინადადებებს. მე ვერაფერს ვერ ვიგებ. ჰელგა მოდის და შუბლზე მკოცნის.

როგორც ვხვდები, შედარება მოეწონა.

ჰელგა და მისი მეუღლე, პიერ-ივონი, მესამედ არიან აქ. მესამე წელია, "პობედაზე" ასვლას ცდილობენ. ახლა ჰელგა ბანაკში დატოვეს, ქმარი კი გიდთან ერთადაა პობედაზე. სწორედ მათ ვუთვალთვალებთ ამ მორენიდან ბინოკლით. უკანა გზაზე ჰელგა ბევრჯერ ჩერდება და მორენის ქვების უცხო ფერებს მაჩვენებს.

## მოლოდინი

ველოდები! ბიძინას და დიმას რაცია არა აქვთ, მაგრამ ბიძინა ყველა ამვლელ-ჩამვლელს აბარებს მოკითხვას. იმ ტიპებს სულ სხვადასხვა ბანაკთან აქვთ რადიოკავშირი, ამიტომ ხან ვინ გადმომცემს მოკითხვას, ხან ვინ: - Бидзина привет передает!

- Грузин приветствует жене.

- Бидзина спрашивает, как жена?

უხერხულად ვგრძნობ უკვე თავს.

ბიძინას არყოფნაში ბევრ ცუდ ამბავს ვიგებ, "ხანზე" ორი პოლონელი დაღუპულა იქითა მხრიდან (ჩრდილოეთიდან). ჩვენი ბანაკის მკვიდრი ინგლისელი კი, რომელიც ორი დღის წინ საუზმეზე ჩემს მაგიდასთან იჯდა, დღეს "პობედიდან" მოწყდა და დაიღუპა. ნახეს, როგორ მიფრინავდა და ითხოვდა შველას. ინგლისელი ვერტმფრენით გადმოასვენეს და ჩვენი ბანაკის გადაღმა, მყინვარზე დატოვეს. იქ იქნება, სანამ დაზღვევის დოკუმენტებს შეამოწმებენ, ოჯახს გააგებინებენ და სხვა ფორმალურ საქმეებს მოაგვარებენ. ეს ყველაფერი შეიძლება ერთ კვირას გაგრძელდეს. ბანაკში კი ცხოვრება ჩვეულებრივი რიტმით მიდის - საუზმე, სადილი, ვახშამი, აბანო, სეირნობა... ზოგი მთაზე მიდის, ზოგი ბრუნდება... თითქოს ყველას დაავიწყდა, რომ აქვე გვერდით, რამდენიმე მეტრში ადამიანი ასვენია... ეს მოჩვენებითი არხეინობაა. სინამდვილეში ყველა თანაუგრძნობს დაღუპულს, მაგრამ აქ ამ თემაზე ხმამაღლა ლაპარაკი, მით უმეტეს მაშინ, როცა არავის არაფრის შეცვლა აღარ შეიძლება, მიღებული არ არის. უკან ბრუნდებიან დაღუპულის მეგობრები. მეორე, მასავით მაღალი, გრძელხელება ინგლისელი დიდხანს, დიდხანს ლაპარაკობს ტელეფონზე. მერე ალაგებენ თავის აღჭურვილობას, ზედმეტი პროდუქტი სასადილოში მიაქვთ და რამდენიმე დღე ელოდებიან გადაწყვეტილებას მეგობრის გადასვენებაზე. ყოველდღე ვხედავ - ჩაიცვამენ და მიდიან მყინვარზე. იქ ერთხანს დარჩებიან და მერე თავჩაქინდრულები, უსიტყვოდ მდუმარედ ბრუნდებიან უკან.

საშინელებაა! ეტყობა ამ ამბების გამოც ძალიან ცუდად ვგრძნობ თავს, თუმცა, არავის ვაწუხებ წუწუნით. საათობით გავყურებ "ხანს". ულამაზესია ყველანაირ ამინდში, დღისა და ღამის სხვადასხვა დროს სულ სხვადასხვაგვარი მოჩანს. ბოლო დღეებში მყინვარისკენ მივდივარ და იქ ვზივარ საათობით. "ხანისკენ" მიმავალი ბევრი ადამიანი მხვდება. ბიძინა აგვიანებს. ყველა მეუბნებოდა, 6400 მ-ის შემდეგ დაბრუნდებიანო. მე ვფიქრობ, პირდაპირ მწვერვალზე გავლენ. იგორ ვასილიჩი, პეტერბურგელების მწვრთნელი, ამ რაიონის "ვეტერანია", ხუთჯერ არის "პობედაზე" ნამყოფი. ის მარწმუნებს, შეუძლებელია უაკლიმატიზაციოდ მწვერვალზე წასვლა, უსათუოდ უკან მობრუნდებიანო. მით უმეტეს, დიმას წასვლის წინა დღეს 210 ჰქონდა წნევა! ვალოდია მოჟაევი, ჩვენების თანამგზავრი, უკვე მობრუნდა კიდეც და პირველივე ვერტმფრენით გაფრინდა. ვალოდია წარმატებული ბიზნესმენია! წასვლის წინ გამომიტყდა: - რა ვქნა, აღარ მიზიდავს, აღარ მანიჭებს სიამოვნებას მთაში სიარული, განსაკუთრებით სასიმაღლო ალპინიზმიო! მე გაოცებული ვუყურებ - ნუთუ შესაძლებელია, ასეთი რამ ოდესმე ბიძინამაც თქვას? - რა ბედნიერება იქნება!

- ღმერთმა არა ქნას! ამაზე ხუმრობითაც არ იფიქრო! - სერიოზულად მეუბნება და მემშვიდობება. - უკვე მოფრინდა ვერტმფრენი.

"ყოვლისმცოდნე" იგორ ვასილიჩი გაოცებულია. ბიძინა და დიმა პირდაპირ მწვერვალზე გასულან. - "Молодцы ребята!" - როგორ ფიქრობთ, რამდენ ხანში დაბრუნდებიან? - ვეკითხები.

- 2-3 დღეში, ალბათ, დაღლილები არიან, ნელა ივლიან!

- არაფერიც! - მეორე დღეს სადილის შემდეგ უკვე ბანაკში არიან!

ასე: ველოდე, ველოდე და ბოლოს მაინც მოულოდნელად დამადგნენ თავს!

დაღლილები არიან, გამხდრები. ჩაი, ჩაი, ჩაი... მერე აბანო, მერე ისევ ჩაი. ღამე ძილს ვერ ახერხებს, ვერ სუნთქავს. ეს თურმე ჩვეულებრივი ამბავია, ორ-სამ დღეს დაისვენებენ და მთავარ მიზანს - გამარჯვების პიკს მიაშურებენ!

## "ქართველების გზა"

მყინვარზე ფეხი დავდგით თუ არა, მიკითხვა-მოკითხვის შემდეგ პირველი კითხვა გეგმებს შეეხება. - რას აპირებ? უმეტესად ამ კითხვაზე პასუხი ამ რაიონში ერთნაირია - ხან-ტენგრიზე თითქმის ყველა მიდის, მათგან ზოგიერთი, ვისაც ეს ასვლა სააკლიმატიზაციოდ სჭირდება, მწვერვალზე არც ადის, 6400 მ-ზე ათევს და უკან ბრუნდება.

"პობედაზე" ერთეულები მიდიან, მხოლოდ "ხანზე" აკლიმატიზაციის შემდეგ მათგან ძალიან ცოტა აღწევს მწვერვალს.

- На Победу! - პასუხობს ბიძინა გზადაგზა მეგობრებს.

- По грузинам? - ეკითხება ყველა.

მყინვარზე ასეულობით ადამიანია უამრავი ქვეყნიდან. მათმა დიდმა ნაწილმა არც საქართველო იცის და არც ვაჟა-ფშაველა, რომლის სახელიც ჰქვია "პობედის" გვერდითა მწვერვალს (6900 მ). ამ მწვერვალს სახელი დაარქვეს და მისი გავლით "პობედაც" დალაშქრეს ქართველმა მთამსვლელებმა. მათგან სამი - ილია გაბლიანი, ჯუმბერ მეძმარიაშვილი და თემურ კუხიანიძე სამუდამოდ დარჩნენ აქ. დღეს აქ მოსულმა ყველა მთამსვლელმა იცის, რომ კლასიკური, ყველაზე ლოგიკური მარშრუტი "პობედაზე" სწორედ ქართველების გზაზე გადის. ამიტომ უმეტესობა მათგან, ვინც წელს ყველაზე ჩრდილოეთით მდებარე მწვერვალის დალაშქვრას აპირებს, შეკითხვაზე, რომელი მარშრუტით მიდის, პასუხობს: По грузинам - через Важу!

ძალიან ამაყი და ბედნიერი ვარ ამით!

■ ■ ■

ჩემს მეზობლად ორი ბასკი ძმა ცხოვრობს. უფროსი 22 წლისაა, უმცროსი - ორიოდე წლით ახალგაზრდა. ზუსტად ერთნაირები. ტყუპებს გვანან. გრძელი თმები, ლამაზი, შავი პირისახე და ბრიალა თვალები. სულ რაღაცას წერენ, წვრილი, მწყობრი, ჩაწიკწიკებული სტრიქონებით ავსებენ ფურცლებს. ძალიან საყვარლები არიან. ჩუმები. თითქმის არავისთან კონტაქტობენ.

სასადილოში ვართ. მოზრდილ კარავში მაგიდები ორ რიგად დგას. ბანაკში "პიკია". თითქმის ყველა ჩამოსულია მთიდან. ბასკები ჩემს გვერდით მაგიდასთან სხედან. კარავში რუსი ალპინისტების ჯგუფი შემოდის, საშა ოდინცოვის გუნდი. მათი ერთ-ერთი სპონსორია სპორტული ტანსაცმლის ფირმა "BASK"-ი. ამიტომ ექვსივეს აცვია ამ ფირმის წითელი ქურთუკები.

რაღაცა უცნაური ხმა - საბრძოლო ყიჟინისა და სიხარულიანი გაკვირვების ნაზავი - კვეთს სასადილოს... ძმები ფეხზე წამოჭრილან და თვალებიდან ცეცხლს აკვესებენ. სახეზე აქვთ სიხარული, აღტაცება, გაკვირვება, ეჭვი... ხალხს კოვზები გაუვარდათ ხელიდან. მიშა მიხაილოვი ყველაზე ადრე ერკვევა და ბასკებს უხსნის, რომ "BASK" რუსული ფორმაა და მათ სამშობლოსთან არაფერი აქვს საერთო. ბიჭები მორცხვად ბრუნდებიან ადგილზე და ჩასცქერიან წვნიანს! სასადილოს გამორკვეულ მოტრაპეზეთა ხორხოცი აზანზარებს.


მარინე ბერიძე


მწვერვალი "ვაჟა-ფშაველა" (6900 მ)


"აეროპორტი"

მარტო მე ვიცი,
როგორ უფანცქალებთ ახლა ამათ გულები და როგორ ურტყამთ სისხლი საფეთქლებთან. მეც თავს ვღუნავ და წვნიანით სავსე ჯამში ვეძებ ნუგეშს. თუმცა, ცრემლის დამალვას მაინც ვერ ვახერხებ. როგორ დავბერდი!

იგორ ვასილიჩს ვერაფერს გამოაპარებს. დიდი "დერჟავნიკია" - ამიტომ უფრო ნიშნის მოგებით, ვიდრე თანაგრძნობით, მეკითხება:

- Говорят, они ваши родственики?

■ ■ ■

ბიძინა და დიმა ისვენებენ. ეს დიდი საქმეა აქ, მოსიმაღლეებში. ამაზე ხშირად ხუმრობენ. - წარმოგიდგენია, წევხარ კარავში, არაფერს არ აკეთებ და ითვლება, რომ მუშაობ, საქმეს აკეთებ! დიდი იმედი მაქვს, რომ "პობედაზე" წასვლამდე მყინვარზე გავისეირნებთ. მე კი ვახერხებ მარტო სეირნობას, მაგრამ მხოლოდ მორენაზე. ძალიან ცხელი ამინდებია. მყინვარი დნება. ამბობენ, ბევრი ნაპრალიაო. ამიტომ ბიძინაც წინააღმდეგია და მეც არა მაქვს ხალისი ნაპრალში ჩავარდნის. ხვალ, ალბათ, წავალთ.

დილით რადიოკავშირის შემდეგ სლავა მიროშკინი მოდის ჩვენს ბანაკში.

- Как дела, Славаджан? - უძახის ბიძინა.

- Ничего хорошего.

ამათ მეგობარ გიდს "პობედაზე" გასჭირვებია რაღაც, ბიძინა წასვლას აპირებს. სლავა აჩერებს, ერთ საათს კიდევ დავიცადოთო.

საუზმეზე მიროშკინის მზარეული შემოვარდა კარავში, ბიძინას ეუბნება, 20 წთ-ში ვერტმფრენი იქნება, თუ წასვლას აპირებ, მოემზადეო!

გიჟივით წამოვარდა. ჩქარ-ჩქარა ყრის ნივთებს ზურგჩანთაში და გარბის მეზობელი ბანაკისკენ. გზაში აწევენ გაზს, რაციას, კარავს. მირბის მორენაზე. უკან მე მივდევ. ფეხი მიბრუნდება, ნაპრალზე უხერხულად ვხტები და ვეცემი. უკანაც არ იყურება.

ბანაკში დანილ ივანიჩი გვხვდება - 60 წელს მიტანებული მაღალი, ახოვანი ბანაკის უფროსი, ყოფილი კალათბურთელი, ექიმი. ბევრჯერ არის ნამყოფი საქართველოში. ქართველები და საქართველო ისეთი ახსოვს, ჩვენ რომ უკვე დაგვავიწყდა და ძალიან უყვარს. მარტო ყოფნისას ხშირად დავდიოდი მასთან სტუმრად, ხან მარტო, ხან ოლია ბაიკოვსკისთან ერთად. მთელი ღამე გაუთენებია. ყოველ ერთ საათში ელაპარაკებოდა "პობედას". - კარგად იყვნენ, - გვიყვება. - ეშვებოდნენ. ობელისკთან კლიენტი დაწვა და გზის გაგრძელებაზე უარი თქვა, არა აქვთ კარავი, თბილი ტანსაცმელი, საჭმელი, გაზი. გიდი წამოვიდა, მაგრამ კარავს ვერ მიაგნო. ძალა გამოელია, ბოლოს ველარ ლაპარაკობდა და მარტო სუნთქვაღა გვესმოდა რაციაში. კოლია ჟილინი ამ დროს თავის კარავში იყო, "ვაჟაზე", კლიენტთან ერთად. ვთხოვე, მოეძებნა. ადგა, ჩაიცვა, წავიდა საძებნელად. მადლობა ღმერთს, იპოვა და თავის კარავში შეიყვანა, გაათბო, ჩაი დაალევინა. გიდი ისევ კლიენტთან დაბრუნდა. ის ღამე ცივი ღამისთევა ჰქონდათ. ძალიან ბევრი იარა, დიდი ძალა დაკარგა. - აი, ყველაფერი, რასაც ვიგებთ!

ვერტმფრენი ჩრდილოეთის ბანაკიდან უნდა მოფრინდეს. მანამდე ბიძინას აჭმევენ და ყუთებში აწყობენ პროდუქტს, კარავს, ჟანგბადის ბალონებს, მედიკამენტებს - ყველაფერს, რაც პირველი დახმარებისთვის არის საჭირო. ამ ყუთებს ვერტმფრენიდან გადაუყრიან, რადგან სამაშველო ჯგუფს მხოლოდ ორი დღის შემდეგ შეუძლია ობელისკამდე მისვლა. ორ დღეს კი ისინი ვერაფრით გაუძლებენ! მზარეულის თანაშემწე იარეკი აკურატულად კრავს ყუთებს. ერთ ყუთში ქვებს ალაგებენ - ეს სასინჯი ტვირთი იქნება.

მეჩვენება, რომ განგაში ცოტა გადაჭარბებულია. უკვე ორჯერ იყო "პობედასთან" კავშირი. გიდი საკმაოდ იმედიანად არის. მართალია, მისი თანამგზავრი კვლავ უარს ამბობს მოძრაობაზე, მას მაინც იმედი აქვს, რომ დაისვენებენ და გზას განაგრძობენ: - თუ შეიძლება, უკითხავად ნუ გამოაგზავნით მაშველს, არ მინდა, ჩემს კლიენტს "მთა გაუფუჭდეს", - ითხოვს ის.

- კიდევ ერთი, გუშინდელის მსგავსი ღამის გადატანა მე არ შემიძლია. ბიჭები, მადლობა ღმერთს, მზად არიან. ასე რომ, თუ შეგიძლიათ, იარეთ, როგორმე დაკარგეთ სიმაღლე, ეცადეთ, ჟილინის კარვამდე მიაღწიოთ, - გადასცემს რაციით დანილ ივანიჩი.

- Да у него крища поехала! - ამბობს კავშირის დამთავრების შემდეგ. ვის გაუგონია 7000 მეტრზე დასვენება.

ძალიან განვიცდი მომხდარს. სიტუაციას მაინცდამაინც ვერ ვაფასებ. ყველაზე მეტად ის მაწუხებს, რომ დიმა, რომელიც ასე ძალიან მოგვეხმარა, რომელიც ორ დღეში ბიძინასთან ერთად უნდა წასულიყო მთაზე, ახლა უპარტნიოროდ რჩება.

- რა ვუთხრა დიმას? - ვბედავ და ვეკითხები ბიძინას.

- დიმამ იცის, რომ მისთვისაც ამასვე გავაკეთებდი, მეტი რაღა უნდა უთხრა!

უცებ ბიძინას მზერა უშეშდება. მე კარებისკენ ზურგით ვზივარ. ძალაუნებურად ვბრუნდები. კარვის შემოსასვლელში დიმა დგას, სრული ეკიპირებით, წასასვლელად მომზადებული. ბიძინა ხველას იწყებს.

ვფიქრობ, რომ ასეთი წუთისთვის ღირს ადამიანის ცხოვრება!

რაღაც ძალიან ადვილად მეტირება ამ მყინვარზე. შეიძლება აკლიმატიზაციის ბრალია!

გაფრინდნენ!

მე ისევ დანილ ივანიჩთან ვრჩები, ველოდები პირველ კავშირს "დესანტის გადასხმის შემდეგ". ვერტმფრენმა ბიჭები დასვა და ახლა მწვერვალის თავზე ტრიალებს, ყუთები უნდა ჩაყარონ. ამ ოპერაციას "დაბომბვას" უწოდებენ ესენი. ყაზბეგ ვალიევიც იქ არის, თავად ხელმძღვანელობს ოპერაციას. ვერტმფრენი უკვე მერამდენე წრეს აკეთებს.

- დავიღალე, - ამბობს დანილ ივანიჩი, - ისედაც არ ვიყავი კარგად. - საწყალს, დედის სიკვდილის ამბავი მოსვლია. ვერ წავიდა. ვერ მოასწრო. სადღაც კალუგაში ასაფლავებდნენ დედას. არასოდეს არ მტკენია გული და ახლა მთელი ღამე გავათენეო, მერე მეორე, გუშინდელი ღამე მოყვა - კიდევ ერთხანს მეწუწუნება ბებრულად.

ამასობაში კავშირის დროც მოვიდა.

ოპერაციის შედეგი ასეთია: - ოთხი გადაგდებული ყუთიდან მხოლოდ ერთი მიიღო ადრესატმა, დანარჩენი ჩინეთის მხარეს გაფრინდა. ვალიევი გვეუბნება, დანარჩენებიც მოძებნოს, ნამდვილად ვხედავთ, მულდაში დევსო.

იწყება გარკვევა, რომელი ყუთი მიიღო. ჯერ არ გაუხსნია. ამბობს, წითელი ზონარით არის შეკრულიო. - ყველა ყუთი ნარინჯისფერი ზონარით იყო შეკრული, ერთადერთია წითლით - ჩრდილოეთის ბანაკში მომზადებული ხუთი ლიტრი ჩაი! - რაღა ის იქნება, კაცებს ფერები ხშირად ერევათ ხოლმე! - ვებღაუჭები უკანასკნელ იმედს.

- რას შვები? - ვეღარ ითმენს დანილ ივანიჩი.

- სკოჩებს ვებრძვი, - არის პასუხი.

ბოლოს გახსნა ყუთი. რაციაში ისმის იმედგაცრუებული ადამიანის ხმა: - ქვა; კიდევ ქვა. და რაღაც ბოთლები!

ასე რომ, მთელი ძვირფასი ტვირთი ამაოდ დაიკარგა!

ახლა მთელი იმედი მაშველებზე და იმ ადამიანებზეა, ვინც მთაზეა!

სადილად დანილ ივანიჩთან მტოვებენ. ვილაც ტრეკინგიორებთან ერთად ვსადილობ. არაქათგამოლეული ვბრუნდები ბანაკში. გზად კრასნოიარსკელების კარავთან მაჩერებენ, ამბავს მეკითხებიან. მექანიკურად ვპასუხობ. კარვიდან ვისოცკის ჩახლეჩილი ხმა ისმის:

"На чем проверяются люди, если войны уже нет?.."

ოთხი დღე ბანაკის ყურადღება "პობედაზეა" კონცენტრირებული. დიმას და ბიძინას "ჩიპი და დეილი" შეარქვეს. ყოველ ერთ საათში რადიოკავშირს ვუსმენ.

მადლობა ღმერთს, ყველაფერი მშვიდობით მთავრდება.

P.S. წამოსვლამდე ბიძინა და დიმა კიდევ ერთ სამაშველო ოპერაციას ასწრებენ.

"პობედაზე" ვერ წავიდნენ, მაგრამ კმაყოფილები არიან.

21 აგვისტოს იქნება ჩვენი ვერტმფრენი.

მანამდე მყინვარზე გასეირნებასაც ვასწრებთ.


მწვერვალ "ვაჟა-ფშაველაზე" (6900 მ)

# თბილისის ჯაზ-ფესტივალი ტრადიციებს ამდიდრებს

## ვარსკვლავები თბილისში ჩამოსვლას ითხოვენ

ვერა ნეფარიძე

*"ისთერნ პრომოუშენი" თბილისის მერვე საერთაშორისო ჯაზ-ფესტივალის სამზადისშია. თითქმის, ყველანაირი პირობა არსებობს, რომ მომავალ ფესტივალზე ჯაზის ვირტუოზების მთელი არმია ვიხილოთ საქართველოში. მონაწილეთა ჩამონათვალს ახლახან კიდევ რამდენიმე ვარსკვლავი შეემატა. ჯორჯ დიუკი, სტენლი კლარკი, ლარი კლარტონი - მოსკოვში* Parliament jazz festival-*ის სტუმრები, თბილისში ჩამოსასვლელად ემზადებოდნენ და ქართველი პრომოუტერებისგან ქართულს სწავლობდნენ. თბილისის საერთაშორისო ჯაზ-ფესტივალში მონაწილეობის მსურველთა რაოდენობა იზრდება. ჩვენი ფესტივალის მიმართ ჯაზის ვარსკვლავების ასეთი ინტერესი ღონისძიების ორგანიზატორებისთვისაც სასიამოვნო მოულოდნელობა აღმოჩნდა.*


"ისთერნ პრომოუშენის" "ბიჭები" ჯორჯ დიუკთან და მის პროდიუსერთან ჰერბი კოენთან ერთად

სექტემბრის ბოლო მოსკოველი მელომანებისთვის მეტად მნიშვნელოვანი და სასარგებლო იყო. 19-22 სექტემბერს მოსკოვმა მსოფლიოს წამყვან ჯაზმენებს უმასპინძლა. მონაწილეთა რაოდენობისა და ტიტულების მიხედვით, ეს იყო ყველაზე წარმომადგენლობითი და სერიოზული ჯაზ-ფესტივალი მოსკოვში. თუმცა, ღონისძიება არანაკლებ სასარგებლო გამოდგა ჩვენთვისაც. სწორედ აქ გამოთქვეს Parliament jazz festival-ის სახელოვანმა სტუმრებმა თბილისის რიგით მერვე საერთაშორისო ჯაზ-ფესტივალში მონაწილეობის სურვილი. ასე რომ, მომავალი ფესტივალი მეტად საინტერესო პერსპექტივებს უქადის ქართველ მელომანებს.

"ისთერნ პრომოუშენის" ხელმძღვანელობა მოსკოვში რუსმა კოლეგებმა, Parliament jazz festival-ის ორგანიზატორებმა მიიწვიეს. ქართველი პრომოუტერები მოსკოვში განსაკუთრებულს არაფერს ელოდნენ. იქ, ძირითადად, ჯაზის მსოფლიოში აღიარებული ვარსკვლავების მოსმენის სურვილითა და პროფესიული ცნობისმოყვარეობის გამო ჩავიდნენ. "რუსული ბომონდიცა და თვითონ ფესტივალის მონაწილეებიც ისე შეგვხვდნენ... ყველამ იცოდა ჩვენს შესახებ. დევიდ სენბორნმა, საერთოდ, საქართველოს ისტორია იცოდა ისე კარგად..." - მოსკოვურ შთაბეჭდილებებს გვიზიარებენ "ისთერნ პრომოუშენის" ხელმძღვანელები. ეს შთაბეჭდილებები კი ისეთი ვარსკვლავების დამსახურებაა, როგორებიც არიან: ცნობილი სოულ-ჯაზ საქსოფონისტი დევიდ სანბორნი; ჯაზ-როკ გიტარისტი, ორი "გრემის" მფლობელი ლარი კარლტონი; ცნობილი პიანისტი სტენლი კლარკი და ელ ჯერო. ეს უკანასკნელი ქართველ პრომოუტერებს, თურმე, განსაკუთრებული ემოციებით შეხვდა.

"ნუთუ მე არ ვარ ღირსი, საქართველოში დამპატიჟოთ", - ეს სიტყვები ჯორჯ დიუკმა ქართველ პრომოუტერებს მას შემდეგ უთხრა, როდესაც ლარი კლარტონი და სტენლი კლარკი მენეჯერებთან ერთად თბილისში ჩამოსვლის პერსპექტივებზე საუბრობდნენ. "ჩვენ ვამზადებთ ნიადაგს თქვენს დასახვედრად", - მოულოდნელ შეკითხვაზე არ გასჭირვებია მოხერხებული პასუხი "ისთერნ პრომოუშენს". ცნობილი ჯაზ-პიანისტის მენეჯერი ჰერბი კოენი (მისი ნამდვილი გვარი კაგანოვიჩია, ხოლო თავად სტალინის მთავრობისდროინდელი მოღვაწის ლაზარ კაგანოვიჩის ძმისშვილიშვილია) უკვე შეუთანხმდა ქართულ საპროდიუსერო კომპანიას, რომ მომავალი წლის საგასტროლო ტურნეს დაგეგმვაში აუცილებლად გაითვალისწინებდა დიდი მუსიკოსის სურვილს.

მას შემდეგ, რაც თბილისის საერთაშორისო ჯაზ-ფესტივალი ევროპული ფესტივალების ოჯახის სრულუფლებიან წევრად აღიარეს (ამის შესახებ "24 საათი" წერდა), ქართული კომპანიისთვის ბევრად შემსუბუქდა სამუშაო. მოსკოვში ყოფნისას "ისთერნ პრომოუშენის" ხელმძღვანელობა ლონდონში მარტისთვის დაგეგმილ "ცოცხალი მუსიკის საერთაშორისო კონფერენციაზე" მიიწვიეს. ეს არის მსოფლიოს მსასშტაბით პროდუსერებისა და მენეჯერების ერთ-ერთი სერიოზული შეკრება, რომელიც მეტად მნიშვნელოვანია მათი საქმიანობისათვის. კონფერენციის შემდეგ თავად ჯაზ-ფესტივალების ორგანიზატორები შეიკრიბებიან და ერთმანეთს ფესტივალის დეტალებს გაუზიარებენ. მოსკოვის Parliament jazz festival-იც ზაფხულში გაიმართება. ეს კი ხელს შეუწყობს, შეიკრას ევროპული ჯაზ-ფესტივალების წრე, რაც კიდევ უფრო გაამარტივებს ვარსკვლავების გადანაწილებას ამ ფესტივალებზე.

ასე რომ, თბილისში ჯაზ-ფესტივალების ტრადიცია კიდევ უფრო გამდიდრდება. მანამდე კი "ისთერნ პრომოუშენი" ჯაზის მოყვარულებს ვიქტორ ბეილისა და მისი ბენდის სტუმრობით გაახარებს. ამ მუსიკოსისა და თბილისში დაგეგმილი კონცერტის შესახებ ოდნავ მოგვიანებით ვისაუბრებთ.

## სკანვორდი



## TV პროგრამა

4 ოქტომბერი

### რუსთავი - 2

**08.00** კლასიკა **09.00** კურიერი **09.20** ფიფქია **09.50** ცხოველთა ომები **10.20** სერიალი **12.00, 15.00** კურიერი **12.20** სიმფსონები **12.50** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.00** დოკ. სერიალი „ველური სამყაროს ამბები" **17.40** სერიალი „სუფთა ინგლისური მკვლელობა" **18.00, 02.00** კურიერი **18.20** სერიალი „სუფთა ინგლისური მკვლელობა" **19.00** ჩემპიონთა ლიგის კვირის მიმოხილვა **19.35** დოკ. ფილმი „თანამედროვე ტექნოლოგიები" **20.05** სერიალი „მაქსი" **21.00** კურიერი PS **22.00** საოჯახო ტოტო **23.00** ფსიქო. მხ.ფ. „სიკვდილი პირდაპირ ეთერში" რეჟ: ბერტრან ტავერნიე. **02.20** მხ.ფილმი „კანიბალი". მთ. რ-ში: ჯულიანა მური, ენტონი ჰოპკინსი.

### პირველი არხი

**08.00, 15.00** მოამბე **08.15** მხ. ფილმი „ბარნი და მისი პატარა უსიამოვნებანი" **09.35** დოკ.სერიალი „ეგზოტიკური ცხოველები" **10.00** დილის პაემანი **11.05** მხიარული კარუსელი **11.35** მოგზაურობა სასიტყვეთში **12.05** თბილისი და თბილისელები **12.35** პოზიცია **13.25** კვალი **13.55** დოკ. ფილმი „ექიმი დელფინი" **14.25** საქართველო, დრო, მოვლენები **15.15** მხ. ფილმი „გზაჯვარედინები" **16.45** მულტსერიალი „კიტუ" **17.00** საწინდარი **17.30** ასე ვცხოვრობთ **18.00** „ვესტნიკი" **18.40** „თბილისის დროით" **19.05** ისტორიანი **19.35** გინდ დაიჯერეთ, გინდ არა **20.00** მოამბე **20.35** ცაიტნოტი **21.45** პრესეკრანი **22.15** ფორტუნა **22.50** პროფათეული **23.25** ამბობენ **00.00** მოამბე **00.15** მხ. ფილმი „მკვლელობა აღმოსავლეთ ექსპრესში" **02.15** ღამის ჯაზი.

### პირველი სტერეო

**09.00** მუსიკა **10.00** ტოროლა **13.00** ფილმი **15.00** მუსიკა **16.00** ფილმი „ოთხფეხა ვარსკვლავი" მთ. რ-ში ლინო ბანფი, როზა პიანეტა. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **19.50, 20.15** სველი ხაზი **21.15** ქართული მუსათეული **22.35** კვირის საუკ. ლექსები **23.00** აბა გამოიცანი კადრი **00.00** „ბრავო" „პაპანაქება" მთ. რ-ში ჟანიუგ ანგლადი, ხოაკინ დე-ალმეიდა. **01.50** „ღამურა" „საშიში ადამიანის აღსარება" მთ. რ-ში სემ როკეული, დრიუ ბერიმორი. **03.45** პაუზის გარეშე.

### მეორე არხი

**19.00** მულტფილმი **19.30** ზღაპარ იყო **19.40** გლობუსი **20.00** ჯანმრთელობა **20.30** მიზანი **21.00** დოკ. ფილმი **21.30** წარსულის ტერიტორია **22.00** ოქტაგონი **22.45** მხ. ფილმი „უკანასკნელი მოჰიკანი".

### კავკასია

**12.00** მხ. ფილმი „ფლიუკი" **13.30** მხ. ფილმი „ბრილიანტის პოლიციელი" **15.00** მხ.ფილმი „მკვდარი პოეტების საზოგადოება" **17.00** მხ. ფილმი „სეიფების მძარცველი" **19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა „დღეს" **19.20** მუსიკა **21.00** მხ. ფილმი „განკიცხულნი" **00.20** მხ. ფილმი „უცხო" .

### იბერია

**08.00** ანონსი **08.05** დიალოგი **10.30** მხ. ფილმი **12.30** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00** ახალი ამბები **13.10, 17.30** მულტსერიალი „კაპიტანი სიმიანი და კოსმიური მაიმუნები" **13.30** დოკ. ფილმი **14.50, 17.20, 18.30, 21.55, 01.00** მუსიკა **15.15** მხ. ფილმი „ვალენტინო ბრუნდება" **18.00, 19.30** მულტფილმი **18.45** ბუნების ფერები **19.30** მულტფილმი **20.30** ლიტერატ. გადაცემა - სილუეტი **21.00** დოკ. ფილმი **23.30** მხ. ფილმი „ექსპერიმენტი" **02.30** მუსიკა.

### მეცხრე არხი

**08.05** მხ. ფილმი „ბეტმენის დაბრუნება" **10.10** მულტსერიალი „კონკია" **10.35** სერიალი „პატარა აინშტაინები" **11.00** სერიალი „ღამის ექიმები" **12.00** დოკ. ფილმი „კუდიანი ამბები" **12.25, 14.10, 15.20, 16.20, 17.50, 22.05** მუსიკა **12.40** მხ. ფილმი „სინდბადის მეშვიდე მოგზაურობა" **14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **14.50** „ყვითელი კვადრატი" **15.30** სერიალი „ფორმულა-1" **16.30** დოკ. სერიალი „ზღვარზე" **17.00** სერიალი „სამოდელო სკოლა" **18.00** მულტსერიალი „კონკია" **18.30** სერიალი „პატარა აინშტაინები" **19.00** „საუბრები სტუდიაში" **20.00** დოკ. სერიალი „ფაქტზე დაჭერა" **21.15** სერიალი „80 დღე დედამიწის გარშემო" მე-5ს. **22.15** „ტელემეტრი" **22.30** გადაცემა „ოლიმპი" **22.50** მოკლ.მხ.ფილმი „ძმები დოჰერთები" **23.20** „ცხელი ცხრიანი" **00.30** მხ. ფილმი „დიდი ბეკე". მე-2 ს.

### იმედი

**09.00** ქრონიკა **09.15, 12.20, 14.50, 01.20** იმედის მელოდიები **09.30** სერიალი „სიყვარული უდაბნოში" **10.20** ანიმაციური სერიალი „სუპერმენი" **10.45** მხ. ფილმი „ვარდისფერი ტელეფონი" **12.30** სერიალი „რელიქვიების მაძიებელი" **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 21.00, 22.00** ქრონიკა **13.10** სერიალი „რელიქვიების მაძიებელი" **13.40** თოქშოუ „არჩევანი თქვენ" **15.15** მხ. ფილმი „მელოდიები სარდაფიდან" **17.05** დოკ. სერიალი „ველური ჩვილები" **18.00** ერთხელ ჰოლივუდში **18.30** დოკ. სერიალი „ისტორიის ერთი კვირა" **19.20** მხ. ფილმი „ცეკვის დრო" **21.05** ქართ. სერიალი „ყავა და ლუდი" **22.45** კლიპ-ლოტო **23.00** მხ. ფილმი „წერილები სიკვდილმისჯილის საკნიდან" **01.05** ქრონიკა .

### აჭარა

**08.00, 03.00** საინფორმაციო დაიჯესტი **08.40** მუსიკა **09.00, 12.00, 16.00** საინფორმაციო გამოშვება „დღეს" **09.10, 12.10, 16.10** საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი" **09.20** ფილმი-ზღაპარი „ჰეიდი" 1 ს. **10.55** მუსიკა **11.10** დოკუმენტური ფილმი **12.20** კომედია „გაიძვერობა" **13.55** ვიდეოარტი **14.00, 18.00** საინფორმაციო დაიჯესტი **14.05** მელოდრამა „მარადიული სიყვარულის ისტორია" **15.55** ვიდეოარტი **16.20** მულტფილმი „პოკემონი: შუაღამის დარაჯი" **17.25** კომედია „ბრიყვი და კიდევ ბრიყვზე ბრიყვი" **19.00, 22.00, 00.00** საინფორმაციო გამოშვება „დღეს" **19.15, 22.30, 00.15** საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი" **19.30** „ყველანი ვართ პატარები" **19.40** მუსიკა **19.50** ფილმი-კატასტროფა „იურიული პერიოდის პარკი" 1ს. **21.55** „ბუხარი" **23.00** „Слово" **23.30** დოკუმენტური ფილმი **00.25** „ქართული კინო" (ავტორი ზ. ცინცქილაძე) **02.30, 03.20** დოკუმენტური ფილმი **03.50** სათავგადასავლო ფილმი „ადამიანი რკინის ნიღაბში".

### VII არხი

**18.10** მობილურები **19.00** „აჩიკუდა **19.20** „ბედნიერი ერი" ილიას პუბლიცისტური წერილების მიხედვით **19.35** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **20.05** „ნა-ნა-ნა"-კარაოკე **21.05** კომპიუტერული თამაშები **21.10** მელოდია **21.30** აუდიო-ვიდეო-ტელე **22.20** „კინოკლუბი „ - „ჟიული და ჰიმი". საფრანგეთი. დრამა. რეჟ: ფრანსუა ტრიუფო. როლებში: ჟანა მორო, ოსკარ ვარნერი. 22.40კომპიუტერული ტექნიკა.

### ОРТ

**07.00, 11.00, 13.00, 19.00** Новости **07.10 Худ.фильм „Гонки „Пушечное ядро"** **09.00** Сериал „Твинисы" **09.20** „Играй, гармонь любимая!" **10.00** „Слово пастыря" **10.10** „Здоровье" **11.10** „Смак" **11.30** „Д. Копперфилд. Разоблаченная иллюзия" **12.00** „Интересное кино" **13.10** Национальное географическое общество представляет: „В тени Везувия" **14.00** Концерт Е.Крылатова **14.40** „Путешествия натуралиста" **15.15** Дисней-клуб: „Геркулес" **15.40** „Умницы и умники" **16.20** Док.фильм „Ленин и бандит" **16.50 Комедия „Отпетые мошенники"** **19.20** „Песня года. Осень" **21.00** „Кто хочет стать миллионером?" **22.00** „Время" **22.30** „Розыгрыш" **23.30** „Золотой Граммофон" **00.30 Боевик „Робокоп 3"** **02.20 Худ.фильм „Желтая подводная лодка"** **04.10 Худ.фильм „Конформист".**

### РТР

**07.00 Комедия „Брелок с секретом"** **08.05** Мультфильм: „Мартынко", „Гагарин" **08.20 Сериал „Дракоша и компания"** **08.45** „Золотой ключ" **09.05** „Русское лото" **09.35** Мультсериал „Том и Джерри" **09.50** „Большая перемена" **10.15** Маленькие комедии „Ха" **10.30** Результаты голосования - „Народный артист - Ваш выбор!" **10.45** „Утренняя почта" **11.20** „Не скуЧАЙ!" с М.Евдокимовым **12.20** „Сам себе режиссер" **13.15** „Крутой маршрут" **14.15** Клуб сенаторов **15.00, 21.00** „Вести" **15.20 Худ.фильм „Стряпуха"** **16.45** Маленькие комедии „Ха" **17.00 Футбол. Чемпионат России. „ЦСКА" - „Динамо" (Москва)** **19.00** „Кубок юмора" **21.25** Зеркало **21.50** „Честный детектив" **22.20** „Аншлаг" **23.20 Худ.фильм „Мачеха"** **01.50 Худ.фильм „Побег"** **04.05** Дневник Межд. турнира по теннису „Кубок Кремля-2003" **04.35 Сериал „Клоун".**

### НТВ

**07.35 Боевик „Ярость космоса"** **09.00, 13.00, 17.00** „Сегодня" **09.20** „Улица Сезам" **09.45** „Та-ра-рам!" **09.55** „Без рецепта". Доктор Бранд **10.30** Обозреватель **11.05** „Кулинарный поединок: кумиры эстрады. Б.Краснов - М.Амаев" **12.00** „Квартирный вопрос: тропический бум" **12.55** Спорт „Лото 6 из 49" **13.15** Экспедиция Т. Баженова „Дикий мир" **14.00 Худ.фильм „Балбесы"** **16.05** „Своя игра" **17.15** „Женский взгляд". Е.Проклова **17.55 Боевик „Агент национальной безопасности 3"** **19.10** „Совершенно секретно: трудно быть русским" **20.00** „Личный вклад" с А.Герасимовым **21.00 Худ.фильм „Кавказская рулетка"** **22.55 Детектив „8 миллиметров"** **01.25** „Ночные музы" **02.00** „Стиль от..." Р.Литвиновой **02.10** „Просто цирк" **02.40** „Про дизайн" **03.10 Сериал „За гранью возможного".**

# 2003 წლის ყველაზე მოხდენილი ქალები

ჟურნალ People-ის საგანგებო გამოშვება 2003 წლის ყველაზე მოხდენილ ადამიანებს ეძღვნება. წელს ასეთებად მსახიობები აღიარეს – კეიტ ჰადსონი, ნიკოლ კიდმანი, ჯენიფერ ენისტონი და ჰოლი ბერი.

კეიტ ჰადსონის სტილი თავისუფალ, შინაგანად განპირობებულ ჰიპი-სტილად დაახასიათეს.

ნიკოლ კიდმანი ელეგანტურობის განსახიერებადაა აღიარებული.

ჯენიფერ ენისტონს შესანიშნავი კონსერვატიული სახე შეუქმნია.

ჰოლი ბერი თვალშისაცემი სექსუალური სამოსითაა ცნობილი.

მიღწევების გარდა, ჟურნალმა წლის ყველაზე სასტიკი "ჩავარდნებიც" აღნიშნა: ბრიტნი სპირსი, ლილ კიმი, მერაია კერი, ვაინონა რაიდერი და სინტია ნიქსონი.



ნიკოლ კიდმანი



ჰოლი ბერი



კეიტ ჰადსონი



ჯენიფერ ენისტონი



ჩარლტონ ჰესტონი – ჰოლივუდის გამორჩეული სახე

ჰესტონი 80 წლისაა

ბიოგრაფიული ცნობები

# შვარცენეგერი 129-ის წინააღმდეგ

7 ოქტომბრამდე, კალიფორნიის გუბერნატორის არჩევნებამდე რჩება სამი დღე. ამომრჩეველს კი გადაწყვეტილება უკვე მიღებული აქვს. "ლოს ანჯელეს ტაიმსის" გამოკითხვის მიხედვით, შტატის მოსახლეობის უმრავლესობა ახლანდელი გუბერნატორის, გრეი დევისის გაწვევის მომხრეა. ასევე უმრავლესობა მხარს უჭერს არნოლდ შვარცენეგერს – "ტერმინატორს", ავსტრიის საამაყო შვილს და კენედების დიდი კლანის სიძეს.

მისი საარჩევნო კამპანიის მენეჯერები კი გააფთრებით ცდილობენ, რომ 7 ოქტომბრამდე პერსპექტიული კანდიდატის იმიჯი და რეპუტაცია შეულახავად მიიტანონ. ამას, ბუნებრივია, ახერხებენ კიდეც, თუმცა, პერიოდულად სულ უწევთ შვარცენეგერის ოპონენტებთან და მისი დამარცხების მსურველებთან ბრძოლა. მაგალითად, გუშინ "ტერმინატორი" იძულებული იყო, ბოდიში მოეხადა საზოგადოებისთვის იმ ექვსი ქალბატონის გამო, რომლებიც 1975-2002 წლებში სექსუალურ ძალადობაში ადანაშაულებდნენ. "ბოდიშს ვუხდი იმ ხალხს, ვისაც შეურაცხყოფა მივაყენე", - სან დიეგოში შეკრებილი ხალხი გაოცებული ისმენდა კანდიდატის ამ გულწრფელ აღსარებას.

იმავე დღეს, "ეი ბი სი"-ს არხით, შვარცენეგერს 1975 წელს, ინტერვიუში გაპარული შეცდომაც გაუხსენეს და კიდევ ერთი ბოდიში მოახდევინეს.

საუბარია, გამოუქვეყნებელ ინტერვიუზე, რომელიც ჟურნალისტმა მსახიობს ფილმის Pumping Iron-ის გადაღებების დროს ჩამოართვა. კითხვას, თუ ვინ არის მისი გმირი, შვარცენეგერი პასუხობს: "მე სულ აღმაფრთოვანებს ჰიტლერი, მაგალითად, იმიტომ, რომ მას არ ჰქონდა განათლება, იყო ძალიან პატარა კაცი და ბოლოს ამხელა ძალაუფლება ჩაიგდო ხელთ.."

გუშინ შვარცენეგერი იძულებული იყო, ბოდიში მოეხადა ამ სიტყვებისთვის. მან დასძინა, რომ ეზიზღება ნაცისტები და ამის დასტურად გამოდგება თუნდაც ის ფაქტი, რომ ებრაული ლობისტური ჯგუფის "სიმონ ვაიზენტალის ცენტრს" უჭერს მხარს.

რაც შეეხება დანარჩენ 130 კანდიდატს, მათგან მრავალი საინტერესო ფიგურის გამოყოფა შეიძლება. თუმცა, ამჯერად მხოლოდ ორ მათგანზე შევჩერდებით. ერთი ანჯელინაა – ამჯერად გუბერნატორობის კანდიდატი, ისე კი, "ჰოლივუდის ბილბორდის დედოფლად" ცნობილი ვარსკვლავი, რომელიც ჰოლივუდის ქუჩებში ვარდისფერი "კორვეტით" დადის და მყვირალა ფერის ტანისამოსის ჩაცმა უყვარს. სამწუხაროდ, მისი პოლიტიკური პლატფორმის შესახებ თითქმის არაფერია ცნობილი.

მშვენიერი ფიგურით ანჯელინას არც მეორე კანდიდატი, პორნოფილმების ვარსკვლავი მერი კერი ჩამორჩება. სხვათა შორის, საარჩევნოდ გადაღებულ ვიდეო-რგოლებშიც მან თავისი ყველაზე დიდი ღირსების – ლამაზი სხეულის წინა პლანზე წამოწევა განიზრახა და ფოტოები აშშ-ს დროშის ფერებით გაწყობილ საცვლებში გადაიღო. კერის ეს "პოლიტიკური" რეკლამა პირველად ეთერში არჩევნების წინა ღამეს, 6 ოქტომბერს "ჯეი ლენოს ღამის შოუში" გავა. იმ ღამეს ჯეი ლენოს მოსმენა მართლაც საინტერესო იქნება. პირველ რიგში, კი ამას ალბათ "ლოს ანჯელეს ტაიმსის" ჟურნალისტები გააკეთებენ. "ბი ბი სი"-ს ცნობით, გაზეთი აშკარად გამოხატავს თავის უკმაყოფილებას და შვარცნეგერს დაუფარავად აკრიტიკებს.



გუბერნატორობის ყოფილი კანდიდატი ბილ საიმონი ესალმება შვარცენეგერს



გუბერნატორობის კიდევ ერთი კანდიდატი მერი კერი



ანჯელინაც კალიფორნიის გუბერნატორობას აპირებს










## წამალი "სალხინო"

### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.